პალიტრა მედია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№170 (12849) 22 ივლისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი



## გაგელიას სადებიუტო ზავი



ახალგაზრდული ნაკრები >> გვერდი 2

## მანუ კანტეს მოუნდა

>> გვერდი 12

# რუსული ხაფანგი



## საშიში აგვისტო ანანიძისთვის

## მალთაზე, თუნდაც ერთი წუთით...

ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია >> გვერდი 2

## ევროტურნირები

ჩემპიონთა ლიგა



მარიბორი
ვიტ ჯორჯია

რამაზ მუმლაძე

## მარიბორი უნდა დავძლიოთ

წინასამატჩო პრესკონფერენცია

>> გვერდი 3



მუჯირი ბაქოს გოლით შეენია

## ამირანმა აინწყვიტა

ეკრანასი დამარცხებულია, მუჯირი და ადამია ლევსკის ელოდებიან

თარხნიშვილის შერიფის მესამე საკვალიფიკაციოში

>> გვერდი 4

U 21. საერთაშორისო ტურნირი

# გაბელიას დებიუტი ზავით

**საქართველო–სამხ. აფრიკა 1:1**

0:1 მალულეკა (14-პენ), 1:1 შონია (86)
საქართველო: თევდორაძე, ადამაძე (67. კასრაძე), თოთაძე, გამრეკლიძე, კილაძე, შონია, თარხნიშვილი, მაისურაძე, ხუციძე, ბოლქვაძე (46. პავლიაშვილი), ჩიმაკაძე (69. ჭედია).

გუშინ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ოთარ გაბელიას** დებიუტი შედგა. დებიუტი ფრით აღინიშნა. ბულგარეთში ოთხთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო და ჩვენები პირველ მატჩში სამხრეთაფრიკელებს დაუპირისპირდნენ.

მეტოქემ თავიდანვე მაღალი ტემპი შემოგვთავაზა. ეტყობოდა, გაბელიას ვიზავიმ სწრაფ გოლზე გააკეთა აქცენტი. ქართველი 21-წლამდელები თითქოს ყურადღებით იყვნენ დაცვაში და მალე თამაშიც გაათანაბრეს, მაგრამ...

მე-14 წუთზე სამხრეთაფრიკელთა ფორვარდი **მალანგუ თოთაძესა და კილაძეს** შორის გაძვრომას შეეცადა და ამ ცდაში გაზონზე აღმოჩნდა. ცხადია, ჩვენ თავს ვერაფერზე დავდებთ. ფაქტი კი ისაა, რომ ბულგარელმა არბიტრმა ჩვენს კარში პენალტი დანიშნა. მეტოქის კაპიტანმა **მალულეკამ** ბრწყინვალე შანსი გოლად აქცია - 0:1.



ოთარ გაბელია

გაშვებული გოლის მიუხედავად, ჩვენები არ დაიბნენ. გაბელიას ბიჭებმა შეძლეს და ჯერ მოედნის ცენტრში გადაიტანეს თამაში, ტაიმის შუა მონაკვეთში კი უპირატესობასაც დაეუფლნენ. სწორედ ამას მოჰყვა ორი რეალური საგოლე მომენტი - ჯერ იყო და, **ჩიმაკაძის** მიერ ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა მეტოქის კარს, ხოლო მერე თოთაძემ დასცხო მძლავრად და კარი ხარიხა შეაზანზარა. ტაიმის ბოლომდე ჩვენები დომინირებდნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

სამხრეთაფრიკელებმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს. პირველ 15-20 წუთში თამაშის პირობებს სწორედ ისინი კარნახობდნენ. ჩვენს კართან არაერთი ხიფათი შეიქმნა. მეკარე **თევდორაძემ** სამჯერ გვიხსნა გოლისგან...

გაბელია იძულებული გახდა, ცვლილებებისთვის მიემართა. მან ჯერ უკანა ხაზს „გადაუსხა სისხლი“, როცა „ვიტ ჯორჯიას“ მცველი **გურამ ადამაძე** მისივე თანაგუნდელი **ლაშა კასრაძით** შეცვალა, ხოლო შემდეგ - დაღლილი ჩიმაკაძე სწრაფი **ჭედიათი** ჩაანაცვლა. შეცვლებმა აშკარად გაამართლა და ქართველმა 21-წლამდელებმა უპირატესობა დაიბრუნეს. პავლიაშვილმა და ჭედიამ აფრიკელთა კართან არაერთხელ დაარღვიეს სიმშვიდე, თუმცა მატჩის მიწურულამდე გოლის გატანა ვერ მოხერხდა.

ამ დროისთვის მეტოქე უკვე მთელი გუნდით იცავდა კარს და ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა. 86-ე წუთზე, ქართველთა მორიგი იერიშისას, აფრიკელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით **შონიამ** ისარგებლა, ყველას დაასწრო და ბურთი მეტოქის კარში გადაგზავნა - 1:1.

დარჩენილ მცირე დროში გუნდებმა აღარ გარისკეს და ფრეზე „შეთანხმდნენ“. მეორე შეხვედრაში ბულგარეთი ზიმბაბვეს შეხვდა და 5:0 მოუგო.

მორიგი ტურის მატჩები ზეგ, 24 ივლისს გაიმართება. საქართველო მასპინძლებს ეთამაშება, სამხრეთაფრიკელები კი ზიმბაბვეს.

ევროპის ლიგა

# ზესტაფონს შვედეთში ქუთაისელები უქომაგებენ

შვედურ „ჰელსინგბორგთან“ ევროლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის ჩასატარებლად „ზესტაფონი“ სკანდინავიაზე გუშინ გაემგზავრა. ფეროელთა „დესანტი“ ანგელჰოლმის აეროპორტში საღამოსკენ დაეშვა. ზესტაფონელთა დელეგაციას იქვე ავტობუსი ელოდა - კიდევ ნახევარსაათიანი მგზავრობა და ქართველები ჰელსინგბორგს მიადგნენ. კლუბის მესვეურთა გარდა, დელეგაციაში არიან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი **კახა გენაძე**.

ქართველები ჰელსინგბორგის „კლარიონ გრანდ ოტელში“ დაბინავდნენ. **გია გეგუჩაძის** გუნდმა სასტუმროში ჯერ მოისვენა, მერე ისადილა, საღამოს კი შუაევროპული დროით 20:45 საათზე „ოლიმპიაზე“ („ჰელსინგბორგის“ მშობლიური არენა) მსუბუქად ივარჯიშა. წვრთნაში 18-ივე ფეხბურთელი მონაწილეობდა. ყველა მოთამაშე მწყობრშია, განწყობაც საბრძოლოა. ჰო, მართლა, როგორც ირკვევა, მატჩის დღეს ზესტაფონელები გიოტებორგიდან ათამდე ქუთაისელ გულშემატკივარს ელიან. გეგუჩაძე გუნდს დღესაც „ოლიმპიაზე“ გაავარჯიშებს.

რაც შეეხება მეტოქეს. როგორც გაუწყეთ, შვედეთის ჩემპიონატში ბოლო ტურში **ბო ნილსონის** გუნდმა წამყვანი ფეხბურთელების - **ჰენრიკ ლარსონისა** და **მარკუს ლანცის** გარეშე ითამაშა. „გეფლეს“ წინააღმდეგ ისინი ჰელსინგბორგელთა 18-კაციან განაცხადშიც არ ყოფილან. ლარსონისა და ლანცის ჯანმრთელობისა თუ ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციას ვერსად წავაწყდით.

პრობლემა



ჯანო ანანიძის გოლი-შედევრი კრასნოდარის კარში

# რუსეთი ანანიძეს ხაფანგს უმზადებს

## ამირან ანანიძე: ჯანომ ბევრი დათმო, ახლა ჯერი ფედერაციაზეა

გუშინდელ ნომერში მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველ ვუნდერკინდ **ჯანო ანანიძესთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მასალამ არაერთი კითხვა წარმოშვა. კერძოდ, თუ ანანიძე რუსეთის პასპორტსა და მოქალაქეობას მიიღებს, მაშინ როგორღა შეძლებს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშს? ხომ არ არის ეს რუსული გეგმა? ჯანომ რუსებს არაერთხელ უთხრა უარი იქაურ ნაკრებში თამაშზე და ხომ არ ცდილობენ მის გაცურებას რაღაც იურიდიული ნორმებით? მოდით, გავიხსენოთ პატარა ფრაგმენტი ხსენებული ინტერვიუდან:

*„მალტასთან ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებს, შეიძლება, ერთი მიზეზის გამო ვერ შევუერთდე. საქმე ისაა, რომ „სპარტაკში“ ბევრი ლეგიონერი ვართ, თამაშის უფლება კი მხოლოდ ექვს უცხოელ ფეხბურთელს აქვს. მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა - რუსულ პასპორტს მოგცემთ, ლეგიონერად აღარ ჩაითვლები და რომელი ქვეყნის ნაკრებშიც გინდა, იქ ითამაშეო... უკვე რამდენიმე თვეა, ამ პასპორტს მიკეთებენ და ვეღარ გააკეთეს. მითხრეს, აგვისტოს დასაწყისში გექნება და შენი აქ ყოფნაა საჭიროო. ამიტომაც ვთქვი, რომ შესაძლოა, ამან შემაფერხოს და მალტაში ვერ ჩავიდე“.*

და კითხვა - რატომ არის საჭირო ჯანოს ყოფნა რუსეთში, თან მაინცდამაინც აგვისტოს პირველ რიცხვებში, იმ დროს, როცა საქართველოს ეროვნულ გუნდს 12-ში მალტასთან ამხანაგური შეხვედრა აქვს. სწორედ ამ სპარინგში იგეგმება ანანიძის დებიუტი. და საკმარისია, ანანიძემ რამდენიმე წამი დაყოს მოედანზე, რომ რუსებს მისი დატოვების შანსი საბოლოოდ ესპობათ - ჯანო სხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდში ველარ ითამაშებს.

ამ თემაზე და ამ კითხვებით ფეხბურთში დასაქმებულმა არაერთმა პერსონამ თუ რიგითმა გულშემატკივარმა მოგვმართა. ჩვენ კი ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **უჩა უგულავას** დავუკავშირდით. სხვათა შორის, ის დაესწრო ფიფას ბოლო კონგრესს, რომელზეც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს...

- ანანიძესთან დაკავშირებით სადავო და გასარკვევი არაფერია. თუ თავად ფეხბურთელს სურს საქართველოს ნაკრებში თამაში, ეროვნული გუნდის თავკაცი მას გამოიძახებს, ჩამოვა და ითამაშებს კიდეც. აქ პრობლემას ვერ ვხედავ.

**- ყველა ნიუანსი გასარკვევია და ამიტომ გისვამთ ამ კითხვას - არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მალტასთან ამხანაგური მატჩია და არა - საკვალიფიკაციო?**

- არა, არ აქვს მნიშვნელობა. მალტასთან ამხანაგური მატჩი ხომ უეფას ეგიდით იმართება? ჰოდა, მორჩა და გათავდა.

**- კი, მაგრამ თუ ანანიძე რუსულ პასპორტს აიღებს, ასეთ შემთხვევაშიც შეეძლება ჩვენს ნაკრებში თამაში?**

- ანანიძე საქართველოს მოქალაქეა, მას ჩვენს 17-წლამდელთა ნაკრებში აქვს ნათამაშები და რუსული პასპორტიც რომ აიღოს, ჩვენს ეროვნულ გუნდში თამაშის პრობლემა არ ექნება. მთავარია, რუსეთის მთავარ ნაკრებში არ ითამაშოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დავკარგავთ მას. არა მგონია, ჯანო ამაზე ფიქრობდეს.

**- ლეგიონერთა ლიმიტმა ხელი რომ არ შეუშალოს, „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა ჯანოს რუსულ პასპორტს უმზადებს. უთხრეს - აგვისტო პირველ ნახევარში რუსეთში უნდა იყოო. ანუ რა გამოდის? შესაძლოა, ამან მას მალტაზე თამაშის საშუალება არ მისცეს...**

- თუ ფეხბურთელი ნაკრებშია გამოძახებული, მით უმეტეს, ეროვნულ ნაკრებში, და კლუბი მას არ გაუშვებს, ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ამ კლუბს საერთაშორისო დონეზე ვუჩივლოთ.

ანანიძე არასრულწლოვანია. ამიტომ, „სპარტაკთან“ ფეხბურთელის საკონტრაქტო მოლაპარაკებებში მისი მამა **ამირან ანანიძეც** მონაწილეობდა. საინტერესოა ამ კონტრაქტის დეტალები - რა უფლებები აქვს „სპარტაკს“ ქართველ ფეხბურთელზე და უნდა ველოდოთ თუ არა მოსკოველთა მხრიდან ანანიძის შეფერხებას. სწორედ ამ კითხვებით დავუკავშირდით ბატონ ამირანს:

*„ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთეთ. ჯანომ ბევრი რამ დათმო, მაგრამ ამ დათმობაზე სამშობლოს გამო წავიდა, წამითაც არ ჰქონია სინანული. ახლა საქმე ქართული ფეხბურთის მესვეურებზეა. როგორც გავიგე, ექტორ კუპერსა და ფედერაციას უნდათ, რომ ქართულმა ფეხბურთმა ჯანო არ დაკარგოს. და ძალიან კარგი, ეს მახარებს, მეამაყება, რომ ჩემმა ვაჟმა მშობლიური ნაკრები რუსეთისაზე არ გაცვალა. არადა, ფულის მხრივ ცდუნება საკმაოდ დიდი იყო... შარშანაც ვუთხარი ფედერაციაში - თუ გინდათ ჯანო არ დაიკარგოს ქართული ფეხბურთისთვის, ერთ ამხანაგურ მატჩში ერთი წუთით მაინც ათამაშეთ და ეს პრობლემა მოიხსნება, ჩვენც დავისვენებთ და რუსებიც დაგვანებებენ-მეთქი თავს. საქმეში ჩახედული მეგობრები მეუბნებიან - რუსული პასპორტის აღება ჯანოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშში ხელს ვერ შეუშლისო. მას ორმაგი მოქალაქეობა ექნება და რომელ ნაკრებშიც ენდომება, იქ ითამაშებს. ჯანოს რუსული პასპორტი თითქმის მზადაა. შესაძლოა, ამ თვის ბოლოს ან აგვისტოს პირველ რიცხვებშიც იყოს მზად. თუ მას ეროვნულ გუნდში გამოიძახებენ და „სპარტაკი“ მაინც არ გაუშვებს, ჩვენ რა უნდა ვქნათ? ფედერაციას კი აქვს შესაბამისი ბერკეტი და იმედია, ამას გამოიყენებს კიდეც. ვნახოთ... მოვა კლუბის ოფისში საქართველოს ნაკრებში გამოძახების ფაქსი და ამ საკითხსაც მაშინ მოეფინება ნათელი. შესაძლოა, არც კი შეგვექმნას პრობლემა. აქ, რუსეთში, უკვე ბევრი შეეგუა იმას, რომ ანანიძე რუსეთის ნაკრებში არასოდეს ითამაშებს. თუმცა ზოგი მაინც ცდილობს თავისას. ჰოდა, თუ საჭირო გახდა, იმედი მაქვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ჯანო საქართველოს შევუნარჩუნოთ“.*

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ჩემპიონთა ლიგა

მარიბორი-ვიტ ჯორჯია

## რამაზ მუმლაძე:
# მარიბორი უნდა გადავლახოთ!
## მეტოქე თბილისური შეცდომების გამეორებას არ აპირებს...

ქვეყნის ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ „მარიბორთან“ საპასუხო მატჩისთვის სლოვენიაში, ვენის გავლით, გუშინ ჩავიდა. ბალკანეთზე ვიტელთა გუნდის თავკაც **რამაზ მუმლაძის** განკარგულებაში 18 ფეხბურთელია: **გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე, ლაშა ჯაფარიძე, დავით ლომაია, ალექსანდრე კვახაძე, ნიკა მგელაძე, გიგა ბეჟვაია, ამირან ყველაშვილი, დავით ხურცილავა, გიორგი დათუნაიშვილი, ლუკა რაზმაძე, გიორგი კახელიშვილი, გიორგი ჯანელიძე, დავით მაისაშვილი, ჯაბა ლიპარტია, გიორგი ბერიაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, ბექა ზაქრაძე.**

თბილისური მატჩის შემდეგ ვიტ-ჯორჯიელთა განაცხადში 2 ცვლილებაა - ნახევარმცველების, **ირაკლი კლიმიაშვილისა** (დისკვალიფიკაცია) და **გიორგი ვასაძის** ნაცვლად, გუნდს მცველი **ნიკოლოზ მგელაძე** და ნახევარმცველი **დავით მაისაშვილი** დაემატნენ.

„ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ სალამოს მარიბორში, მეტოქის მშობლიურ არენა „ლუდსკიზე“ ივარჯიშა. წვრთნაში ყველა ფეხბურთელი მონაწილეობდა. ვარჯიშმა დაახლოებით საათს გასტანა. ვარჯიშამდე კი ვეტერინართა გუნდის თავკაცმა რამაზ მუმლაძემ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა:

**- რას ელით საპასუხო მატჩისგან?**

- „მარიბორის“ სახით ძლიერი მეტოქე გვყავს. მოწინააღმდეგეს რეალურად ვაფასებთ და ჩვენი გუნდის შესაძლებლობებიც კარგად ვიცი. აქედან გამომდინარე, ოთხშაბათის მატჩის მიმართ იმედიანად ვარ განწყობილი. ჩვენი მიზანი მომდევნო ეტაპზე გასვლაა და სლოვენიაში საბრძოლოდ ჩამოვედით. თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ამ ბარიერის გადალახვა საკმაოდ რთული იქნება. მეტოქეს თავისი მიზნები აქვს და მის რეალიზებას ბოლომდე შეეცდება.

**- „მარიბორს“ როგორ დაახასიათებდით?**

- ჩინებული გუნდი გყავთ, გამართულ ფეხბურთს თამაშობს. მეტოქე კარგი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. თუმცა სამს გამოვარჩევდი. 9 (მარკუს ტავარესი), 21 (არმინ ბაჩინოვიჩი) და 33 (კაპიტანი ზორან პავლოვიჩი) ნომრით მოთამაშეები, საშუალოზე მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან... თბილისში, პირველ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა რეალური სახე ვერ აჩვენა და ოთხშაბათს გვინდა, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ სრულად წარმოაჩინოს შესაძლებლობები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია სასურველ შედეგს მივაღწიოთ და იმედი მაქვს, ეს გამოგვივა კიდეც.

**- საპასუხო შეხვედრაში დისკვალიფიცირებული კლიმიაშვილი არ გეყოლებათ. რამდენად დიდი დანაკლისია ეს თქვენი გუნდისთვის?**


რამაზ მუმლაძე

- კლიმიაშვილი წამყვანი ფიგურაა, თუმცა გუნდში გვყავს კარგი ფეხბურთელები, რომელთაც ამ მოთამაშის სათანადოდ შეცვლა შეუძლიათ.

**- თბილისური მატჩის შემდეგ, განმეორებით შეხვედრაში რა ცვლილებებს აპირებთ?**

- გარკვეულ ცვლილებებს მივმართავთ, რომელიც კლიმიაშვილის გამოკლებითაა განპირობებული. დანარჩენს უშუალოდ ოთხშაბათის მატჩი გვიჩვენებს.

გუშინვე მატჩის წინა წვრთნა ჩაატარეს მასპინძლებმაც. როგორც ირკვევა „მარიბორის“ თავკაცი დარკო მილანიჩი სლოვენიის ჩემპიონატის სასტარტო ტურში „გორიცასთან“ მარცხის გამო შეგირდებით უკმაყოფილოა და ეს გუშინ ჩატარებულ პრესკონფერენციაზეც არ დაუმალავს. მილანიჩის სიტყვამდე გაცნობებთ, რომ ერთი ფეხბურთელი ხორვატი ნახევარმცველი **დეიან მეზგა** დააკლდებათ.

*„თბილისური მატჩი კიდევ ერთხელ დეტალურად გავაანალიზეთ. აშკარად ჩანს, რომ ქართველებთან ამ თამაშში შეცდომები დავუშვით. იმ შეხვედრაში მეტოქე ბურთის კონტროლში გვჯობნიდა და მოკლე პასებით არაერთ საფრთხეს გვიქმნიდა. თბილისში ჩვენს დაცვაში ნაპრალები იყო და ეს აღარ უნდა განმეორდეს. უფრო მეტიც, მომენტებში მოწინააღმდეგე მოედნის შუაგულშიც გვჯობდა. ფეხბურთელებთან ამის თაობაზე ბევრი ვისაუბრე. გარდა ამისა, „გორიცასთან“ თამაშიც გავიხსენეთ. ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრაში გუნდს მობილიზება, შემართება აკლდა. ჩვენი გუნდი მოედნის ცენტრში ენერგიულად არ გამოიყურებოდა და ეს ოთხშაბათის შეხვედრაში არ გვეპატიება. მეტოქე მოძრავი, მებრძოლი გუნდია, ფლანგებიდანაც გვარიანად აქტიურობს. ცენტრში ყურადღებით უნდა ვითამაშოთ და მოედნის შუაგული არ უნდა დავუთმოთ. ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ და 90 წუთის განმავლობაშიცა და თუ საჭირო გახდა, დამატებით დროშიც არ უნდა მოვეშვათ, თორემ შესაძლოა, დავისაჯოთ. ჩვენს წყვილში გამარჯვებულის მომდევნო მეტოქე უკვე ცნობილია - შვეიცარიული „ციურიხი“. ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, რომ „ციურიხის“ მეტოქე გავხდეთ. ჩვენ ეს შეგვიძლია და უნდა მოვახერხოთ“*, - თქვა პრესკონფერენციაზე „მარიბორის“ თავკაცმა **დარკო მილანიჩმა**.

დაბოლოს, დღეს, „მარიბორი“-“ვიტ ჯორჯიას“ საპასუხო მატჩი (პირველი თამაში 0:0 დასრულდა) „ლუდსკიზე“, თბილისის დროით 22:45 სთ-ზე დაიწყება. შეხვედრას რუმინელი მსაჯები გაუძღვებიან - არბიტრი **პაველ ბალაი**, ასისტენტები - **ზოლტან ჟეკელი** და **ოქტავიან სოვრე**. მეოთხე მსაჯის ფუნქციას კი **იშტვან კოვაჩი** შეასრულებს.

**დავით ცაბაძე**



ევროპის ლიგა


გირტს კარლსონსი

დინამო-მეტალურგსი

# ლატვიური დანაკლისი

...ხშირად ყოფილა, როცა ჩვენი გუნდის ხელმძღვანელები თუ მწვრთნელები გაგვიკრიტიკებია: ეროვნული ჩემპიონატის მატჩის განაცხადში 18 ფეხბურთელს როგორ ვერ აგროვებთო. ისინიც, მერე თავს იმართლებენ: ვის - ტრავმა ჰქონდა, ვის - დისკვალიფიკაცია და სათადარიგოთა სკამზეც სიხალვათე იყოო. ჰო, მაგრამ ერთია ჩვენი ჩემპიონატის მატჩები და სულ სხვა - ევროტურნირების შეხვედრები! აი, მაგალითად, ხვალ, ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში, თბილისის „დინამომ“ ლატვიურ „მეტალურგსს“ რომ უნდა უმასპინძლოს, სტუმრებს განაცხადში მხოლოდ 16 ფეხბურთელი ეყოლებათ. ვერ გეტყვით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ბრალია თუ სხვა მიზეზია, მაგრამ ფაქტია: ლიეპაიელთა მთავარ მწვრთნელს, წარსულში ცნობილ გერმანელ ფეხბურთელ **რიუდიგერ აბრამჩიკს** თბილისში არასრული შემადგენლობა მოჰყავს. ეს ინფორმაცია „მეტალურგსის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა და რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ.

აი, ლიეპაიელთა შემადგენლობაც, დღეს გამთენიისას რომ უნდა ჩამოსულიყო თბილისში: მეკარეები - **ვიქტორ სპოლე, პაველ შტეინბორი;** მცველები - **ოსკარს კლივა, ძინტარს ზირნისი, დენის ივანოვსი, ანატოლი ემელინსი;** ნახევარმცველები - **მაქსიმ რაფალსკი, ტომაშ ტამოშაუსკასი, პაველ სურნინი, ინტარს კირხნერი, ანდრეი კოჟოკარი, დენის რაკელი;** თავდამსხმელები - **გირტს კარლსონსი, დანიელ კასტნერი, ანდრეი პროხორენკოვსი, კრისტალს გრებისი.** ნამდვილად ვერ გეტყვით რა მიზეზით, მაგრამ „დინამოსთან“ პირველ მატჩში სათადარიგოთა სკამზე მყოფ **ვლადიმერ კამეშსა** და **იგორ ალეექსევს** შინ დარჩენა მოუხდათ...

**გია ტუხაშვილი**

სპარტაკი

# აფრიკელების მოლოდინში

სანამ ჩვენი „დიდი“ ოთხეული („ვიტ ჯორჯია“, „დინამო“ „ოლიმპი“, ზესტაფონი“) ევროტურნირების განმეორებითი მატჩებისთვის ემზადება, საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე სხვა გუნდებიც არ უქმობენ. ერთ-ერთი, ყველაზე აქტიურად რომ ემზადება ახალი სეზონისათვის, ცხინვალის „სპარტაკია“ - **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა შეკრება დაასრულა და ახლა მხოლოდ საკონტროლო მატჩებზე ექნება აღებული ძირითადი აქცენტი. რალა თქმა უნდა, ჩვეულებრივი საწვრთნელი პროცესი გაგრძელდება, მაგრამ ფეხბურთელებისათვის „კოშმარული“ ორჯერადი ვარჯიშები აღარ იქნება. „სპარტაკმა“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და მეტოქედ თბილისის „ლოკომოტივი“ ჰყავდა. მატჩის მეცხრე წუთზე ანგარიში **გიორგი კვახაძემ** გახსნა - „სპარტაკის“ ცენტრალურმა მცველმა თავური დარტყმით შეძლო გოლის გატანა. 12 წუთში „სპარტაკს“ ანგარიშის გაზრდის ჩინებული შანსი მიეცა, მაგრამ **რევაზ გოცირიძის** თერთმეტმეტრიანი „ლოკომოტივის“ მეკარე **მაქსიმე ქვილითაიამ** მოიგერია. მეორე ტაიმში, კონკრეტულად კი 70-ე წუთზე, „ლოკომოტივის“ ნახევარმცველმა **გიორგი ტიკურიშვილმა** (ერთწლიანი შესვენების მერე რომ დაუბრუნდა ყოფილ გუნდს) საჯარიმოდან ბურთი ზუსტად გაგზავნა „სპარტაკის“ კარში და ანგარიში გაათანაბრა. ხუთ წუთში იმავე ტიკურიშვილს გამარჯვების მომტანი გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ვერც მან იხეირა - ამჯერად უკვე „სპარტაკის“ გამოცდილმა მეკარე **ზურაბ ბათიაშვილმა** იყოჩალა და პენალტი მოიგერია. საბოლოოდ, მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა. გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

სპარტაკი: **ბათიაშვილი - შ. ჯიშკარიანი, გ. კვახაძე, დიდავა, ბოიომო (შალამბერიძე) - ოდიკაძე, ჩივაძე, ცხადაძე, ჩალაძე - რ. გოცირიძე, ლ. მელქაძე.**

ლოკომოტივი: **ქვილითაია - მიქაძე, ქორიძე, გვაძაბია, ბოჭორიშვილი, გადელია, ტიკურიშვილი, შენგელია, ჩაჩიბაია, გონაძე, შ. ჯიქია.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოვიდნენ: **ბელელური, ჭითანავა, მამარდაშვილი, ჩიკვილიძე, ოსეფაშვილი, ნეფარიძე, ჭალიაშვილი, აფხაზავა.**

„სპარტაკს“ სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა: **შონია** და **მაისურაძე** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი, **კბილცეცხლაშვილმა, ჩირიკაშვილმა** და **კეტაშვილმა** შეხვედრა სხვადასხვა სახის ტრავმის გამო გამოტოვეს. სხვათა შორის, „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში მოასპარეზე ორი ფეხბურთელი - **ვაჟა ქორიძე** და **შოთა ჯიქია** წინა სეზონში „სპარტაკის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ. როგორც „სპარტაკის“ მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** გვაცნობა, 23 ივლისს გუნდის თითოეულ ფეხბურთელთან კონტრაქტები გაფორმდება; 24-ში კი, როგორც უკვე გაცნობეთ, „სპარტაკი“ მორიგ სპარინგმატჩს ჩაატარებს. ეგ კი არა, დიდი შანსია, რომ 26 ივლისს „სპარტაკმა“ გორში უმასპინძლოს... კოტ დ'ივუარის ერთ-ერთ გუნდს! აფრიკელები თბილისში ამ დღეებში აპირებენ ჩამოსვლას და პირველი სპარინგიც სწორედ „სპარტაკთან“ დაგეგმეს. ამას გარდა, არ არის გამორიცხული, რომ კოტ დ'ივუარელთა გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა ახალ სეზონში „სპარტაკის“ ღირსება დაიცვას.

**გია ტუხაშვილი**


სპარტაკის კარს ზურაბ ბათიაშვილი იცავდა

საფეხბურთო თემიდა

# მსაჯებს ივანოვი დაგვიმოძღვრავს

რამდენიმე დღეა, ქართველი მსაჯები ახალი სეზონისთვის ემზადებიან. ისინი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ არიან შეკრებილები და ფიზიკურ დატვირთვებთან ერთად, თეორიულ ცოდნასაც ილრმავებენ. ეს კი არა, ამაზე უეფამაც იზრუნა და სემინარების ჩასატარებლად თბილისში მოავლინა ფიფას ყოფილი არბიტრი, ამჟამად კი ხსენებული ორგანიზაციის ინსტრუქტორი **ვალენტინ ივანოვი.**

რუსი რეფერი უკვე მესამე დღეა, თბილისშია და ჩვენს მსაჯებს უახლესი ვიდეომასალის დახმარებით სიახლეებს აცნობს, კითხულობს სემინარს საფეხბურთო მატჩების მსაჯობისთვის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებასა და სხვა სამსაჯო ნიუანსებზე. ამას გარდა, ივანოვი ქართველი მსაჯების თეორიულ და ფიზიკურ მეცადინეობასაც დაესწრო.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერები

# სილვეი და დენიელი კამერუნიდან

როგორც გაუწყეთ, ზუგდიდში კიდევ ორ ახალ ფეხბურთელს ელოდნენ. ლაპარაკი იყო მავან კამერუნელებზე. ელოდნენ და გამოჩნდნენ კიდეც - ურეკში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფ „მგლები"/"ბაიას" გაერთიანებულ გუნდს გუშინ აფრიკელები შეუერთდნენ. 20 წლის ცენტრალური მცველი **ასუ ისამა სილვეი** და 21 წლის თავდამსხმელი **ინამა უკუდა ჯეკ დენიელი** უკვე ზუგდიდელებთან ერთად ვარჯიშობენ.

სამწუხაროდ, ამ ფეხბურთელებზე სხვა ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ - საერთაშორისო ქსელში ამ ახალგაზრდებზე არაფერი წერია. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ზამბიელი **ჩისამბა ლუნგუს** დონისანი არ უნდა იყვნენ.

კამერუნელებზე ცოტა მეტი სცოდნია ზუგდიდელთა თავკაც **ბესიკ შეროზიას**, რომელმაც გვითხრა, რომ **სილვეი** კამერუნის რიგით მეორე დივიზიონში თამაშობდა, **დენიელს** კი, სამშობლოს გარდა, ტუნისის, კონგოსა და გაბონის გუნდებში აქვს ნათამაშები.

შეროზიასვე თქმით, როგორც სილვეისა და დენიელზე, ასევე ნახევარმცველებზე - რუს **დენის შეჩკინსა** და განელ **ფრანცის ბოადზე** დასაკვირვებლად, 23 და 24 ივლისს ზუგდიდელები სპეციალურ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ - ჯერ ოზურგეთის „მერცხალს" გაეჯიბრებიან, ხოლო მეორე დღეს ლანჩხუთის „გურიას" ან ფოთის „კოლხეთს".

და ბოლო ინფორმაცია ზუგდიდელთა ბანაკიდან - „გაგრასთან" მატჩში დაშავებული ჩისამბა ლუნგუს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. მეტიც - ზამბიელმა ფორვარდმა, რომელსაც ზუგდიდელებმა „საბა" შეარქვეს, გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა.

**დავით ცაბაძე**

ჩემპიონთა ლიგა

ქართველები გუშინ...



ამირან მუჯირი

# სამმა ქართველმა ვიტ ჯორჯიას დაასწრო

აზერბაიჯანის ჩემპიონი „ბაქი" ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზეა, სადაც ქართველ ლეგიონერთა გუნდი ბულგარეთის ჩემპიონ „ლევსკისთან" ორრაუნდიან ორთაბრძოლას გამართავს. „ეკრანასთან" საპასუხო მატჩის სანახავად 28 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა, ლიტვური 2:2-ის შემდეგ „ბაქი" ფავორიტი იყო. **ამირან მუჯირმა** და **გიორგი ადამიამ** სასტარტო შემადგენლობაში ითამაშეს. პირველ ტაიმში ერთი საკამათო ეპიზოდი შეიქმნა, როცა ადამია მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, სადაც წააქციეს, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. გიორგი 57-ე წუთზე **პერესმა** შეცვალა. მასპინძელთა მეორე გოლი ამირან მუჯირმა გაიტანა, მას შემდეგ, რაც ლიტველებს ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნა არ გამოუვიდათ. მუჯირი 70-ე წუთზე შეცვალეს, „ბაქიმ" კი 4:2 მოიგო.

მატჩის შემდეგ ამირან მუჯირმა თავისი შთაბეჭდილებები „აზერისპორტს" გაუზიარა: *„ახლა უკვე მხოლოდ „ლევსკისთან" მატჩზე ვფიქრობთ. ბულგარეთში მითამაშია და მათ ფეხბურთს კარგად ვიცნობ, „ბაქიმ" უნდა შეძლოს ამ ეტაპის გავლაც"*. სხვათა შორის, მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას ვინც ადევნებდა თვალს ნახავდა, რომ როგორც კი ბრაზილიელმა **ფელიქსმა** ანგარიში გახსნა, აზერბაიჯანელებმა დაწერეს: „სამბა, სამბა", ხოლო როცა ამირან მუჯირმა მეორე გოლი გაიტანა, გაჩნდა წარწერა: „მადლობ, მადლობ".

**ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფი" ტირასპოლშიც მინიმალურად გაუმკლავდა ფინურ „ინტერს" (1:0) და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა. 37 წლის თარხნიშვილმა 90 წუთი საიმედოდ ითამაშა დაცვაში, თამაშის მიწურულს გულშემატკივრებმა სპეციალურად ქართველი ლეგიონერისთვის მიძღვნილი სიმღერა „ვაჟა, ჩვენი კაპიტანი" იმღერეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონი

# იაშკამ ყოფილ გუნდს მოუგო


ალექსანდრე იაშვილი

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ალექსანდრე იაშვილმა** ყოფილ კლუბს, „ფრაიბურგს" ტესტმატჩში გადამწყვეტი გოლი გაუტანა, „კარლსრუემ" 3:2 იმარჯვა. მატჩის 79-ე წუთზე „ფრაიბურგის" კარში პენალტი დაინიშნა, რომლის შესრულება „კარლსრუეს" ქართველმა კაპიტანმა ითავა. მე-80 წუთზე იაშვილი **ცოლერით** შეცვალეს. „ფრაიბურგის" რიგებში არ ყოფილა 19 წლის **დავით თარგამაძე**, რომელიც „არაუსთან" ერთად ვარჯიშობს და შესაძლოა, იჯარით შვეიცარიულ გუნდში გადავიდეს. ამ შეხვედრას 6 700 გულშემატკივარი დაესწრო. „მიუნხენ 1860-მა" 2:0 მოუგო ბერძნულ „ირაკლისს", ამ შეხვედრაში **მათე ღვინიანიძეს** არ უთამაშია, ის 25 ივლისს „მალიორკას" წინააღმდეგ სპარინგში მიიღებს მონაწილეობას. მათეს ტრავმა ახალი მორჩენილი აქვს და მას ყოველ ტესტმატჩში არ ტვირთავენ.

ლიგა 1-ის „ლე მანმა" სპარინგმატჩში ქვედა ლიგის „ანჟერი" 2:0 დაამარცხა. თბილისის „დინამოს" ყოფილ მეკარე **დიდიე ოვონოს** თითის ტრავმა აწუხებს, ამიტომაც მატჩისთვის ორი გოლკიპერი ემზადებოდა **გიორგი მაკარიძე** და **როდოლფ როში**. „ანჟერთან" ამ უკანასკნელმა ითამაშა, მაკარიძე კი სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპის ჩემპიონატი

UEFA UNDER19 CHAMPIONSHIP — UEFA UNDER 19 EUROPEAN CHAMPIONSHIP

# მხოლოდ ესპანეთმა მოიგო...

გუშინ უკრაინაში დაიწყო ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. ეს შეჯიბრება 1948 წლიდან იმართება. ყველაზე მეტჯერ ტიტული ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებმა მოიპოვეს, ინგილისელები 9-ჯერ გახდნენ ჭაბუკთა შორის კონტინენტის ჩემპიონები, ესპანელებმა 7-ჯერ იპირველეს. 6-6-ჯერ ჩემპიონები გახდნენ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებები. საბჭოთა კავშირის ნაკრები ბოლოს 1988 და 1990 წლებში გაჩემპიონდა. 1988 წელს ნაკრების შემადგენლობაში ორი ჩვენებური იყო, **ომარ თეთრაძე** და **ბახვა თედეევი**.

ახლანდელ ტურნირს უკრაინის ორი ქალაქი მასპინძლობს - A ჯგუფის მატჩები დონეცკში ტარდება, ხოლო B ჯგუფის შეხვედრები - მარიუპოლში. ფინალური ეტაპი 8-გუნდიანია. უკრაინაში ევროპის მოწინავე კლუბების 50-მდე სკაუტი მომავალ ვარსკვლავებს დააკვირდება. 2 აგვისტოს მომავალი ჩემპიონი თასს თავად უეფას პრეზიდენტის, **მიშელ პლატინისგან** მიიღებს პრიზს. სხვათა შორის ჩემპიონატს სხვებთან ერთად ქართველი პრესოფიცერი **მამუკა კვარაცხელია** ემსახურება.

A ჯგუფში ინგლისი, სლოვენია, შვეიცარია და მასპინძელი უკრაინა მოხვდნენ, B-ში - საფრანგეთი, სერბეთი, ესპანეთი და თურქეთი. ტურნირს მიღმა 2008 წლის გათამაშების გამარჯვებული გერმანია დარჩა. ფინალურ ეტაპზე გასვლას საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიც შეეცადა, რომელსაც **ზაურ სვანაძე** ხელმძღვანელობდა. ჩვენებმა შესარჩევ ჯგუფში კვიპროსისა და დანიის ნაკრებთან ფრედ ითამაშეს და ჩეხებთან წააგეს. ფინალურ ეტაპზე ვერც დანიელები და ჩეხები გავიდნენ, ისინი ელიტრაუნდიდან გამოვარდნენ.

ჭაბუკთა ჩემპიონატზე, რა თქმა უნდა, ვერ იხილავთ მსოფლიო ფეხბურთის რომელიმე აღიარებულ ვარსკვლავს, თუმცა ამ ბიჭების დიდ ნაწილს კარგი პერსპექტივა აქვთ გახდნენ ასეთი ვარსკვლავები. ესპანეთის ნაკრებში სამ ფეხბურთელს გამოვყოფთ, „ატლეტიკოს" გოლკიპერ **დავიდ დე გეას**, „მურსიას" მარცხენა შემტევ **აკინოს** და ლონდონის „არსენალის" ნახევარმცველ **ფრან მერიდას**. მერიდა „ბარსელონადან" გადაიბირეს ლონდონელებმა, ის სწორედ **სესკ ფაბრეგასის** ინგლისურმა წარმატებამ მოხიბლა. ფრანგთა გუნდიდანაც სამ მოთამაშეს გამოვყოფთ: „სოშოს" მარჯვენაფლანგელ **რაიად ბუდებუზს**, რენელ **იასინ ბრაჰიმის** და პსჟ-ის შუახაზელ **მამადუ საჰოს**. თურქეთის ნაკრებში **სერკან ილდირიმი** ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია, მან თურქულ სუპერლიგაში 13 გოლი გაიტანა ბოლო სეზონში, რაც 18 წლის ბიჭისთვის დიდებული შედეგია, თანაც ილდირიმი ნახევარმცველია. გამოსარჩევია „გალათასარაის" მარჯვენა მცველი **სერკან კურტულუშიც**. სხვათა შორის, ორივე ბურსელია და ქართული წარმოშობისაა. სერბთაგან **ადემ ლიაიჩს** გამოვყოფთ, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში" ირიცხება და იჯარის წესით „პარტიზანში" თამაშობს.

გუშინ პირველი ტურის მატჩები გაიმართა. გახსნის შეხვედრაში ინგლისის ნაკრებმა მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე გაუშვა ხელიდან გამარჯვება, შვეიცარიელმა **სებასტიენ ვიუტრიხმა** სულ ბოლო მომენტში გაიტანა საპასუხო გოლი - 1:1. **ბრაიან ისტიკის** გუნდი პირველ ტაიმში დაწინაურდა, როდესაც „ლესტერ სიტის" მცველმა **ჯო მეტოკმა** შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა 34-ე წუთზე. მეორე ტაიმში „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდს, **დენი ველბეკს** შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა, მაგრამ მის დარტყმულს მცველი გადაელობა. **სებასტიენ ვიუტრიხის** საპასუხო დარტყმა კი იმდენად ძლიერი იყო, რომ „მიდლსბროს" გოლკიპერ **ჯეისონ სტილს** თავგანწირულმა ნახტომმაც ვერ უშველა. ჯგუფის მეორე მატჩში მასპინძლებს იმედგაცრუება ელოდათ, **იური კალიტვინცევის** ნაკრებმა ვერ შეძლო სლოვენიელთა დამარცხება, არადა სლოვენია დონეცკში რამდენიმე ლიდერის გარეშე ჩავიდა - მილანის „ინტერმა" მათი კაპიტანი **რენე ხრინი** არ გაუშვა ევროპის ჩემპიონატზე. უკრაინელები უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ მომენტებს ვერ იყენებდნენ, 76-ე წუთზე მათ მსაჯმა გაუიოლა დავალება, როცა მოედნიდან **ბობან იოვიჩი** მიაბრძანა, მაგრამ სლოვენიამ ბოლომდე გაძლო - 0:0.

B ჯგუფში საფრანგეთმა და სერბეთმა გოლები გაცვალეს - 1:1, თამაში კარგი საყურებელი გამოდგა. თავიდანვე უპირატესობა სერბებმა იგდეს ხელთ და რომ არა ფრანგთა მეკარის, **აბდულაიე კეიტას** თავგანწირული თამაში, ანგარიშშიც დაწინაურდებოდნენ. პირველი გოლი „რენის" მოთამაშეთა კომბინაციას მოჰყვა, **დამიენ ლე ტალეკი** მარცხნიდან შეიჭრა საჯარიმოში და მისი პასით იასინ ბრაჰიმიმ ანგარიში გახსნა. სერბებმა 4 წუთში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, თავი ფორვარდმა **დანიელ ალექშიჩმა** გამოიჩინა.

წუხელ ესპანეთის ნაკრებმა მოუგო თურქეთს, არადა პირველი ტაიმი **ერენ ალბაირაკის** გოლის „წყალობით" 0:1 დათმო. მეორე ტაიმში ესპანეთის ნაკრებში თავი გამოიჩინეს **ფალგემ** (პენალტი) და **სან მარტინმა** - 2:1

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


სებასტიენ ვიუტრიხმა (მარცხნივ) ბოლო წამზე ინგლისი დაამწუხრა

ჰერთა

# ბერლინი დეჟაგას უხმობს

## ფავრი გუნდს სტანდარტებზე ავარჯიშებს

ბუნდესლიგის სტარტისთვის ბერლინის „ჰერტაც" გამალებით ემზადება. დედაქალაქელთა მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** თავის შეგირდებს ახლა ახალ ტაქტიკურ სქემაზე ავარჯიშებს. თურქულ „ბურსასპორთან" ტესტმატჩში, რომელიც ბერლინელებმა 2:1 მოიგეს, შვეიცარიელმა სპეციალისტმა გუნდი არა 4-4-2-ით, არამედ 4-3-3-ით ათამაშა. თავდასხმაში მან მარცხნივ **რაფაელი** გაამწესა, მარჯვნივ **ხერმიტი**, ცენტრში კი „არმინიადან" გადაბირებული **არტურ ვიხნიარეკი** იდგა.

*„ვფიქრობ, ამ ტაქტიკით გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. 4-3-3 მომავალი სეზონისთვის ერთ-ერთი ვარიანტია,"* - ეს „ჰერტას" გენერალური მენეჯერის, **მიხაელ პრეეტცის** სიტყვებია. აღსანიშნავია ის, რომ ისევე, როგორც „ფერენცვაროშთან" მატჩში (2:0), ბერლინელებმა ამ თამაშშიც სტანდარტული მდგომარეობებიდან იხეირეს - ორივე მატჩში გოლები რაფაელის კუთხურებს მოჰყვა და გოლები კვლავ **სისერომ** და **გოიკო კაჩარმა** (ორივემ თავით) გაიტანეს.

საინტერესო კი ის არის, რომ გასულ სეზონში „ჰერტამ" ბუნდესლიგაში სტანდარტული მდგომარეობიდან ყველაზე ცოტა, 8 გოლი გაიტანა. ეს მაშინ, როცა ამ მხრივ თვით „არმინია" (10), „კარლსრუე" (10) და „კოტბუსიც" (11) კი უკეთ გამოიყურებოდნენ (სამივე ეს გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდა). აქვე გეტყვით, რომ ბუნდესლიგის გასულ სეზონში სტანდარტული მდგომარეობებიდან ყველაზე მეტი გოლი ჩემპიონმა „ვოლფსბურგმა" გაიტანა - 30. *„ჩვენ ვიცოდით, რომ ამ მხრივ ძალიან უნდა გამოვსწორებულიყავით და აი, შედეგიც სახეზეა,"* - ამბობს პრეეტცი.

რაც შეეხება „ჰერტას" სატრანსფერო გეგმებს: დიდი შანსია, რომ ბერლინელებმა კაჩარის თანამემამულე 21 წლის **ნემანია პეჟჩინოვიჩი** გადაიბირონ, რომელიც „ჰერტაში" სინჯებზეა და ფავრს თავი მოაწონა. ეს უკანასკნელი მცველი გახლავთ და ის ბერლინულ კლუბში **იოზიპ შიმუნიჩის** („ჰოფენჰაიმში" გადავიდა) შემცვლელად განიხილება. და კიდევ: „ჰერტას" ხელმძღვანელებს ძალიან უნდათ, რომ გუნდში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული **აშკან დეჟაგა** (ვოლფსბურგი) დააბრუნონ. ეს უკანასკნელი 2007 წლამდე სწორედ „ჰერტას" ღირსებას იცავდა და ხსენებულ დროს „მგლებში" გადავიდა. 23 წლის დეჟაგას „ვოლფსბურგთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და ახლახან, ვოლფსბურგელებმა მას **ქარიმ ზიანის** სახით, გვერდში ძალიან სერიოზული კონკურენტი ამოუყენეს...

**გოტფრიდ ლენცი**



დაბრუნდება აშკან დეჟაგა ბერლინში?

სერია A



ფაბიო კანავარო სკუდეტოს უმიზნებს

# საჩემპიონო რიტორიკა ძალას იკრებს

**ფაბიო კანავარო** ენთუზიაზმით არის აღსავსე. როგორც ჩანს, „რეალიდან" „იუვენტუსში" გადაბარგებამ მასზე ძალიან კარგად იმოქმედა. ნათელი გახლდათ, რომ „სკუადრა აძურას" კაპიტანს ესპანეთში თამაში აღარ ეპიტნავებოდა და გული სამშობლოსკენ მიუწევდა. ტურინში ჩასულს ბევრი პრობლემა დახვდა, გულშემატკივართა ნაწილმა მისი დაბრუნება გააპროტესტა, თუმცა დროთა განმავლობაში ყველაფერი დალაგდა და ფაბიოც ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. კანავარო მშვიდად არის და მომავალი სეზონისთვის გამალებით ემზადება. მიზანი სკუდეტოა, ამის შესახებ ჟურნალისტთან საუბარში თავად კანავარომ განაცხადა:

*„იუვენტუსი" ძველ დიდებას იბრუნებს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული და ჩემი სიტყვების სისწორეში თქვენც ძალიან მალე დარწმუნდებით. გუნდში ისეთი ფეხბურთელები იყრიან თავს, რომლებსაც გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვთ. ჩემი აზრით, იტალიაში არავის ჩამოვუვარდებით, მათ შორის არც „ინტერს". რა იქნება გუნდის უმთავრესი მიზანი? - რა თქმა უნდა, სკუდეტოს მოპოვება. საგულისხმოა, რომ ტიფოზები პირველ რიგში სწორედ ეროვნული პირველობის მოგებას გვთხოვენ და მხოლოდ შემდეგ ახსენდებათ ჩემპიონთა ლიგა. თანაც, ლიგა სპეციფიკური ტურნირია. იქ რაიმეს დაგეგმვა წარმოუდგენელი და აბსურდულია. უბრალოდ უნდა ითამაშო და თუ სიძლიერესთან ერთად, იღბალმაც გაგიღიმა, შესაძლოა თასი მოიგო. იტალიის ჩემპიონატი კი მარათონია და აქ, უფრო მეტად ხარ დაზღვეული. თუ მოწოდების სიმაღლეზე იქნები, სკუდეტოს აუცილებლად მოიგებ. ეროვნული პირველობა შეცდომის გამოსწორების შანსს გაძლევს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ისე არ გამიგოთ, ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე ხელი მქონდეს ჩაქნეული, უბრალოდ, აღვნიშნე, რომ ლიგაში ბევრი რამე იღბალზეა დამოკიდებული".*

ამასობაში, გარკვეული პაუზის შემდეგ ჟურნალისტებთან **ჟოზე მოურინიო** გამოჩნდა და ჩვეული, ამბიციური განცხადებაც გააკეთა:

*„შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მომავალ სეზონში „ინტერი" უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე გასულ წელს გახლდათ. და ეს მიუხედავად იმისა, დატოვებს თუ არა გუნდს ზლატან იბრაჰიმოვიჩი. მოსამზადებელი ეტაპის გეგმა უკვე გაწერილია და ყველაფერი შესანიშნავად მიდის. თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, სკუდეტოს მომავალ სეზონშიც ჩვენ მოვიგებთ. ისე არ გამიგოთ, მეტოქეებს პატივს არ ვცემდე, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან რეალური კონკურენტი არ გვყავს. „მილანი" წამყვან ფეხბურთელებს გამოეთხოვა და აშკარად დასუსტდა, „იუვენტუსი" კი ჯერ მზად არ არის უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად".*

კანავაროს და მოურინიოს ამბიციები გასაგებია, მაგრამ **ადრიან მუტუს** ოპტიმიზმი, ცოტა არ იყოს, გადამეტებულად გვეჩვენება. დიახ, სკუდეტოზე თურმე „ფიორენტინას" რუმინელი თავდამსხმელიც ფიქრობს და ამას არც მალავს:

*„რატომღაც ყველამ ჩამოგვწერა და ამის მიზეზს უბრალოდ ვერ ვხვდები. ფელიპე მელოს სახით, მართლაც ძლიერმა ფეხბურთელმა დაგვტოვა, მაგრამ ამის გამო ფლორენციაში ტრაგედია არავის შეუქმნია. „ვიოლა" კვლავინდებურად კონკურენტუნარიანი გუნდია და დარწმუნებული ვარ, პროგრესი არ შეჩერდება. მომავალ სეზონში, ჩვენი უმთავრესი მიზანი კვლავაც ოთხეულში მოხვედრა იქნება, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთ. ჩვენს გუნდს ამის ძალა ნამდვილად შესწევს. მთავარია, საკუთარი თავის ვირწმუნოთ და მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურობა შევინარჩუნოთ".*

როგორც ხედავთ, სერია A-ს კლუბები უკვე კბილებს ილესავენ, ჩვენც მეტი რა გვინდა, წინ მართლაც საინტერესო სეზონი გველის.

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## სამირი სამთვიანია

**სამირ ნასრიმ** ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა და სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. ეს ამბავი ავსტრიაში მოხდა, სადაც „არსენალი" სეზონისწინა შეკრებას გადის. ექიმების დასკვნით, ფრანგს სამთვიანი მკურნალობისა და აღდგენის კურსი დასჭირდება.

დღეს, როცა პრემიერლიგის დაწყებამდე ერთ თვეზე ნაკლები რჩება, ნასრის ტრავმა **არსენ ვენგერისთვის** დიდი დარტყმაა. მართალია, 18-თვიანი მკურნალობის შემდეგ ლონდონელებს **ტომაშ როსიცკი** დაუბრუნდათ, მაგრამ არ არის გამორიცხული, სატრანსფერო ბაზარზე გავიდნენ - „მანჩესტერ სიტისთვის" **ემანუელ ადებაიორის** მიყიდვის შემდეგ „არსენალს" 25 მილიონი ფუნტი გაუჩნდა...

## პიტერის ვარიანტები

„ფრეტონ პარკიდან" **პიტერ კრაუჩის** აბარგების პროცესი გრძელდება, თუმცა ეს პროცესი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ახმახ ფორვარდს ერთბაშად 3 ვარიანტი აქვს: „სანდერლენდი", „ფულჰემი" და „ტოტენჰემი". ცოტა ხნის წინ ყველას ეგონა, რომ ის „სანდერლენდში" გადავიდოდა და ამით ყველაფერს წერტილი დაესმებოდა, მაგრამ... დღეს ეს ტრანსფერი ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი. თავად კრაუჩს გული „ფულჰემისკენ" მიუწევს. მიზეზი? - ლონდონელები ევროპის ლიგაში ითამაშებენ.

## მარტინი და იუვე მარტივად ვერ გამოვა?

„იუვენტუსს" ურუგვაელი მცველის **მარტინ კასერესის** შეძენა სურს, მაგრამ ტურინელებიცა და „ბარსელონაც" ჯერჯერობით ხელფეხშეკრულები არიან - უცნობია თავად ფეხბურთელის პოზიცია. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელის აგენტი, წარსულში ცნობილი თავდამსხმელი **დანიელ ფონსეკა** დარწმუნებულია, რომ ყველაფერი მაქსიმუმ ათ დღეში მოგვარდება.

„ბარსელონას" მწვრთნელმა **პეპ გვარდიოლამ** კასერესს უთხრა, რომ თავისუფალია და სადაც უნდა, იქ წავიდეს. 22 წლის მცველი გასულ სეზონში **კარლეს პუიოლისა** და **ხერარდ პიკეს** ფონზე დაიჩაგრა და კატალონიურ გრანდში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა.

## მალუდამ ჩელსის მოუწერა...

გუშინ **ფლორან მალუდამ** „ჩელსის" ბედი კიდევ 3 წლით დაუკავშირა. მოქმედ კონტრაქტში მას კიდევ ერთი წელიწადი ჰქონდა დარჩენილი და „სტემფორდ ბრიჯზე" ეჭვობდნენ, გაეგრძელებინათ თუ არა ხელშეკრულება. ერთი, რომ მალუდას რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა, და კიდევ - მან ჯერჯერობით ვერ გაამართლა იმედები...

მაგრამ აი, მოვიდა **კარლო ანჩელოტი** და ბოსებს მალუდასთან თანამშრომლობის გაგრძელება სთხოვა. „სიეტლთან" საკონტროლო მატჩში კარლეტომ ის მარცხენა ნახევარმცველად გაამწესა და კმაყოფილიც დარჩა. ეტყობა, ამის მერე დარწმუნდა, რომ მალუდა საჭირო კაცია...

**ილია ბაბუნაშვილი**

ინტერი

# ლუსიო ნერაძურის ამერიკაში დაეწია

ესეცასე, „ინტერმა" კიდევ ერთი ვარსკვლავი შეიძინა. რამდენიმეკვირიანი მოლაპარაკებების შემდეგ, **ლუსიო** მიუნხენის „ბაიერნიდან" „ნერაძურიში" ოფიციალურად გადაბარგდა. ეს ამბავი, გუშინ მილანური გრანდის ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა. ბრაზილიელმა უკანახაზელმა იტალიურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე გააფორმა და ამით ყველანაირ სპეკულაციას წერტილი დაუსვა. ხელშეკრულების სხვა დეტალები ცნობილი არაა, მათ შორის არც ის, თუ რა თანხას გადაუხდიან ლომბარდიელები ფეხბურთელს ყოველწლიურად. სამაგიეროდ, გამოჟონილი ინფორმაციის მიხედვით, რომელიც დიდი ალბათობით ზუსტი გახლავთ, „ინტერი" ლუსიოს სანაცვლოდ „ბაიერნს" რვა მილიონ ევროს გადაუხდის.



ლუსიო ლოს ანჯელესში

„ინტერი" ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც შეკრებას გადის. გუნდთან ერთად არის ლუსიოც, რომელიც პრესასთან მცირე კომენტარით შემოიფარგლა: *„მოურინიოსთან მუშაობა ყოველთვის მსურდა და ბედნიერი ვარ, რომ ამის საშუალება მომეცემა. „ინტერი" დიდი გუნდია, რომლის რიგებში ყოფნაც ჩემთვის უდიდესი პატივია. გუნდთან ადაპტირება არ გამიჭირდება, რადგან ახალი თანაგუნდელების უმეტესობას კარგად ვიცნობ. მაგალითად, მაიკონი ჩემი უახლოესი მეგობარია და საწყის ეტაპზე, ყველაფერში ის გამარკვევს".*

**ლაშა ნიკლაური**

გერმანიის სუპერთასი

# გერმანიის სუპერთასი ვერდერს

## ბრემენელმა მუსიკოსებმა მგლებს თავის დაკრულზე აცეკვეს



ფოლკსვაგენის სუპერთასი ვერდერს დარჩა

**ვოლფსბურგი–ვერდერი 1:2**

**ვოლფსბურგი:** ჰიტცი - რიტერი (63. პეკარიკი), მადლუნგი (46. რიკარდო კოშტა), ბარძალი (84. შიმუნეკი), შეფერი - ძაკარდო (46. ზიანი), კალენბერგი (63. ბაიერი), გენტნერი - მიშიმოვიჩი - გრაფიტე, ესვაინი (79. კაიუბი).

**ვერდერი:** ვიზე - ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო (88. პასანენი), ტოშიჩი (73. ბიონიში) - ნიმაერი (46. ჰარნიკი), ფრინგსი, ბარგფრედე (73. ვრანიეში), ჰანტი (73. იოზილი) - მორენო (60. ფუტაში), სანოგო.

*91-ე წუთზე ფრინგსმა (ვერდერი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 0:1 მერტეზაკერი (20), 1:1 გრაფიტე (67), 1:2 ფრიტცი (81)

**გაძევება:** ბაიერი (91. ვოლფსბურგი)

**მაყურებელი:** 18 000

გერმანიაში ახალი სეზონის პირველი ოფიციალური ტიტული გათამაშდა: ბრემენის „ვერდერმა" „ფოლკსვაგენის" სუპერთასი მოიპოვა, დაამარცხა რა გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „ვოლფსბურგი" ანგარიშით 2:1. როგორც იცით, სუპერთასი გერმანიაში წელს დაბრუნდა და ლიგის თასი შეცვალა. სუპერთასისთვის „ვერდერი" და „ვოლფსბურგი" იმიტომ იბრძოდნენ, რომ ერთი გერმანიის თასის მფლობელია, მეორე კი ჩემპიონი.

ეს გახლდათ „ვოლფსბურგის" ახალი დამრიგებლის, **არმინ ფეეს** პირველი ოფიციალური მატჩი და მას ბრემენელებმა დებიუტი ჩაუმწარეს. უნდა ითქვას, რომ „მგლებმა" ძალიან ცუდად ითამაშეს. პირველ ტაიმში „ვოლფსბურგს" ხეირიანი არაფერი გაუკეთებია. სტუმრები კი (მატჩი ვოლფსბურგში, „ფოლკსვაგენარენაზე" ჩატარდა) გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და მე-20 წუთზე დაწინაურდნენ კიდეც: **ტორსტენ ფრინგსმა** კუთხური ჩააწოდა, **ბუბაკარ სანოგომ** ბურთს მიმართულება შეუცვალა, რითაც **პერ მერტეზაკერმა** ისარგებლა, „მგლების" მცველ **ალექსანდერ მადლუნგზე** სწრაფი აღმოჩნდა და ბრემენელები დააწინაურა.

აღსანიშნავია, რომ „ვოლფსბურგს" ვერ დაეხმარა **ედინ ჯეკო**, რომელიც ტრავმირებული გახლავთ. ბოსნიელმა გოლეადორმა შესვენებისას ჟურნალისტებს განუცხადა, ამ მატჩის შემოტრიალება ძალიან ძნელი იქნება, რადგან მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ერთი რეალური საგოლე მომენტიც კი არ გვქონიაო.

თუმცა „მგლებმა" მეორე ნახევარში ცდა არ დააკლეს და ანგარიშიც გაათანაბრეს: **მარსელ შეფერის** გრძელ პასს **გრაფიტე** გამოეხმაურა, რომელმაც **ჰარნიკსა** და **ტოშიჩს** გაასწრო და 22 მეტრიდან გაიტანა (67-ე წუთი). გაშვებული გოლის შემდეგ, ბრემენელები მხოლოდ ცოტა ხანს იყვნენ შოკში. მერე კი ისევ აზრზე მოვიდნენ და 82-ე წუთზე **კლემენს ფრიტცმა** შვიდი მეტრიდან შეძლო გოლის გატანა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში მსაჯმა **ბაიერი** ხელით განგებ თამაშის გამო მოედნიდან გააძევა, ხოლო ფრინგსმა კი პენალტი ვერ გამოიყენა - მისი დარტყმა „ვოლფსბურგის" მესამე მეკარე **ჰიტცმა** მოიგერია (ძირითადი კიპერი **დიეგო ბენალიო** ტრავმირებულია). ვოლფსბურგელთაგან **ზვიეზდან მიშიმოვიჩს** შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ვერ ივარგა, თუმცა ამ ამბავს მერტეზაკერისა და ფრინგსის ურთიერთშელაპარაკება მოჰყვა. ტორსტენი და პერი მხოლოდ საფინალო სასტვენის შემდეგღა „შერიგდნენ". საბოლოოდ, სუპერთასი „ვერდერს" დარჩა. აქვე გეტყვით, რომ ვოლფსბურგი" მესამე მაღალი კლასის თავდამსხმელის ძებნას აგრძელებს - მთავარი კანდიდატები: **ნილმარი** (25 წლის, პორტო ალეგრე) და **ობაფემი მარტინსი** (24 წლის, ნიუკასლი).

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### კიოლნმა რეალის მცველი შეიძინა

**მანიშეს** ტრანსფერის შემდეგ, „კიოლნმა" კიდევ ერთი ახალწვეული გაიფორმა. „თხებმა" მადრიდის „რეალის" 20 წლის მცველი **კრისტოფერ შორხი** გადაიბირეს. ეს უკანასკნელი „სამეფო გუნდის" მეორე შემადგენლობაში ასპარეზობდა. ახალგაზრდა გერმანელმა მცველმა „კიოლნთან" კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, „თხებმა" „რეალს" მის სანაცვლოდ 1 მილიონი ევრო გადაუხადეს.

**გოტფრიდ ლენცი**

### ყენიას კონკურენტი დაშავებულია

„შალკეს" შემტევმა ნახევარმცველმა **ივან რაკიტიჩმა**, რომელიც **ლევან ყენიას** უმთავრესი კონკურენტია, ტრავმა მიიღო და სეზონის სტარტს გამოტოვებს. ხორვატი ნახევარმცველი კვირას, „ბაიერნთან" ტესტმატჩში (1:2) დაშავდა. როგორც გელზენკირხენული კლუბის ექიმები იტყობინებიან, რაკიტიჩს ოპერაცია არ სჭირდება, მაგრამ ფაქტია, რომ ლაზარეთში მინიმუმ 3-4 კვირას გაატარებს. ამრიგად, ბუნდესლიგის პირველ ტურში (8 აგვისტოს, „ნიურნბერგთან") „შალკეს" თავკაცი **ფელიქს მაგათი** რაკიტიჩს ვერ დაიხმარს. რაკიტიჩთან ერთად, ახალი სეზონის პირველ ტურებში „ხუმარებს" ვერც **ჯერმეინ ჯონსი** და **კრისტიან პანდერი** (ლევან **კობიაშვილის** კონკურენტი დაცვის მარცხენა ფლანგზე) დაეხმარებიან.

**გოტფრიდ ლენცი**

პორტრეტი

# ბაიერნის ჯონ ტერი

## 20 წლის ჰოლგერ ბადშტუბერი ვან გაალის ერთ-ერთი ფავორიტია

**მას მერე, რაც მიუნხენის „ბაიერნს" ლუის ვან გაალი წვრთნის, რეკორდმაისტერში ახალგაზრდა, ყველასათვის უცნობი ცენტრალური მცველი გამოჩნდა: ჰოლგერ ბადშტუბერი. 20 წლის ცაცია უკანახაზელმა იმდენი მოახერხა, რომ მოყვარულთა გუნდიდან პროფესიონალებში გადაიყვანეს და ვან გაალსაც იმდენად მოაწონა თავი, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი აქამდე ყველასათვის უცნობ ბადშტუბერს ძირითადი შემადგენლობის კანდიდატად განიხილავს. ბავარიელებმა ლუსიოც კი გაყიდეს და ახალი ცენტრალური მცველის ყიდვაზე არცკი ფიქრობენ - ისევ და ისევ იმის გამო, რომ ვან გაალს ბადშტუბერი ძალიან მოსწონს.**

იშვიათია შემთხვევა, როცა **ჰერმან გერლანდი** ფეხბურთელს ძალიან აქებს. შეგახსენებთ: ეს პიროვნება გასულ სეზონში „ბაიერნის" მოყვარულთა გუნდს წვრთნიდა, ახლა კი ვან გაალის მარჯვენა ხელია და გერლანდი ძალიან მკაცრი მწვრთნელის სახელითაა ცნობილი. „მწამებელი ჰერმანის" კრედო ასეთია: *„როდესაც ფეხბურთელს კარგს ვუწოდებ, ის ჩემგან ამაზე უკეთეს ეპითეტს არ უნდა ელოდოს!"*

ბადშტუბერის შემთხვევაში კი, გერლანდმა გამონაკლისი დაუშვა და ფეხბურთელის ქება-დიდება ჯერ კიდევ იმ დროიდან დაიწყო, სანამ ვან გაალი „ბაიერნის" თავკაცად დაინიშნებოდა. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან სწორედ გერლანდმა გადაიყვანა 13 წლის ჰოლგერი შტუტგარტიდან მიუნხენში, 2002 წელს. გერლანდი ჰოლგერის მამის, ჰერმან ბადშტუბერის ახლო მეგობარია და მას მერე, რაც 13 წლის ბავშვი „ბაიერნში" ჩაირიცხა, გერლანდი ბადშტუბერს პირადად წვრთნიდა, მასზე პირადად ზრუნავდა. „შტუტგარტში" კი პატარა ჰოლგერი თავის დროზე მამამისმა წაიყვანა - უფროსი ბადშტუბერი შვაბური კლუბის ე.წ. „დ" გენერაციას წვრთნიდა. მაგრამ ჰოლგერი პატარაობიდანვე „ბაიერნის" ფანი გახლდათ და მას მერე, რაც ფეხბურთის ყურება და თამაში დაიწყო, მხოლოდ რეკორდმაისტერს გულშემატკივრობდა.

*„მე ყოველთვის „ბაიერნის" უდიდესი ფანი ვიყავი. იგივე ითქმის მამაჩემზეც, რომელიც რეკორდმაისტერს ძალიან ადრე ქომაგობდა. მამა მუდმივად ერთსა და იმავეს მიმეორებდა, შენ „ბაიერნში" უნდა ითამაშოო,"* - ამბობს ბადშტუბერი და როგორც ხედავთ, მისი ოცნება ასრულებულია - ჰოლგერი მიუნხენური გრანდის პირველი გუნდის წევრია და თანაც, შესანიშნავი პერსპექტივა აქვს, ითამაშოს რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში.

როდესაც ჟურნალისტები „ბაიერნში" ჩატარებული პირველი ვარჯიშის შემდეგ კითხვებს უსვამდნენ, ჰოლგერი ძალიან ნერვიულობდა და ერთ მომენტში თვალებზე ცრემლებიც კი მოადგა - მარტში მამამისი გარდაიცვალა. ანუ, ჰერმან ბადშტუბერი ვერ მოესწრო იმ ბედნიერ დღეს, როცა მისი ვაჟი „ბაიერნის" პირველ გუნდში ჩაირიცხა.

*„ის ძალიან კარგი ოჯახიდანაა. მშობლებმა იდეალურად აღზარდეს და ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს ყველა ის მნიშვნელოვანი ღირებულებები, რაც ნებისმიერმა ადამიანმა უნდა გაითავისოს. ჰოლგერი ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს ახალგაზრდა კაცი,"* - ეს სიტყვები „ბაიერნის" ბავშვთა გუნდების განყოფილების უფროსს, **ვერნერ კერნს** ეკუთვნის.

ბადშტუბერმა მიუნხენში 13 წლიდან ყველა ასაკობრივ გუნდში ითამაშა და ბოლოს მოყვარულთა, ანუ, მეორე გუნდში მოხვდა, რომელსაც გერლანდი წვრთნიდა. აღსანიშნავია, რომ მოყვარულთა გუნდამდე ბადშტუბერს ყველგან ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებდნენ - მიუხედავად იმისა, რომ ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ 1.90 მეტრი სიმაღლის ფეხბურთელისთვის დაცვის ცენტრში თამაში იყო ზედგამოჭრილი. კერნი ამბობს, ჩვენ მასში თავიდანვე ცენტრალურ მცველს ვხედავდით, მაგრამ სპეციალურად ვათამაშებდით საყრდენის პოზიციაზე, რათა უფრო გახსნილიყო და თამაშის ორგანიზებაც ესწავლა, რაც თანამედროვე ფეხბურთში მცველისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორიაო.

საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ჰოლგერმა ისწავლა ყველაფერი ის, რაც ცენტრალური მცველის ამპლუის მოთამაშეს სჭირდებოდა და გარდა ამისა, ნახევარდაცვაში გაცილებით მძიმე წნეხის გადატანა უწევდა. *„ექვსიანის პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელისთვის აუცილებელია, რომ კარგად თამაშობდეს თავით, იყოს სტრატეგი, ერთვებოდეს შეტევაში და შეეძლოს გუნდის მომართვა. ეს ყველაფერი მან უკვე ისწავლა და ახლა თამამად შეუძლია, დაცვაში ითამაშოს,"* - ამბობს კერნი.

თავის დროზე, მიუნხენელებმა ასეთივე მეთოდებით აღზარდეს **მატს ჰუმელსიც**, რომელიც ცოტა ხნის წინათ დორტმუნდის „ბორუსიას" 4.2 მილიონ ევროდ მიჰყიდეს. კერნი ჰუმელსს ბადშტუბერზე ოდნავ უკეთეს ფეხბურთელად მიიჩნევს, მაგრამ ამბობს, ჰოლგერს შეუძლია, ჰუმელსზე დიდი ფეხბურთელი გახდეს, ის მატსზე სწრაფია და ორთაბრძოლებში გაცილებით ვაჟკაცურად შედისო. აღსანიშნავია, რომ მოყვარულთა გუნდში ბადშტუბერი ყველაზე სწრაფი იყო და ფიზიკურადაც ყველაზე ძლიერი გახლდათ, რაც გერლანდის დამსახურებაა, რომელიც ჰოლგერს ფაქტობრივად დღე და ღამე ავარჯიშებდა. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ჰოლგერი ადგილიდან 55 სანტიმეტრის სიმაღლეზე ხტება და რაკი ისედაც მაღალია (1.90 მეტრი), ეს ფაქტორი მას მეორე სართულზე თამაშისთვის იდეალურ ფეხბურთელად აქცევს. ჰოლგერი საჰაერო ორთაბრძოლებს ძალიან იშვიათად, თითქმის არასდროს აგებს.

თუკი ნახევარმცველობის ჟამს მისთვის მისაბაძი მაგალითი „ბარსელონას" ნახევარმცველი **ანდრეს ინიესტა** იყო, მას მერე, რაც დაცვაში ასპარეზობს, ყველაზე მეტად „ჩელსი" დაცვის ბურჯ **ჯონ ტერის** და „ბარსას" ახალგაზრდა მცველ **ხერარდ პიკეს** ეტრფის. ტერიში ყველაზე მეტად თამაშის სტილი და ჯონის მეორე სართულზე თამაში მოსწონს. და რაც შეეხება პიკეს: *„ის მაღალი და გამხდარია, როგორც მე და ორივე ფეხით ძალიან კარგად თამაშობს. პიკეს „ბარსელონასა" და „ბაიერნის" მატჩის დროს ვაკვირდებოდი და მაშინ აღმოვაჩინე, რომ მსოფლიო ფეხბურთში მისი სახით ძალიან ნიჭიერი მცველი გამოჩნდა,"* - ამბობს ბადშტუბერი.



ჰოლგერ ბადშტუბერი

იმის გამო, რომ ვან გაალი მარცხენა ცენტრალური მცველის პოზიციაზე ცაცია ფეხბურთელებს ანიჭებს უპირატესობას, ბადშტუბერს „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ამ ეტაპზე ადგილი გარანტირებული აქვს. *„ჩემი შესაძლებლობები ყოველდღე, ყოველ ვარჯიშზე თუ არ დავამტკიცე, შეიძლება ყველაფერი ძალიან სწრაფად შეიცვალოს. თუ ცუდად ვივარჯიშებ და ვითამაშებ, მწვრთნელი ისევ სათადარიგოთა სკამზე დამაბრუნებს და ჩემს ადგილზე ბრააფჰეიდს ათამაშებს, ან გადაწყვეტილებას შეცვლის და მარტინ დემიკელისის გვერდით ისეთ ფეხბურთელს გაამწესებს, რომელიც ცაცია არ არის,"* - ამბობს ჰოლგერი.

თუმცა ფაქტია, რომ ვან გაალს ბადშტუბერი ძალიან მოსწონს - ლუისი ჰოლგერს დანიშვნის დღიდან ძალიან აქებს. თვითონ ბადშტუბერიც ამბობს, ვან გაალის სახით ისეთი მწვრთნელის ხელში მოვხვდი, რომელსაც შეუძლია, დიდი ფეხბურთელი გამხადოსო.

ბავარიელებმა ლუსიო დაუფიქრებლად გაყიდეს და ახალი ცენტრალური მცველის შეძენაზე ჯერ არ ფიქრობენ. მათ ჩელსელი **ბოსინგვას** ყიდვა სურდათ, ოღონდ მარჯვენა ფლანგისთვის, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. ჰოდა, თუკი რეკორდმაისტერი სხვა მარჯვენა მცველს არ იყიდის, გამოდის, რომ ბადშტუბერს ძირითადში ადგილი განაღდებული აქვს. ხოლო თუ მიუნხენში მაინც მივა ახალი მარჯვენაფლანგელი, ასეთ შემთხვევაში **ფილიპ ლამი** მარცხნივ გადაინაცვლებს, ცენტრში კი **ბრააფჰაიდი** ითამაშებს, რომელიც ასევე ცაციაა. ბადშტუბერის „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თამაში ბევრს აკვირვებს, გარდა კერნისა, რომელიც ამბობს: *„ჰოლგერი მუდმივად პროგრესს განიცდიდა და ჩვენ ყოველთვის დარწმუნებულები ვიყავით იმაში, რომ ის დიდ ფეხბურთს ითამაშებდა."*

კერნის თქმით, ბადშტუბერს ისღა აკლია, რომ კაცად ჩამოყალიბდეს, რაშიც „ბაიერნში" ეჭვი ასევე არავის აღარ ეპარება. გერლანდის აზრით კი, ჰოლგერს ახლა ყველაზე მეტად თავდაჯერება სჭირდება. *„თავიდან გასახდელში „ბაიერნის" ვარსკვლავებთან ერთად ჯდომა ძალიან მეხამუშებოდა, მაგრამ ამასაც მივეჩვიე,"* - ამბობს ჰოლგერი.

ჯერჯერობით ბადშტუბერი გასახდელშიც და მოედანზეც თავმდაბალია და უმეტესად სხვებს უსმენს, მაგრამ ამბობს, იმედი მაქვს, რომ ოდესმე მეც ავიმაღლებ ხმასო...

**გოტფრიდ ლენცი**

ვინ არის საუკეთესო?



ქარიმ ბენზემამ მადრიდული ანგარიში გახსნა



კრისტიანო რონალდოს პირველი მატჩი რეალის შემადგენლობაში

# რონალდო, მესი და... ქუჩები

## ფერგი: ძნელი დასაჯერებელია, რომ ამას ადამიანი აკეთებს

**სერ ალექს ფერგიუსონმა** „მანჩესტერ სიტიში“ გაქცეულ **კარლოს ტევესს** სიტყვა დაანია - 25 მილიონი ფუნტი შენში რა გადასახდელი იყოო. მოგეხსენებათ, ტევესი ბოლო ხანს ხშირად იმეორებს, რომ ფერგიუსონმა „იუნაიტედში“ მისი ყოფნის ორწლიან პერიოდში, ერთხელაც არ შესთავაზა მუდმივმოქმედი კონტრაქტის გაფორმება. არგენტინელი ჩივის, რომ მწვრთნელი ზედაც არ უყურებდა და... აი, მწვრთნელმაც პასუხი გასცა, ეგ ტყუილიაო. საინტერესოა, რომ ფერგიუსონმა ტევესის ფასი რაღაცნაირად გულშემატკივართა დამოკიდებულებასა და ფასდაუდებელ მხარდაჭერას მიაბა - ჩახლართული ნათქვამი გამოუვიდა.

„საერთოდ, ფანებს არასდროს ეშლებათ, - თქვა ინგლისის ჩემპიონის თავკაცმა, - ისინი კერპებს ყოველთვის ზუსტად ირჩევენ. მე მათ პატივს ვცემ და მათ რეაქციებს ვაკვირდები. შესაბამისად, ნებისმიერ ფეხბურთელს ზუსტად მანამდე ვაფასებ, სანამ ის სარგებლის მომტანია. დიახ, ჩვენი გამარჯვებები გულშემატკივრის მხარდაჭერაზეა დამოკიდებული. ეს ხალხი და მათი მხარში დგომა ძალიან გვჭირდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუმრად ვთამაშობთ, მაგალითად - „არსენალთან“ ან „ფულჰემთან“. მოკლედ, ყველაფერს თავისი ფასი აქვს, მათ შორის, ტევესსაც და მინდა დაგარწმუნოთ, რომ მისი ფასი 25 მილიონი ნამდვილად არ არის“.

შეგახსენებთ, რომ „სიტიში“ წასვლის მერე ტევესმა სხვადასხვა ინტერვიუში აღნიშნა, რომ „იუნაიტედის“ წარმომადგენლები სეზონის დასრულების შემდეგაც კი არ დაუკავშირდნენ და, ფაქტობრივად, გუნდიდან გაქცევა აიძულეს.

„ტყუილია, თითქოს მე მას არ დავკავშირებივარ. კარლოსს ბევრჯერ ტექსტური შეტყობინებაც გავუგზავნე და არგენტინაში წასულს, ველაპარაკე კიდეც. ჩვენმა აღმასრულებელმა შეფმა დევიდ გილმა კია ჯურაბჩიანთან მოლაპარაკებებისთვის ბიზნესწინადადებაც მოამზადა და კარლოსსაც სწორედ ეს ვუთხარი, საქმის კურსში ჩავაყენე. მე მას ვუთხარი, რომ ჩვენ კიას დავურეკეთ. ეს „ინტერთან“ თამაშის წინ იყო“, - იხსენებს ფერგი.

შემდეგ „იუნაიტედის“ მწვრთნელმა „რეალში“ 80 მილიონად გაყიდული **კრისტიანო რონალდო** გაიხსენა და, ერთი შეხედვით, უცნაური რამ თქვა - მას ჩვენი გუნდი ისე უყვარს, ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს დაბრუნდებაო.

„ადამიანმა არასოდეს იცი, რა მოხდება მომავალში. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს კრისტიანო დაგვიბრუნდეს. მას „იუნაიტედი“ უყვარს. მოდით, გადავავლოთ თვალი იმ ექვს წელიწადს, რომელიც მან ჩვენს გუნდში გაატარა და აღმოვაჩენთ, რომ ერთხელაც არ გაუცდენია ვარჯიში. ის ჩვენთან თავისი კარიერისთვის ზედგამოჭრილ დროს მოვიდა. სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო ის კლუბი, რომელიც მას იმხანად სჭირდებოდა. რასაკვირველია, შეეძლო, „რეალში“ ან „ბარსელონაში“ წასულიყო, მაგრამ სწორედ ჩვენთან მოვიდა და მწამს, ამაგს გვიფასებს კიდეც“.

ფერგიუსონმა იცის, რომ კონკურენტებმა გუნდიდან საუკეთესო ფეხბურთელის წასვლას დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს და იმედი აქვთ, რომ ეს მათი შანსია.

„რა თქმა უნდა, რონალდოს წასვლა მეტოქეებს ცოტა გაამხნევებს. ორი აზრი არ არის, მათ გულზე მოეშვათ და ისიც ფაქტია, რომ კრისტიანოს დაკარგვა ჩვენთვის სერიოზული დარტყმაა, მაგრამ მეორე მხრივ, ეს არის გამოწვევაც. ვიმეორებ, რონალდოს გარეშე ძნელი იქნება, რადგან ჩვენგან ჩვეულებრივი ფეხბურთელი კი არა, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე წავიდა. ლეო მესისთან მისი შედარება არ შეიძლება, რონალდო რამდენიმე ქუჩით წინ არის. ასევე, რამდენიმე ქუჩით უსწრებს კაკასაც. ამაზე ნურავინ იკამათებს. შეხედეთ კრისტიანოს ფინტებს - ძნელი დასაჯერებელია, რომ ამას ადამიანი აკეთებს. გაიხსენეთ მისი შევარდნები საჯარიმოში, დარტყმები, თავურები, გამწვავებები... და კიდევ, მას ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს, ის მხოლოდ და მხოლოდ 24 წლისაა. ჩვენ კი მის გარეშე განსხვავებულ ფეხბურთს ვითამაშებთ, უფრო კომპაქტურები გავხდებით. ნახევარდაცვასაც სხვანაირად გადავაწყობთ. რონალდო დაცვაში ცოტა დაბნეული იყო, მაგრამ მას ეს ეპატიებოდა. მას სხვა, უნიკალური თვისებები ჰქონდა“...

■ ■ ■

ამასობაში, „რეალმა“ პირველი საწვრთნელი მატჩი გამართა. სამეფო კლუბი დუბლინში იქაურ „შემროკ როვერსს“ შეხვდა და 1:0 მოუგო. **მანუელ პელეგრინიმ კრისტიანო რონალდო** სასტარტოში დააყენა: **დუდეკი, მიგელ ტორესი, მეტცელდერი, პეპე, მარსელო, ლ. დიარა, გუტი, გაგო, კრისტიანო რონალდო, რაული, იგუაინი.**

მეორე ტაიმში შევიდნენ **მიჩელ სალგადო, გარაი, ჰაინცე, დრენტე, პარეხო, ვან დერ ვაარტი, სნეიდერი, ნეგრედო, ბენზემა** და **ტებარი**. ერთადერთი გოლი თამაშის მიწურულს **ქარიმ ბენზემამ** გაიტანა. პელეგრინი ფეხბურთელებითაც და, ზოგადად, ტესტითაც ფრიად კმაყოფილი დარჩა.

სატრანსფერო ამბები

# იუდას ორი ვარიანტი



დევიდ ბექჰემს ფანების დამოკიდებულება არ ადარდებს

ყველაფერი ხელისგულზეა - **დევიდ ბექჰემის** ამერიკული ცხოვრება ცუდად წავიდა. დამალული არც ის არის, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს **ფაბიო კაპელოს** ყურადღების მიპყრობა და გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურს. რა არის ამისათვის საჭირო? ბექჰემი რამენაირად ევროპაში უნდა დაბრუნდეს, ამერიკული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მაინც. და აი, შანსიც: „ტოტენჰემი“ და „მანჩესტერ სიტი“ ამერიკიდან მის გამოხსნას შეეცდებიან.

შეგახსენებთ, რომ კვირას, „ჰოუმ დეპორტ სენთრ სთედიუმზე“, რომელიც „ლოს ანჯელეს გელექსის“ ეკუთვნის, ინგლისელ ვარსკვლავს საკუთარი გუნდის გულშემატკივრებმა ობსტრუქცია მოუწყვეს. მიზეზი ის გახლავთ, რომ ამერიკაში ბექჰემს უგულო ფეხბურთელისა და კაპიტნის სახელი გაუვარდა. გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ „გელექსიში“ ის მხოლოდ მოვალეობას იხდის და ფულს იღებს, გუნდის მდგომარეობა კი გულთან ახლოს არ მიაქვს.

ამერიკული ლიგის (MLS) სეზონი ოქტომბერში მთავრდება. შესაბამისად, ზემოთ ნახსენები „ტოტენჰემიც“ და „სიტიც“ სწორედ ამის მერე ფიქრობენ ნახევარმცველის გადაყვანას. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ფეხბურთელი 2007 წელს გაფორმებული 125-მილიონფუნტიანი (206 მილიონი ამერიკული დოლარი) კონტრაქტის ნახევარზე მეტს დაკარგავს, მაგრამ სამაგიეროდ, მიიღებს სრულ თავისუფლებას. ცნობისთვის - როგორც ლონდონელები, ასევე მანჩესტერელები, 34 წლის ვეტერანს 2-წლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ.

...მაგრამ, რაც აქამდე დავწერეთ, უფრო ჩვენი ემოციის აღწერა იყო, ვიდრე ბექჰემისა. თავად ფეხბურთელის ახლობლები ამბობენ, რომ დევიდი ამ ობსტრუქციას, და ზოგადად - მისდამი ნეგატიურ დამოკიდებულებას, მეტისმეტად მშვიდად უყურებს. შეძახილები - „მოღალატე“, „იუდა“ და სხვა ამდაგვარი, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „რეალის“ ყოფილ ვარსკვლავზე არ მოქმედებს. ასე რომ, ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა ჩვენთვისაც არ ივარგებს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



პროექტი

## სვენის მოსვენება არ არის

### ერიქსონი ტკბილ სიზმრებს იმზადებს

ალალად თქვით, „ნოთს ქაუნთიზე" ბოლოს როდის გაიგეთ რამე? თუმცა, შესაძლოა, ზოგმა სულაც არ იცის, რომ ინგლისის მეორე ლიგაში, ანუ პრემიერლიგიდან თუ დავითვლით მეოთხე დონეზე, მე-19 ადგილზე არის გუნდი, რომელსაც 1894 წელს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი აქვს მოგებული და რამდენჯერმე უმაღლეს დონეზეც უთამაშია. ეს გახლავთ დედამიწაზე პირველი პროფესიული კლუბი, რომელმაც ინგლისური ფეხბურთის ელიტაში ბოლოს 1991/92 წლების სეზონში ითამაშა. მაშინ პრემიერლიგა ჯერ შექმნილი არც იყო და ინგლისელები თავიანთ უმაღლეს დონეს „პირველ ლიგას" ეძახდნენ. ჰოდა, ეს „ნოთს ქაუნთი" არაბებს უყიდიათ და დიდი ალმშენებლობაც განუზრახავთ. საბუთი გნებავთ? კი ბატონო, ინებეთ - „ნოთს ქაუნთის" გასაწვრთნელად არაბები, არც მეტი, არც ნაკლები, **სვენ გორან ერიქსონს** ეპატიჟებიან.

არაბების ფირმას, რომელსაც „მანტო ფაინანს კონსორციუმი" ჰქვია, ისტორიული გუნდის იხვის მახინჯი ჭუჭულიდან გედად გადასაქცევად 10 წლიანადი უვარაუდია და უფიქრია, რომ ამ საქმეს შვედ ერიქსონზე უკეთ თავს ვერავინ გაართმევს. ერიქსონს, თუ საქმეს ხელს მოჰკიდებს, კლუბის სრული რესტრუქტურიზაცია დასჭირდება. გუნდის დღევანდელი მწვრთნელი **იან მაკპერლენდი** სამუშაოს შეინარჩუნებს, ერიქსონი კი უფრო დირექტორის პოზიციიდან დაადგება თავზე და ხელმძღვანელობას გაუწევს.

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ უმდაბლეს პროფესიულ საფეხურზე მუშაობის დაწყება მათი ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელისთვის ბედის ძალიან თავისებური შემოტრიალება იქნება, მაგრამ, მეორე მხრივ, ერიქსონი გახლავთ კაცი, რომელიც მოულოდნელობებს არასდროს მოჰრიდებია. მისთვის ტრადიციულად ერთი რამ არის მნიშვნელოვანი - ხელფასი არ უნდა იყოს მცირე.

მაგრამ „ნოთს ქაუნთის" სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი" ეცილება. ერიქსონი რუსებს თავისთვის უნდათ და როგორც ამბობენ, კვირაში 40 ათას ფუნტსაც ჰპირდებიან. ერიქსონზე იმასაც ამბობდნენ, შეიძლება „პორტსმუთში" მივიდესო. „მანჩესტერ სიტის", „ლაციოსა" და „ბენფიკას" ყოფილი თავკაცი აპრილში მექსიკის ნაკრების მწვრთნელობიდან გაუშვეს და კონტრაქტის დარღვევისთვის 2 მილიონი ფუნტიც გადაუხადეს.

სხვათა შორის, 61 წლის შვედი კომპენსაციების მიღებას დაჩვეულია. 2006 წელს, ინგლისის ნაკრებიდან გაშვებისთვის, ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას 3 მილიონი გამოართვა...



სვენ გორან ერიქსონს უმუშევრობა არ ემუქრება




# ოუენი მეშვიდე... ცაზე




ოლდ ტრეფორდზე" ამ რიცხვის დანახვა ათეულობით ათასების თრთოლვას იწვევს. „შვიდიანი" - ეს **ჯორჯ ბესტის, ერიკ კანტონას, ბრაიან რობსონის, დევიდ ბექჰემისა და კრისტიანო რონალდოს** ნომერია. როცა ამ ვარსკვლავებს ბურთი ფეხთ ჰქონდათ, „ოცნებათა თეატრში" წარმოდგენა იწყებოდა. მათ „შვიდიანისგან" დიდი მანჩესტერული სიმბოლო შექმნეს, ის, რასაც სხვა დატვირთვა აქვს და რაც ამიერიდან... **მაიკლ ოუენმა** უნდა ზიდოს მხრებითა და ზურგით.

გასულ შაბათს ოუენმა ჯადოსნურნომრიანი წითელი მაისურა პირველად მოირგო. ეს მოხდა კუალა ლუმპურში, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" მალაიზიის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა გაიმართა და მაიკლმა, რომელიც მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა, თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გოლი გაიტანა - პირველი გოლი „შვიდიანით". თამაშის შემდეგ იყო დასვენების დღე, მერე კი ორშაბათიც დადგა, „იუნაიტედმა" და მალაიზიის ნაკრებმა ერთმანეთს ისევ მოუსინჯეს კბილი და ოუენმა კვლავ შეაგდო გოლი.

„შვიდნომრიან მაისურას დიდი დატვირთვა აქვს. ეს დატვირთვა ნამდვილად მოქმედებს ჩემზე, მაგრამ მერწმუნეთ, მე გავამართლებ", - თქვა 29 წლის ვარსკვლავმა.

ოცნება ყველანაირი არსებობს - დიდიც, პატარაც. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელისთვის კუალა ლუმპურში გოლის გატანა დიდი ოცნება ნამდვილად ვერ იქნება, მაგრამ პირველივე შეხვედრაში მეტოქისთვის ბურთის შეგდება რომ საოცნებოა, ამას ლაპარაკი არ უნდა. თუმცა მთავარი გამოცდა აგვისტოდან დაიწყება. წინ პრემიერლიგის 38 მატჩია, უმაღლესი დონის ფეხბურთი. ოუენი მიკროსკოპის ქვეშ აღმოჩნდება. მის ყოველ სვლას უკვე სხვა თვალით შეამოწმებენ.

„შვიდნომრიანი მაისურის ჩაცმა მწვრთნელმა მთხოვა, - განაგრძობს მაიკლი, - ასე მითხრა, სიტყვასიტყვით, ამ მაისურის გასაძლებად ფეხბურთელს ძლიერი ბეჭები უნდა ჰქონდეს და როგორ აცყობ, მოირგებ თუ არაო? არ მიყოყმანია, მოვირგებ-მეთქი, ვუთხარი. ვიმეორებ, კარგად ვიცი, რამდენ რამეს იტევს ეს ნომერი. გარდა ამისა, „მანჩესტერ იუნაიტედი" დიდმა ფეხბურთელებმა, კრისტიანო რონალდომ და კარლოს ტევესმა დატოვეს. რონალდოს ბევრი გოლი გაჰქონდა, ასე რომ, დანაკლისს შევსება უნდა და ვიმედოვნებ, ამას მე შევძლებ".

და სწორედ ამის იმედი აქვს სერ **ალექს ფერგიუსონსაც**. მას ძალიან უნდა, რომ ოუენმა კვლავ იპოვოს თავი, დაბრუნდეს ის ოუენი, რომელმაც ოდესღაც მადრიდის „რეალს" მოსწყვიტა თვალი.

შემდეგ, მაიკლს „საჯარიმოს მელია" შეარქვეს. ინგლისურად რითმაა - fox in the box, და მელიამაც „ლივერპულის" მაისურით 296 შეხვედრაში 158 გოლი შეაგდო. ასეთმა შთამბეჭდავმა თამაშმა ოუენი 2001 წელს „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთის" ლაურეატი გახადა.

დღეს, ოუენი 29 წლისაა და... ამბობენ, რომ საბოლოოდ დაკარგა ის სისწრაფე, რომლის წყალობითაც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში არგენტინელებს - **ხოსე შამოტსა** და **რობერტო აიალას** ჩაუქროლა. ამ ნათქვამს განმარტება არ სჭირდება, ოუენის ის დრიბლინგი და არგენტინელების კარში გატანილი გოლი საფეხბურთო ქრესტომათიის სახელმძღვანელოებშია შეტანილი. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ოუენმა სულ 89-ჯერ ითამაშა და 40 გოლი გაიტანა.

„დარწმუნებული ვარ, დიდი შანსი მაქვს, ყველაფერი გავიმეორო და ისევ ძველებურად ავთამაშდე. ზეწოლას უნდა გავუძლო და მოლოდინი გავამართლო. ბოლოს და ბოლოს, ამის გაძლება ჩემთვის სიახლე არ არის. ცხოვრებაში რთული პერიოდები ადრეც გადამილახავს და მწამს, მომავალშიც გადავლახავ. ცხოვრებას სჩვევია ჩემგან მაქსიმუმის გამოწურვა. ვამაყობ, რომ კარიერის ამ ეტაპზე ერთ-ერთი უდიდესი გუნდის წევრი გავხდი. მართალი გითხრათ, ამწუთას ინგლისის ნაკრებში დაბრუნებაზე არც ვფიქრობ. თუ ჩემი თამაში მოეწონებათ და ნაკრებში გამომიძახებენ, ხომ კარგი, თუ არა და, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელობა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ქვეყნად ღიმილით იარო. მანჩესტერში სტადიონი და საწვრთნელი ცენტრი ჩემი სახლიდან სულ რაღაც ნახევარი საათის, მაქსიმუმ 45 წუთის სავალზეა. ეს ძალიან მოხერხებულია და საერთოდაც, ყოველმხრივ ხელშეწყობას ვგრძნობ. „მანჩესტერ იუნაიტედი" უმაღლესი დონის, უძლიერესი გუნდია. ის ინგლისის ჩემპიონია. „ნიუკასლ იუნაიტედში" კი... სამწუხაროდ, მრავალი მიზეზის გამო ამ გუნდში ჩემი საქმე ცუდად წავიდა".

როცა 2005 წლის აგვისტოში ოუენი „ნიუკასლში" გადავიდა, „სენტ ჯეიმს პარკზე" მის სანახავად 20 ათასი ადამიანი მივიდა და ოვაცია მოუწყო, მაგრამ... ეს იყო და ეს. გასულ სეზონში „კაჭკაჭები" პრემიერლიგიდან გავარდნენ და ამაში „თავისი წვლილი", ბუნებრივია, მაიკლმაც შეიტანა. ნიუკასლში ბევრი გულშემატკივარი დღემდე აღშფოთებული სვამს ერთადერთ კითხვას - რაში გადაყარა კლუბმა 16 მილიონი ფუნტი და რატომ უხდიდა ოუენს კვირაში 105 ათასს?..

„დღეს, როცა ყველაფერი დასრულდა, შემიძლია სარკეში ჩავიხედო და საკუთარ თავს გულწრფელად ვუთხრა, რომ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ყველა ღონე ვიხმარე, რათა „ნიუკასლს" კარგი შედეგი ჰქონოდა. თავიდან, როცა „სენტ ჯეიმს პარკზე" ახალი გადასული ვიყავი, გოლებიც გამქონდა და თამაშებსაც ვიგებდით, „ვესტ ჰემთან" ჰეთ-თრიკიც შევასრულე... ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მოგეხსენებათ, რამდენი ადამიანიც არის, იმდენი აზრია. მე, ჩემი მხრივ, დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ თუ მოედანზე ვიყავი და თამაში შემეძლო, ბოლომდე ვიხარჯებოდი. ერთი-ორი წლის განმავლობაში ტრავმებმა დამტანჯა და ეს დრო მკურნალობას მოვანდომე. ჩემი ბრალი იყო? 2005 წლის დეკემბერში, „ტოტენჰემთან" მატჩის დროს გოლის გატანას რომ ვცდილობდი, ვიღაცამ ფეხზე დამაბიჯა. გავიდა ხანი, გამოვჯანმრთელდი, მოედანს დავუბრუნდი და ისევ გოლების გატანა დავიწყე. ჰოდა, ხომ გეუბნებით, ყველას თავისი შეხედულება აქვს. რაც ჩამოვთვალე, იმის შემყურე ზოგი იტყვის, რომ როცა მოედანზე ვიყავი, გოლები გამქონდა და, შესაბამისად, ჩემში 16 მილიონის გადახდაც ღირდა, ზოგი კი პირიქით, გამაკრიტიკებს".

და მართალია, დღეს ოუენი „სენტ ჯეიმს პარკის" 50-ათასიან პუბლიკას ამ სიტყვებს უთვლის, ამავე დროს, ამბობენ, რომ „ნიუკასლის" გავარდნასა და ოუენის პრობლემებს სხვა მიზეზებიც ჰქონდა. მარტო მწვრთნელების ჩამონათვალი ნახეთ - ოუენი „ნიუკასლში" **გრემ საუნესმა** მიიყვანა, მერე ეს კაცი მოხსნეს და მაიკლმა **გლენ როუდერის, სემ ელერდაისის, კევინ კიგანისა** და ბოლოს **ალან შირერის** ხელმძღვანელობით ითამაშა.

„ნიუკასლი სულ ყირაზე გადადიოდა. ხან ასე იყო, ხან ისე, - არ მალავს ოუენი, - მე გახლდით ფეხბურთელი გუნდისა, რომელიც ცუდად თამაშობდა, საკუთარი თავისა არ სწამდა და საბოლოოდ პრემიერლიგიდან პანღურიც ამოჰკრეს. მიზეზები? უამრავი დეტალის ჩამოთვლა შეიძლება. ძალიან ბევრ საგოლე მომენტს ვუშვებდით ხელიდან, საკუთარი თავის რწმენა გვაკლდა, წარამარა იცვლებოდნენ მწვრთნელები, იცვლებოდა შემადგენლობა და ეგ კიდევ არაფერი - კლუბის მეპატრონეც შეიცვალა. რა თქმა უნდა, ნიუკასლში კარგიც ვნახე, მაგრამ მეტწილად ცუდად მოსაგონარი დამრჩა".

თუმცა ახლა ოუენს სხვა ცხოვრება დაუდგა. დღეს მისი ამოცანა **უეინ რუნის** მხარდამხარ თამაშია. დღეიდან მან უმაღლესი მიზნებისთვის უნდა იბრძოლოს და ისევე, როგორც ახალგაზრდობაში, ევროპის საუკეთესო კლუბებს გოლები გაუტანოს.

„კარგად იცით, რომ თავს ყველაზე მოხერხებულად საჯარიმოში ვგრძნობ. თანდაყოლილი ინსტინქტი მაქვს, მეტოქის კართან საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდები ხოლმე. როცა „ნიუკასლ იუნაიტედს" კევინ კიგანი ხელმძღვანელობდა, ვგრძნობ, რომ გუნდი სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდა და გადაწყვიტა უკან დავეწიე, რათა ბურთს საჯარიმოში კი არ დაველოდებოდი, თავად მიმეტანა იქამდე. ნამდვილად არ ვიცი, რა აქვს ჩაფიქრებული „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს, მაგრამ იმედია, ასე იქნება თუ ისე, ბევრ შეხვედრაში მივიღებ მონაწილეობას. რასაკვირველია, სეზონისთვის მზადება, შესაძლოა, სულ წყალში ჩაგვყაროს, თუ ტრავმას მივიღებ, მაგრამ იმედი მაქვს, ასე არ მოხდება".

დაბოლოს, 2009-10 წლების სეზონში მაიკლ ოუენი „უმბროს" სპეცბუცებს ჩაიცვამს...



ჩელსი

## პაემანი პასადენაში

გუშინ **რომან აბრამოვიჩი** კალიფორნიაში ჩაფრინდა. როგორც ამბობენ, ამ ვოიაჟის დროს მისი მთავარი მიზანი „ჩელსის" კაპიტან **ჯონ ტერისთან** მოლაპარაკება იქნება - ბოლოს და ბოლოს, „მისტერ ჩელსიდ" წოდებული ვარსკვლავის გარშემო ატეხილ აურზაურს წერტილი უნდა დაესვას! და ვინ მეძლებს ამას კლუბის მეპატრონეზე უკეთ? ცხადია, ვერავინ.

აბრამოვიჩი ამ დილით (ჩვენი დროით) პასადენაში „ჩელსისა" და „ინტერის" ამხანაგურ შეხვედრას უნდა დასწრებოდა. ალბათ, ტერისაც იქ დაელაპარაკებოდა. დასალაპარაკებელი კი მართლაც იყო, რადგან ცნობილი გახდა, რომ დაუდგრომელი „მანჩესტერ სიტი" ინგლისის ნაკრების მცველში უკვე 38 მილიონ ფუნტს იხდის და რუს ბიზნესმენს მკაფიო პასუხი სჭირდება - აიღოს ეს ფული, თუ ფეხბურთელი დაიტოვოს.

შეგახსენებთ, აქამდე როგორ იყო: „ჩელსიმ" ერთი-ორჯერ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ტერის გაყიდვას არ აპირებს, თავად ფეხბურთელს კი საერთოდ არაფერი უთქვამს. სხვა საქმეა, რომ კულუარებიდან გამოჟონა ინფორმაციამ, თითქოს ტერი ლონდონში მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებს დარჩენას, თუ ხელფასს გაუზრდიან.

ამბობენ, რომ აბრამოვიჩი ტერისთვის ხელფასის გაზრდის მიზეზს ვერ ხედავს. კაპიტანს აქვს კვირაში 130 ათასი ფუნტი და კონტრაქტის თანახმად, კიდევ 3 წელიწადი ეს გასამრჯელო უნდა იკმაროს, ასე რომ, ძალიან საინტერესოა, რა მოხდება. აქამდე, ფეხბურთელსა და კლუბის ოფიციოზს შორის მოლაპარაკებები უშედეგოდ მთავრდებოდა...

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - მართალია, „მანჩესტერ სიტი" ფულს არ იშურებს და ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას ცდილობს, მაგრამ მისი მეცადინეობა, როგორც ჩანს, მაინცდამაინც დამაჯერებელი ვერ არის. აი, რა თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა სერ **ალექს ფერგიუსონმა**:

„მართალი გითხრათ, "სიტი" პრემიერლიგის გუნდების ძირითად ჯგუფზე მეტად არ მაღელვებს. კიდევ 6 წლის განმავლობაში ინგლისური ფეხბურთის მწვერვალზე ჩვენ, „ჩელსი", „არსენალი" და „ლივერპული" ვიქნებით. მერე იკითხავთ - კი, მაგრამ სად წავიდა „მანჩესტერ სიტი"? და მიხვდებით, რომ ამ ოთხეულში მოხვედრა ძალიან ძნელი საქმეა. ვფიქრობ, „სიტის" ეს მეტისმეტად გაუჭირდება. არა, მე არაფერს გამოვრიცხავ, უბრალოდ, ვამბობ, რომ ძალიან გაუჭირდება".

ნეტავ, ტერიმ თუ წაიკითხა სერ ალექსის ეს სიტყვები? და თუ წაიკითხა, დაფიქრდა მაინც?..

გვერდები მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა



ჯონ ტერი და რომან აბრამოვიჩი. რას ეტყვიან ისინი ერთმანეთს?

ოლიმპიური ფესტივალი



ლუხუმ ჩხვიმიანი (თეთრი კიმონოთი)

# ჯერჯერობით ერთი მედალი

## დღე მესამე

კახა ბერიძე,
ტამპერედან
სპეციალურად ლელოსთვის

გუშინდელი დღესავით მახოვს ორი წლის წინათ ბელგრადში ანალოგიური სპორტული ფორუმი აუტანელი ხვატის ფონზე მიმდინარეობდა. ჰაერის ტემპერატურა იმდენად მაღალი იყო, რომ სუნთქვაც კი ჭირდა. ამ მხრივ ტამპერეში რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა - საკმაოდ გრილა. გუშინწინ კოკისპირულადაც კი წვიმდა.

ტამპერე საკმაოდ სპორტული ქალაქია, რაზეც სხვადასხვა სპორტული ობიექტის სიმრავლეც მიუთითებს. ამიტომაც ამ ქალაქს არაერთი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებისთვის უმასპინძლია.

„ტამპერე 2009"-ის საორგანიზაციო კომიტეტი, ბოლო დროს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში გავრცელებული ღორის გრიპის გამო ძალზედ ფრთხილობს. ოლიმპიური ტერიტორიაზე ყველას მოუწოდებენ დაიცვან სისუფთავე და ჰიგიენა.

პირველი დღისგან განსხვავებით, ფესტივალის მეორე საშეჯიბრო დღე ჩვენი დელეგაციისთვის მეტნაკლებად წარმატებული გამოდგა. პირველი მედალი **ლუხუმ ჩხვიმიანის** (55 კგ) ანგარიშზეა, რომელიც მან ძიუდოში მესამე საპრიზო ადგილზე გასვლით მოიპოვა. რომ არა ზღვარგადასული არაობიექტური მსაჯობა, შესაძლებელია ტამპერეში საქართველოს ჰიმნიც აჟღერებულიყო.

„გულით მინდოდა ტამპერეში გამარჯვება, მაგრამ რაც მოხდა ყველამ ნახა. კარგია, რომ უმედლოდ მაინც არ დავრჩი,"- მითხრა დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ლუხუმმა.

სამწუხაროდ გუშინ **ბარბარე ერისთავის** გარდა ჩოგბურთელთაგან ვერავინ გაგვახარა. მან ბერძენი **კონსტ პაპაკონომუ** დაამარცხა 7:6 6:0 და დღეს ბელგიელ **სოფი მესტაშთან** მოუწევს დაპირისპირება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩოგბურთში ასეთ სუსტ გამოსვლას ნამდვილად არ ველოდით, მით უფრო 2007 წელს ბელგრადის ფესტივალზე ჩვენი ჩოგბურთელების ტრიუმფის შემდეგ.

ცურვაში **ირაკლი შენგელია** 29 მონაწილეს შორის 23-ე იყო. სპორტულ ტანვარჯიშში **მიხეილ ხარაბაძე** 16-ეა, ხოლო მძლეოსნობაში **ბაჩანა ხორავამ** ნახევარფინაში ბოლო შედეგი აჩვენა.

დღეს ძიუდოში **ბექა ტულუში** (60 კგ) და **ირაკლი ლომიძე** (66 კგ) იასპარეზებენ. ლომიძის წონაში, ახლო წარსულში ცნობილი ძიუდოისტის **გიორგი რევაზიშვილის** ვაჟი **ვანო რევაზიშვილი,** ახლა უკვე **რომან მოუსტოპულოსი** ასპარეზობს საბერძნეთის სახელით. კენჭისყრამ ისე ინება, რომ ისინი ფინალამდე არ გადაეყრებიან ერთმანეთს. ფინალში კი ვინ იცის, იქნებ ორი ქართველის დაპირისპირებაც ვიხილოთ.

ჭიდაობა

ჩემპიონები

# ზედიზედ ორგზის ევროპელი

ცოტა ხნის წინათ თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების წევრმა, გორელმა **გიორგი მაყიშვილმა** (60კგ) თავისუფალ ჭიდაობაში ზედიზედ მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ახალგაზრდა ფალავნებმა შარშან კონტინენტის გუნდური პირველობა მოიგეს. გუნდში დარჩენილთაგან წლეულს მხოლოდ მაყიშვილმა შეძლო კიდევ ერთხელ შეედგა ფეხი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მის წონაში მოასპარეზენი ნებისმიერ შეჯიბრებაზე მრავლად იკრიბებიან და შესაბამისად, გამარჯვებამდე გრძელი გზაა გასავლელი.

გიორგიმ ეს რთული გზა ახლაც დამაჯერებლად გაიარა. შარშან გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძელი ქვეყნის (სლოვაკეთი) წარმომადგენელი **რობერტ ოლე** დაამარცხა. თბილისში კი ოქროს მედლისთვის ბრძოლაში აზერბაიჯანელ **აგაჰუსეინ მუსტაფაევს** სძლია. ფავორიტად მიჩნეულმა რუსთა ჯილამ **ალბერტ კაირკანოვმა** ფინალამდე ვერ გააღწია და მესამე ადგილს დასჯერდა. ისე, ამ ორი ფალავნის საფინალო შეხვედრა მიმდინარე სეზონში (მარტში) შედგა და ორთაბრძოლა რიგის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენიანის სასარგებლოდ დასრულდა.

ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებელი მოიხიბლა თანამემამულე ფალავნის ჭიდაობით.

*„გამიხარდა, როდესაც მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, რომ ევროპის ჩემპიონატზე თბილისში მე უნდა მეჭიდავა. საერთოდ, რა თქმა უნდა, კონტინენტის ჩემპიონობის მოპოვებაც არაა იოლი, მაგრამ მისი შენარჩუნება გაცილებით ძნელია. ეს უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებდა საკუთარი ქომაგების წინაშე. ასე რომ, ყველა უკანდასახევი გზა მოჭრილად ჩავთვალე,"* — ამბობს ახლა უკვე ორგზის ევროპის ჩემპიონი.

მწვრთნელების გადაწყვეტილებით გამოწვეული სიხარული შემთხვევით არ უხსენებია. ნაკრებშივე გვარიანი კონკურენციის დაძლევა უწევდა თავის წონით კატეგორიაში. ნაკრებში მეორე ძლიერი ფალავანიცაა - **მურთაზ კვესაძე**. წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატში ისინი ფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს. წილისყრით მინიჭებული უპირატესობით გამარჯვებული კვესაძე დარჩა. ნაკრების მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ორივე გამოეცადათ ევროპის ჩემპიონატის წინა საერთაშორისო ტურნირებში. პირველივე ტურნირში, ისინი ერთმანეთს რიგაში შეხვდნენ და ამჯერად მაყიშვილმა იმარჯვა.

*„საერთოდ, ამ საერთაშორისო შეჯიბრებებზე მაყიშვილმა უკეთ წარმოაჩინა თავი. თანაც ის შარშანდელი ევროპის ჩემპიონიც იყო და გადავწყვიტეთ, რომ გიორგის ეჭიდავა თბილისში. მე მისი დიდი იმედი მქონდა და კარგია,*



*რომ გამიმართლა,"* — გვითხრა ნაკრების მწვრთნელმა **ნუგზარ სხირელმა**.

უშანსოდ არც მურთაზ კვესაძე რჩება. მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც აგვისტოში თურქეთის ქალაქ ანკარაში უნდა ჩატარდეს, სწორედ ის დაიცავს ჩვენი ქვეყნის ღირსებას.

მაყიშვილისთვის მიმდინარე სეზონი ახალგაზრდულ ნაკრებში ბოლო იქნება. ის ამჟამად ისვენებს და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კიევის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. ამ ტურნირს მისთვის გარდამავალი ეტაპის ფუნქციაც ეკისრება ვინაიდან გაისად უკვე უფროსთა შორის შეეცდება ადგილის დამკვიდრებას. იმედი დავიტოვოთ, რომ მიზანს უთუოდ მიაღწევს და კვლავაც გაახარებს ჭიდაობის ქომაგებს.

**ვასილ ბალახაძე**

ხელბურთი

ინტერვიუ რატი მსხვილიძესთან

# პროგრესი აშკარაა, მსხვილიძე სერბეთს გაუშინაურდა



**საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა რატი მსხვილიძემ სერბულ "მეტალოპლასტიკას" თბილისური სტუ-"შევარდენიდან" ამ წლის დასაწყისში მიაშურა. ეს მისთვის მეორე უცხოური კლუბია. მანამდე მსხვილიძე ისლანდიური "სტარნანის" ღირსებას იცავდა, ბოლოს კი დროებით სტუ-ში თამაშობდა. რატის სერბეთში ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დასჭირდა, დღეისთვის კი კლუბში თავისი მდგომარეობით კმაყოფილია.**

**- როგორ ჩაიარა ახალ გუნდთან შეგუების პროცესმა?**

- "მეტალოპლასტიკაში" კარგად მიმიღეს, გუნდთან ადაპტაცია ნამდვილად არ გამჭირვებია. სხვათა შორის, "მეტალოპლასტიკა" საკმაოდ ძველი და ტიტულოვანი კლუბია, თავის დროზე ევროპის ჩემპიონთა თასიც კი მოუგია.

**- თავიდან მოედანზე ცოტა დროს ატარებდი, ახლა როგორაა საქმე?**

- თავდაპირველად მართლაც არ მქონდა თავის გამოსაჩენად საკმარისი დრო. ეს არც იყო გასაკვირი, გუნდში ძალიან დიდი კონკურენციაა. თუმცა ცუდ შთაბეჭდილებას არც თავიდან ვტოვებდი. სულ მალე კი ფორმაში შევედი, ფიზიკურად მოვღონიერდი და სეზონის ბოლოს მოედანზე უკვე საკმაო დროის განმავლობაში ვიყავი.

**- "მეტალოპლასტიკაში" რომელ პოზიციაზე გათამაშებენ?**

- საბედნიეროდ, ჩემთვის ჩვეულ, ინსაიდის პოზიციაზე ვარ გამწესებული და საკუთარი თავით უკმაყოფილო არ ვარ. მჯერა, მომავალ სეზონში და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოვყალიბდები. აქ სკამზე დასაჯდომად ნამდვილად არ ჩამოვსულვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, "მეტალოპლასტიკასთვის" შეუცვლელ მოთამაშედ რომ ვიქცე.

**- სერბეთში ცხოვრებას როგორ შეეგუე?**

- აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. შაბაცი პატარა, მაგრამ მყუდრო და ლამაზი ქალაქია. საყოფაცხოვრებო პირობები შესანიშნავი მაქვს, ხალხიც ძალიან თბილია. შაბაცში ხელბურთი თითქმის ყველას უყვარს და ხელბურთელებს ძალიან გვაფასებენ.

**- "მეტალოპლასტიკაში" როდემდე უნდა დარჩე?**

- "მეტალოპლასტიკასთან" ორწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს, წელიწადნახევარი კიდევ მაქვს დარჩენილი და თუ შემომთავაზეს, უფრო დიდი ხნითაც სიამოვნებით ვითამაშებდი. კონტრაქტის პირობებით კმაყოფილი ვარ, აქ ჩემთვის ყველაფერი მისაღებია.

**- "მეტალოპლასტიკა" შენი კარიერის საუკეთესო კლუბია?**

- დიახ, ვფიქრობ, რომ ასეა. თუმცა ისლანდიური "სტარნანი", რომლის ღირსებასაც ადრე ვიცავდი, ნამდვილად არ იყო ხელწამოსაკრავი გუნდი. იქიდან წამოსვლა კლუბის გაკოტრების გამო მომიხდა, თუმცა, საბედნიეროდ, სასურველი ადგილი მალე ვიპოვე.

**- ზაფხულის დასაწყისი თბილისში გაატარე და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალს დაესწარი...**

- დიახ, მაინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდნენ ქართული გუნდები. როგორც მოსალოდნელი იყო, "თბილისი" დამსახურებულად, მაგრამ იოლად გაჩემპიონდა. იმედია, მომავალი სეზონიდან ჩემპიონატს სტუ-"შევარდენი" დაუბრუნდება, თორემ ისედაც დაბალი დონის ჩემპიონატი ელფერს მთლიანად დაკარგავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# გურამიშვილი ლიდერთა კვალში



სოფიკო გურამიშვილი

ესპანურ ბალაგერში ღია, მე-14 საჭადრაკო პირველობის მე-8 რაუნდში ერთ-ერთი ფავორიტი, დიდოსტატი **ლევან აროშიძე** (2537) შავი ფიგურებით ტურნირის პირველ დაფას, დიდოსტატ **კირილ გეორგიევს** (2645) ხვდებოდა. 24 წლის ქართველმა ბულგარელთან დაძაბულ პარტიაში ყაიმს მიაღწია. ამავე ტურში წააგეს **ლევან ბრეგაძემ**, რომელსაც დიდოსტატმა **რუსლან პოგორელოვმა** აჯობა და **ზურაბ ჯავახაძემ**, ვისაც **რედი დიპტამშმა** მოუგო. მე-9 ტურის წინ 6,5-6,5 ქულით ტურნირს დიდოსტატები **ვლადიმირ ბურმაკინი** და **ედუარდო იტურისაგა** ლიდერობენ. 6-6 ქულა სამეულს აქვს, მათ შორის ლევან აროშიძეს. დღეს ქართველი დიდოსტატი შავებით იტურისაგას ეთამაშება. ლევან ბრეგაძე (5 ქულა) თეთრებით **ადიტია უდეშის** ეპაექრება, ხოლო ზურაბ ჯავახაძე (4 ქულა) შავებით **ჯოელ ვიზასთან** გაითამაშებს პარტიას. შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 13 ათასი ევროა.

ანდორის 27-ე საერთაშორისო ტურნირში პირველად დაუცდათ ფეხი ჩვენებურებს - მე-3 ტურში **ანა მათნაძემ** დიდოსტატ **ფერნანდო პერალტასთან** წააგო, ხოლო **სოფიკო გურამიშვილი საბინო ბრუნელოს** დაუზავდა. მე-4 ტურის წინ გურამიშვილს 2,5 ქულა აქვს და ის შავი ფიგურებით **გლოვის ვერნეის** ეთამაშება. მათნაძე თეთრებით **ანირუდა დეშპანდეს** შეხვდება.

დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილი** (2574) კანადაშია, სადაც კვებეკის ღია პირველობაში მონაწილეობს. 4 ტურის შემდეგ მერაბი 2,5 ქულით მე-5 ადგილზეა. ამ ტურნირში სულ 20 მოჭადრაკე თამაშობს. მე-5 ტურში ჩვენებური შავი ფიგურებით დიდოსტატ **ანტონ კოვალიოვს** ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# რეიტინგში ოცეულს მიღმა

საფრანგეთის საპორტო ქალაქ მარსელში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი დაიწყო. ქალთა შორის ქართული წყვილი **საქა-რთველო,** მონაწილეთა სიმცირის გამო, ამჯერად შეჯიბრებაში ძირითად ბადეში მოხვდა.

პირველი შეხვედრა ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც ტურნირზე 26-ე ნომრად არიან განთესილი, 39-ე ნომერ ზელანიურ **სკარლეტი-ბლუნდელის** დუეტთან გამართეს და ორ სეტში დაამარცხეს - 18:21, 16:21.

მორიგ შეხვედრას საქა-რთველო დღეს გამართავს ბრაზილიელი დების **მარია კლარასა და კაროლინა სალგადოების** დუეტთან, რომლებიც შეჯიბრებაში მე-7 ნომრად არიან განთესილნი.

დღეიდან ჩაებმება ტურნირში პლაჟბურთის ქართული წყვილი ვაჟთა შორის **გეორ-გია.**

ბოლო რამდენიმე ეტაპზე განცდილი წარუმატებლობის გამო გეორ-გიამ და საქა-რთველომ რეიტინგში კიდევ უფრო უკან დაიწიეს. ჩვენი ვაჟი ფრენბურთელები მე-18 ადგილიდან 22-ე ადგილზე გადაბარგდნენ. მათ აქტივში ახლა 900 ქულაა.

ერთბაშად ხუთი საფეხურით დაქვეითდა საქა-რთველოც. ეს ქართული დუეტი ამჟამად 1 120 ქულით მე-20 ადგილზეა.

**მსოფლიო რეიტინგი**

**ვაჟები: 1. იულიუს ბრინკი - იონას რეკერმანი (გერ) - 4 100, 2. ალისონ ჩერუტი - ჰარლი მარკესი (ბრ) - 3 920 ქულა, 3. ემანუელ რეგო - რიკარდო სანტუში (ბრ) - 3 300, 4. პედრო კუნია - პედრო სალგადო (ბრ) - 1 880, 5. დიმიტრი ბარსუკი - იგორ კოლოდინსკი (რუს) 1 820, 6. ადრიან გავირა - პაბლო ერერა (ესპ) - 1 780, 7. მეთ ფურბინგერი - კესი ჯენინგზი (აშშ) - 1 700, 8. ფილ დალჰაუზერი - ტოდ როჯერსი (აშშ) - 1 700, 9. დავიდ კლემპერერი - ერიკ კორნეგი (გერ) - 1 680, 10. კრისტიან კაისი - რივო ვესიკი (ესტ) - 1 680. 22. გეორ-გია (საქ) – 900.**

**ქალები: 1. მარია ანტონელი - ტალიტა ანტუნესი (ბრ) - 3 520 ქულა, 2. ჯულიანა სილვა - ლარისა ფრანკა (ბრ) - 3 120, 3. ჯენიფერ კესი - აპრილ როსი (აშშ) - 2 560, 4. სარა გოლერი - ლაურა ლუდვიგი (გერ) - 2 320, 5. კაროლინა სალგადო - მარია კლარა სალგადო (ბრ) - 2 220, 6. სანე კეიზერი - მარლენ ვან ირსელი - (ჰოლ) - 2 120, 7. ნიკოლ ბრანგი - ელენ იუნგზი (აშშ) - 1 660, 8. დორის შვაიგერი - სტეფანი შვაიგერი (ავს) - 1 540, 9. ვანილდა ლერო - რენატა რიბეირო (ბრ) - 1 500, 10. შელდა ბედე - ანა პაულა კონელი (ბრ) -1 360, 20. საქა-რთველო (საქ) - 1 120.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# უიღბლო სტარტი თუ კანონზომიერება?!

გუშინ, ლეილა მესხის კორტებზე „კოკა-კოლას“ თასის გათამაშების პირველი წრის რვა შეხვედრა გაიმართა ერთეულთა თანრიგში. მათგან ოთხ პაექრობაში მასპინძლები მონაწილეობდნენ. სამწუხაროდ, ისინი სტარტზევე დაემშვიდობნენ შეჯიბრებას. ერთადერთი, **გიორგი რევაზიშვილმა** გაუწია მედგარი წინააღმდეგობა უკრაინელ **ივან ანიკანოვს** (848), თუმცა ორივე სეტი წააგო — 6:7(5), 6:7(8). დანარჩენმა სამმა ჩოგბურთელმა უფრო იოლად დათმო ორთაბრძოლები: საქართველოს ნაკრების წევრმა **გიორგი ხრიკაძემ** (მხოლოდ ერთი გეიმი აართვა (1:6, 0:6) ირლანდიელ **ბარი კინგს** (793), რომელიც ტურნირზე მერვე ნომრად არის განთესილი. **ბექა ბუჩუკურმა** კი მშრალი ანგარიშით წააგო 0:6, 0:6 მე-4 ნომერ **ტუნისელ მალეკ ჯაზირისთან** (406). დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა **ჯეიმს პივერმა** (879) **ლაზარე კუხალაშვილს** (876) სძლია, არადა, რეიტინგში, როგორც ხედავთ, ქართველი ჩოგბურთელი მეტოქეზე სამი საფეხურით წინ დგას. ჩვენმა სპორტსმენებმა წინა ტურნირიც ასე უშანსოდ დატოვეს. რა არის ეს - უიღბლობა თუ სამწუხარო კანონზომიერება?!

გუშინდელი დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: **ლორენცო ჯიუსტინო** (იტალია, 1102)-**ნიკიტა კუშნარიოვი** (რუსეთი) 6:1, 6:4, **მურად ინოიატოვი** (უზბეკეთი, 603)-**მანოლის გლეზოსი** 6:1, 6:0, **ბოგდან-ვიქტორ ლეონტე** (რუმინეთი, 549)-**ედენ პელეჯი** (ისრაელი) 6:2, 6:1, **არტიომ სმირნოვი** (უკრაინა, 397)-**ხაჩატურ ხაჩატრიანი** (სომხეთი) 6:2, 6:2.

წყვილებში მხოლოდ სამი შეხვედრა გაიმართა: **მატეო მარფია, მატეო მარაი** (ორივე — იტალია)-**ბექა ბუჩუკური, ალექსანდრე თავხელიძე** (ორივე-საქართველო) 7:6, 6:2, **ჰენრიკ ნორფელდტი** (შვედეთი), **დემეტრე თაქთაქიშვილი** (საქართველო)-**სოზარ გოქაძე, გიორგი ხრიკაძე** (ორივე — საქართველო) 6:2, 6:0. **ვიაჩესლავ ლიტვინენკო** (უკრაინა), **დავით ფოცხვერია** (საქართველო)-**ივან ივანოვი** (რუსეთი), **ასკოლდ კუზნეცოვი** (უკრაინა) 6:4, 6:4.

დღეს ერთეულთა თანრიგში ითამაშებენ: **ივან სერგეევი** (უკრაინა, 309)-**ალექსანდრ კუშაკოვი** (უკრაინა), **ვიაჩესლავ ლიტვინენკო** (უკრაინა)-**ალექსანდრ აგაფონოვი** (უკრაინა, 893), **ალექსი ფილენკოვი** (რუსეთი, 843)-**ჰენრიკ** ნორფელდტი (შვედეთი, 930), **დევიდ სავიჩი** (სერბეთი, 446)-**პაველ კატლიაროვი** (ბელარუსი, 1225), **სოზარ გოქაძე** (საქართველო)-**დემეტრე თაქთაქიშვილი** (საქართველო, 1553), **კომილ სანდერსი** (ბელგია, 1747)-**ნოდარ ითონიშვილი** (საქართველო, 1348), **გილ დე სოუზა** (საფრანგეთი, 1477)-**მატეო მარფია** (იტალია, 1670), **ალექსანდრე თავხელიძე** (საქართველო)-**მატეო მარაი** (იტალია, 338).

**ვაჟა დანელია**

# შანსი ვერ გამოიყენა

რუსეთში, პენზის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი $), რომელიც „ჩელენჯერის სერიისაა“, 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (749) „უაილდ ქარდით“ მიიწვიეს. ტურნირში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, სამი ჩოგბურთელი კი მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ასეულისაა. კენჭისყრამ ჩვენებურს 22 წლის რუსი **მიხაილ ლედოვსკიხი** (719) არგუნა. სამწუხაროდ, ნიკამ მატჩი ორ სეტში წააგო და ტურნირს დაემშვიდობა - 3:6, 4:6. დასანანია ასეთი შანსის გამოუყენებლობა, მით უმეტეს, რომ რუსეთში ქართველ ჩოგბურთელებს „უაილდ ქარდს“ იშვიათად აძლევენ.

**ოქსანა კალაშნიკოვა** ხარკოვის (უკრაინა) „ლეიდის კაპზე“ (25 ათასი $) ითამაშებს. მე-5 ნომრად განთესილი ჩვენებურის პირველი მეტოქე ჰოლანდიელი **ნიკოლეტ ფან უიტერტია** (650), ჩოგბურთელი, რომელსაც ოქსანამ ერთი კვირის წინათ ბუჩაში მოუგო. სხვათა შორის, ამავე ტურნირზე ძირითად ბადეში გააღწია 17 წლის **ნანული ფიფიამ** (696), რომელიც, სამწუხაროდ, რუსეთის სახელით ასპარეზობს. სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) საკვალიფიკაციო წრიდან გასულმა **თათია მიქაძემ** „უაილდ ქარდით“ მიწვეული უკრაინელი **კრისტინა პავლიუკი** გააგდო - 6:2, 6:3. ახლა ჩვენებური **მანანა შაფაქიძის** და პირველ ნომრად განთესილი თურქი **პემრა ოზგენის** (422) მატჩის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. მიქაძე, ალბათ, დაავიწყდათ კიდეც ჩოგბურთის გულშემატკივრებს - ბოლოს ინდივიდუალურ ასპარეზზე თათია ხომ 2007 წლის ბათუმის ტურნირში გამოჩნდა! მიქაძე ახლა 21 წლისაა, 17 წლის ასაკში კი იგი მსოფლიოს 594-ე ჩოგანი იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ანა ტატიშვილი

# ტატიშვილი წყვილებში დარჩა

19 წლის ანა ტატიშვილმა შეძლო „სლოვენიის ღია პირველობის“ (220 ათასი $) ძირითად ბადეში გასვლა, მაგრამ ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში მეტის მიღწევა ველარ მოახერხა. პირველ წრეში ანამ შვეიცარიელ **შტეფანი ფოგელთან** (96) სამ სეტში დათმო - 1:6, 6:4, 3:6. შეხვედრა თითქმის 2 საათს გაგრძელდა, შვეიცარიელმა 8-ჯერ მოიგო მეტოქის მოწოდებაზე გეიმი, ქართველმა - 5-ჯერ.

ანა ისევ სლოვენიაში რჩება, რადგან წყვილთა თანრიგში რუს **ეკატერინა ივანოვასთან** დუეტში მეოთხედფინალშია გასული. ანამ და ეკატერინამ ფოგელისა და **არინა როდიონოვას** (რუსეთი) დუეტი დაამარცხეს - 6:0, 7:5. ახლა ისინი მე-3 ნომრად განთესილებს, **იულია გორგესს** (გერმანია) და **ვლადიმირა უჰლიროვას** (ჩეხეთი) შეხვდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# გორგოძე, მეტრეველი და მაჩაიძე წინ მიიწევენ

ავსტრიის დაბა ვილახში გრძელდება 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი **ეკა გორგოძე** მე-16 ნომრადაა განთესილი. ეკა პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მან პორტუგალიელ **ანა კლაროს** მოუგო - 7:5, 6:1. მესამე წრეში გორგოძის მეტოქე სლოვენიელი **ურსა იერმანია**.

მოსკოვში 16-წლამდელთა კონტინენტის პირველობა გახურდა. ბიჭებში ერთი მონაწილელა შემოგვრჩა, მე-9 ნომრად განთესილი **ალექსანდრე მეტრეველი**. ჩვენებური მეორე წრეში იტალიელ **ფედერიკო მარგინის** გაუსწორდა - 6:2, 6:3. მესამე წრეში იგი რუმინელ **ალექსანდრუ პორუმბს** ეთამაშება. გოგონებში ერთი მონაწილე დავკარგეთ, **ნინო სუჯაშვილმა** მე-16 ნომრად განთესილ **ფრანჩესკა პალმიგიანოსთან** (იტალია) წააგო - 2:6, 2:6. სამაგიეროდ, მესამე წრეში გავიდა **ბაბილინა მაჩაიძე**, რომელმაც მოლდოველ **ანასტასია ვდოვენკოს** აჯობა - 6:3, 6:2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# შაფაქიძის ნახტომი, კალაშნიკოვას ნელი წინსვლა

ორშაბათს, WTA-ს და ATP-ის ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. უპირველესად, ქართველ ქალთა მდგომარეობას გაგაცნობთ: საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** 322 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 182-ე ჩოგანია, რაც გასული კვირის მაჩვენებელს 6 საფეხურით სჯობს. 19 წლის ტატიშვილის საუკეთესო მიღწევა მსოფლიოს 150-ე ჩოგნობაა. ანა WTA-ს წლის რბოლაში 187-ე პოზიციაზეა, ხოლო წყვილთა რეიტინგში - 269-ე. ტატიშვილმა კარიერაში 122 ათასი დოლარი მოიხვეჭა, აქედან წლეულს - 25 ათასი დოლარი.

5 ადგილით წაიწია წინ და კარიერის ახალ უმაღლეს ნიშნულს მიადგა 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც 227 ქულით მსოფლიოს 232-ე ჩოგანია. ოქსანა WTA-ს წლის რბოლაში (სადაც მხოლოდ WTA-ს ტურნირებში მონაწილეობით მიღებული ქულები ითვლება) ოდენ 472-ეა, წყვილთა თანრიგში კი მსოფლიოს 205-ე ჩოგანია. რაც შეეხება ჰონორარებს, ოქსანა ჯერ ახლოსაც ვერ მივა ანასთან - კარიერაში მან მხოლოდ 30 ათასი დოლარი იშოვნა.

26 წლის **მაკა ჩახნაშვილი** 210 ქულით მსოფლიოს 243-ე ჩოგანია (+6). მაკას უმაღლესი მიღწევა მსოფლიოს 134-ე ჩოგნობაა (2007 წელს), მაკა ქართველ ქალ ჩოგბურთელთაგან ყველაზე ახლოს იყო ასეულთან **ლეილა მესხის** შემდეგ (**ნინო ლუარსაბიშვილი** 1997 წელს მსოფლიოს 144-ე ჩოგანი გახდა). ჩახნაშვილი წლის რბოლაში 239-ე პოზიციაზეა, წყვილებში 174-ეა. მაკამ მოქმედ ქართველ ქალ ჩოგბურთელთაგან ყველაზე მეტი იშოვნა ჩოგნის ცემით - 195 ათასი დოლარი, აქედან წლევანდელი მონაგარი 19 ათასი დოლარია.

20 წლის **სოფიო შაფათავამ** რეიტინგში 12 ადგილით უკან დაიხია, მას 161 ქულა აქვს და 285-ე პოზიცია უჭირავს. სოფიო წყვილებში მსოფლიოს 250-ე ჩოგანია. მისი მონაგარი 40 ათას დოლარს შეადგენს. სხვები: 510 (+3) **ეკა გორგოძე** - 62 ქულა; 532 (+5) **სოფიო ქვაცაბაია** - 58; 628 (+85) **მანანა შაფაქიძე** - 39; 956 (+39) **სოფიო მელიქიშვილი** - 12. თვალს იპყრობს მანანა შაფაქიძის 85-ადგილიანი ნახტომი, მას გაზიანთეფის ტურნირის ფინალში გასვლისთვის კუთვნილი ქულები დაერიცხა, მანანა კიდევ წაიწევს წინ, მან ხომ იზმირის ტურნირში 6 სარეიტინგო ქულა გაინაღდა.

ATP-ის რეიტინგში ქართველთა სიას სათავეში კვლავ **ირაკლი ლაბაძე** უდგას, ცაცია ქართველს, რომლის პერსპექტივა კვლავ დაუბრუნდეს კორტს მცირეა, სარეიტინგო ქულები კი შემოელია, მაგრამ ჩვენში ვაჟთა ჩოგბურთი ისე დამცრობილია, რომ ლაბაძის 58 ქულა სხვებისას მაინც სჯობს. ირაკლი მსოფლიოს 601-ე (+9) ჩოგანია, არადა დრო იყო ის მსოფლიოს 42-ე ჩოგბურთელი იყო. ლაბაძეს კარიერაში მილიონ 234 ათასი დოლარი უშოვნია. კარიერის მორიგი მიღწევა აქვს 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილს**, მან 13 საფეხურით წაიწია წინ და 33 ქულით მსოფლიოს 736-ე ჩოგანი გახდა. **ლაზარე კუხალაშვილიც** არასოდეს ყოფილა ასე მაღლა კლასიფიკაციაში, ლაზარე 21 ქულით 870-ე (+6) პოზიციაზეა. სხვები: 1113 (-181) **ლადო ჩიხლაძე** - 9 ქულა; 1327 (+21) **ნოდარ ითონიშვილი** - 4; 1472 (+11) **ბექა ბუჩუკური** - 2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

ინტერვიუ გიორგი კანდელაკთან

# გიორგი კანდელაკი მოქმედებს: ექებს ქველმოქმედებს

## სიკეთის აი ია: დაეხმარე ყმაწვილებს!

ტიტულოვანი მოკრივე **გიორგი კანდელაკი** ჯერ კიდევ აქტიური სპორტული კარიერისას გაუშინაურდა ქართული სპორტისთვის სასიკეთო საქმეებს. ჯერ მსოფლიოს ჩემპიონის ქამარიც არ ჰქონდა მოპოვებული, მშობლიურ ვარიანში დიდი სპორტული კომპლექსი რომ აამოქმედა. ასეთი წარმატებით მომუშავე სპორტული კლუბი, თანაც სოფლად, საქართველოში დღემდე არ მოგვეპოვება. რამდენიმე დღის წინ მასთან საუბრისას კიდევ ერთი საინტერესო იდეის შესახებ შევიტყვეთ, რომლის ხორცშესხმაც ქართლში სპორტს დიდად ახეირებს. ამაზე ქვემოთ, მანამდე კი...



- ვიდრე ვარიანის კრივის კლუბი ამოქმედდებოდა, გორში ვვარჯიშობდით - იგონებს გიორგი - 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში ისეთი ვითარება იყო, გადაადგილებაც კი ჭირდა. ბევრს, ელემენტარულად, მგზავრობის ფულიც არ გააჩნდა და მეც მაშინ დავფიქრდი კრივის კლუბის დაარსებაზე. 1993 წელს დავაარსეთ კლუბი „ჩემპიონი“, რომელიც თავდაპირველად ვარიანის კულტურის სახლში ფუნქციონირებდა. გავაერთიანეთ ოთახები და დავიწყეთ ვარჯიში. მალევე მსურველი იმდენი გამოჩნდა, ველარ ვეტეოდით. 1996 წელს ახალი დარბაზის შენობას ჩავუყარეთ საძირკველი. ერთი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავხდი, ბიუჯეტიდანაც გაგვიწიეს დახმარება მშენებლობის დასამთავრებლად და 1998 წლიდან ეს კრივის დარბაზი, საცხოვრებელი კომპლექსით, სრულად ამოქმედდა.

**- სოფლის პირობებში ასეთმა ნაბიჯმა მაშინ ბევრი გააკვირვა.**

- იდეის დონეზე რომ ვიყავი, ბევრმა მირჩია, დარბაზი თბილისში ამეშენებინა, მაგრამ აზრი არ შემიცვლია. მე ხომ ბიზნესზე არ ვფიქრობდი, უბრალოდ, გადავწყვიტე, ვარიანისა და მეზობელი სოფლების ახალგაზრდებისთვის ადგილზევე შემექმნა კრივში დაოსტატების პირობები, თანაც ევარჯიშათ უფასოდ. ცხადია, გაცნობიერებული მაქვს, რომ კლუბი მუდამ ჩემს მხრებზე უნდა იდგეს და მზრუნველობას არ ვაკლებ. ისე კი, გულდასაწყვეტია, რომ შარშანდელი საომარი მოქმედებების დროს დაზიანებული შენობის აღსადგენად ხელი არავის გაუმართავს. ჩვენი ძალებით გავაკეთეთ ყველაფერი.

**- კლუბის გახსნის შემდეგ სპორტულ წრეებში ხუმრობდნენ, „მთელი ვარიანი მუშტებს იქნევსო“. ახლა რამდენადაა დატვირთული დარბაზი?**

- მოვარჯიშეთა რაოდენობა არ შემცირებულა. ისევ წარმატებით მუშაობენ მწვრთნელები, გია კობახიძე, ზაზა საკაშვილი და ნოდარ საათაშვილი. მოსწავლეები შეძლებისდაგვარად მუდამ გაგვყავს შეჯიბრებებზე. ამ დღეებში, მაგალითად, დუშეთში საქართველოს მოსწავლეთა თასზე ოთხი ჩვენიანი მონაწილეობდა და ორმა ოქროს (თეიმურაზ აბულაძე, პაატა ადუაშვილი) და ორმაც ბრინჯაოს (გიორგი ურჯუმელაშვილი, გიორგი ზედგინიძე) მედლები მოიპოვეს. ჩვენც ხშირად ვმასპინძლობთ შეჯიბრებებს. სექტემბერში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ვაწყობთ, მაგრამ კრივის ალმავლობისთვის მეტია საჭირო. ახალგაზრდა მოკრივე პირველ რიგში სახელმწიფოსგან უნდა გრძნობდეს მხრდაჭერას. შეჯიბრებების სიმრავლეა საჭირო, თორემ მოკრივე მხოლოდ დარბაზში ვარჯიშით ან წელიწადში რამდენიმე ტურნირით დიდი სპორტსმენი ვერ გახდება.

**- ბოლო წლებში საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები მნიშვნელოვანი შეჯიბრებების წინ ვარიანის ბაზაზე აწყობს შეკრებებს. სხვებსაც ხომ არ გამოუთქვამთ ამის სურვილი?**

- თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების წინ მართლაც სულ ჩვენთან ემზადებიან და პირობებით კმაყოფილებიც არიან. ამას წინათ თბილისის ფალავანთა კლუბიდან გვეწვივნენ, დაათვალიერეს დარბაზი, საცხოვრებელი კომპლექსი, სტადიონი, ადგილები მოკლე და გრძელი კროსებისთვის... მოეწონათ ყველაფერი და ამიტომ შესაძლებელია, მომავალში სხვა ნაკრებებსაც ვუმასპინძლოთ.

**- გორში არაერთი სპორტსმენი თუ მწვრთნელია თქვენი მადლიერი ფინანსური მხარდაჭერის გამო...**

- რაც შემიძლია, ვაკეთებ. გორში ყოფილ სპორტსმენებს კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან და ვიცი, რომ სხვებიც არ არიდებენ თავს სპორტსმენთა დახმარებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა როდი ეწევა ქველმოქმედებას. ბოლო ხანს რამდენჯერმე წამოვწიე თემა, შევქმნათ რაიმე ორგანიზაცია თუ კლუბი, სადაც ყოფილი სპორტსმენები და გულშემატკივრები შევკრებთ ყოველთვიურად გარკვეულ თანხას იმ სპორტსმენთა დასახმარებლად, რომლებიც ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებენ შეჯიბრებებში მონაწილეობას და კარიერა ელუპებათ.

**- იდეა ნამდვილად შთამბეჭდავია, მაგრამ რამდენად რეალურია მისი ხორცშესხმა?**

- უკვე ძალიან ბევრს გავუმხილე ეს იდეა. ამას წინათ ვითვლიდით კიდეც იმ ყოფილ სპორტსმენთა თუ ქომაგთა ოდენობას, რომლებსაც შეუძლიათ, თვეში მცირე თანხა მაინც საქველმოქმედოდ გაიღონ. შეიძლება, ამას ყველა დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდეს, მაგრამ დავიწყოთ თუნდაც 20-30-მა კაცმა. მერე, ალბათ, დანარჩენებიც შემოგვიერთდებიან. მომავალ თაობას ჩვენი გვერდში დგომა სჭირდება, თორემ მოგვტაცებს ნარკომანიის დამღუპველი ტალღა.

**- რამდენიმე თვის წინ გორში თქვენი „სპორტ კაფეს“ გახსნისას თქვით, რომ მისი კარი ღია იქნება პრესკონფერენციებისა და შეხვედრებისთვის...**

- დიახ, „სპორტ კაფე“ მუდამ მზადაა, უფასოდ მოემსახუროს შეჯიბრების ორგანიზატორთა ღონისძიებებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქალაქში დიდი ხანია, აღარ ტარდება მედიის წინაშე წარსადგენი შეჯიბრებები. არადა, ადრე გორში წელიწადში რამდენჯერმე იმართებოდა საინტერესო სპორტული ღონისძიებები, ტურნირები...

**- როგორც შევიტყვეთ, თბილისში ისევ გაიმართება პროფესიონალ მოკრივეთა ორთაბრძოლები.**

- 23 ივლისს განვაახლებთ ამ ორთაბრძოლებს. სექტემბრიდან კი ადრინდელივით ისევ თვეში ორჯერ ჩატარდება, ჩვენთან პროფესიულ კრივსაც არ ულხინს მაინცდამაინც. ტიტულებამდე სპორტსმენის მიყვანას დიდი ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. ფედერაციას რომ თვეში 300 ათასი ჰქონდეს ბიუჯეტი, მერწმუნეთ, ყოველ წელს გვეყოლებოდა მსოფლიოს ჩემპიონი. ვგულისხმობ ისეთებს, საყოველთაოდ რომ არიან აღიარებულნი.

**ვასილ ბალახაძე**

კალათბურთი

*სატრანსფერო ამბები*

# მანუ კანტუს მოუნდა



საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **მანუჩარ მარკოიშვილი** უკრაინულ "კიევში" დარჩენას აღარ აპირებს. იგი ახალ კლუბს ეძებს.

დაახლოებით ორი კვირის წინათ მოგახსენეთ, რომ მანუჩარის გადაბირება ბერძნულ "პანელინიოსს" სურს. როგორც შევიტყვეთ, მანუს ამ კლუბში გადასვლა ნაკლებად რეალურია, რადგან ქართველი კალათბურთელი გაცილებით უკეთეს გუნდებს ეძებს, ისეთებს, რომლებიც გაისად ევროლიგაზე იასპარეზებენ.

თუმცა, ამ გუნდების ვინაობა ჯერ ვერ შევიტყვეთ. სამაგიეროდ, გამოჩნდა რიგითი იტალიური გუნდი „კანტუ".

გუშინ იტალიურმა საიტმა "ბასკეტნეტმა" ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: *"იტალიური "კანტუ" ფლანგის მოთამაშეს ეძებს. კანტუელებს "ბენეტონის" ყოფილი კალათბურთელის, მანუჩარ მარკოიშვილის გადაბირება სურთ."*

როგორც ხედავთ, ინფორმაცია მშრალია, თუმცა ფაქტია, რომ მანუჩარს იტალიის ჩემპიონატში თამაშის შანსი ეძლევა. "კანტუ" შარშან პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძოდა და მეოთხედფინალში გასასვლელად ერთი ნაბიჯი დააკლდა – მეცხრე ადგილზე გავიდა. პლეი ოფში კი საუკეთესო რვა გუნდი მოხვდა.

სერია A-ში "კანტუს" მაისურით თამაში შეიძლება მანუჩარ მარკოიშვილის კარიერისთვის სასარგებლო იყოს, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა მანუს რომელიმე ევროლიგის გუნდში ხილვა.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახოთ, რას გადაწყვეტს მარკოიშვილი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ძიუდო

*ევროპის ახალგაზრდული თასი*

# მედლებმა კონკურენცია გაამწვავა

ახალგაზრდა ძიუდოისტებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს უნგრულ პაკსში, ევროპის ახალგაზრდულ თასზე - 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო ანუ ჯამში 7 მედალი მოიპოვეს. ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) გახდა, ვერცხლი კი **თორნიკე თათარაშვილმა** (55) მოიპოვა. ამავე წონაში **შმაგი ლაგაზაური** მესამეზე გავიდა. ბრინჯაოს **გიორგი ტაბატაძე** (60), **ლაშა ზურაბიანი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **უშანგი კოკაური** (+100) დაეუფლნენ.

ამ ტურნირს ნაკრების ხელმძღვანელობა 11-13 სექტემბერს სომხეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ-შესარჩევად განიხილავდა და **ბორის ფირცხელიანმა** უნგრეთში ორ-ორი კაცი წაიყვანა. თუმცა, კარგი შედეგის მიუხედავად, კონკურენციის თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა. პირიქით - ზოგან კიდევ უფრო ჩაიხლართა ვითარება. მაგალითად, 55-ში ამჯერად თათარაშვილმა აჯობა ლაგაზაურს, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ ორივემ სომხური წარმოშობის უკრაინელ **გეორგ ხაჩატრიანთან** წააგო. არადა, საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ლაგაზაურმა მოუგო თათარაშვილს. ქვეყნის პირველობაზე ზურაბიანმაც დაამარცხა ტატალაშვილი, მაგრამ ახლა შედეგით კონკურენტმა აჯობა. ამდენად, მწვრთნელისთვის გადაწყვეტილების მიღება ჯერ ძნელია და შეგირდებს საბოლოოდ 8-9 აგვისტოს ბერლინში, ევროპის ახალგაზრდულ თასზე დააკვირდება. თუმცა არაა გამორიცხული, ზოგან საუკეთესო ვერც იქ შეარჩიოს და საბოლოო არჩევანი შეკრებებზე, საკონტროლო შეხვედრებში გააკეთოს. ფირცხელიანის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ამჯერად სავიზო პრობლემების გამო ორი ლიდერი ვერ გაემგზავრა - **პაატა მერებაშვილი** (60) და **ზებედა რეხვიაშვილი** (73). შეგახსენებთ, რომ ისინი შარშან ვარშავაში ახალგაზრდების ევროპირველობის მიმდინარეობისას დააკავეს და საბოლოოდ კი გაამართლეს, მაგრამ სავიზო რეჟიმი დაარღვიეს და ახლა სწორედ ამიტომ შეექმნათ პრობლემა. ისე, ნამდვილად აჯობებდა, თუ ეს შესაძლებელი იყო, პრობლემა თავიდანვე გარკვეულიყო და არა გამგზავრების წინადღეს.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი

*ტრანსფერები*

# რამდენიმე ტრანსფერი ფედერალ დივიზიონებში

საფრანგეთის ელიტურ პირველ და მეორე დივიზიონებში სატრანსფერო სეზონი დასრულდა. სამაგიეროდ, ჯერაც საკმაოდ აქტიურად მიდის „ვაჭრობა" ფედერალურ დივიზიონებში. აქ რამდენიმე ქართველმა მორაგბემ ახალი კონტრაქტი გააფორმა.

ფედერალ 1-ის „ლე ბუგესთან" ახლახან დააკავშირა თავისი სარაგბო კარიერა შერკინების პირველხაზელმა **ნიკოლოზ მალალდაძემ,** რომელიც აქამდე ამავე დივიზიონის „კაორში" ირჯებოდა.

„ლე ბუგეს" ბოლო დრომდე საკმაოდ მწვავე ფინანსური პრობლემები ჰქონდა. თუმცა საბოლოოდ მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა და კლუბის ხელმძღვანელებმა აქ მოთამაშე კიდევ ორ ქართველს, **დავით გასვიანს** და **დიმიტრი ბასილაიას** გაუგრძელეს ხელშეკრულებები.

ჯერჯერობით უგუნდოდაა მალალდაძის ყოფილი თანაგუნდელი, ასევე შერკინების პირველხაზელი **შოთა მელიქიძე.**

ახალი სეზონიდან ახალ გუნდში ითამაშებს შერკინების კიდევ ორი ბურჯი: **სანდრო ესაკია** და **დავით აშვეთია.** ორივემ კონტრაქტი **ვიქტორ დიდებულიძის** გაწვრთნილ „მასისთან" გააფორმა. ესაკია აქამდე ფედერალ 1-ში მოასპარეზე „სენ ნაზერში" თამაშობდა. აშვეთია კი მეორე დივიზიონის „ოიონაქსის" ღირსებას იცავდა.

ამჟამად ფედერალ 2-ში მოასპარეზე „ფიჟაკთან" აწარმოებს მოლაპარაკებას **მერაბ კვირიკაშვილი.** ამ გუნდში უკვე ირიცხებიან გარემარბი **მალხაზ ურჯუკაშვილი** და მესამეხაზელი **დიმა პავლოვი.** გახდება თუ არა „მეკო" მათი თანაგუნდელი, უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ყინულის ჰოკეი

# ბათუმი ჰოკეის ქალაქია

ზაფხულში ქართველი ჰოკეისტები ბათუმში გადაინაცვლებენ. იქ უკვე იმყოფებოდა ბაკურიანის გუნდი, მალე კი მათთან ერთად აჭარაში დედაქალაქელი ჰოკეისტებიც გაივლიან შეკრებას. როგორც იცით, ბათუმში საერთაშორისო ტურნირის ჩატარება იგეგმება. ეს საკითხი მომავალ მეტოქეებთან ერთად განიხილება და, წესით, ტურნირის ჩატარებას წინ ვერაფერი უნდა დაუდგეს. რამდენიმე დღეში ეს ამბავიც დაზუსტდება და შესაძლოა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სიახლეებიც შევიტყოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ანშუო. შოგილდ წარსულისაგან...

# რაგბი ჩემი ოჯახია

**ბართლომე ხამაშურიძე იმ ლეგენდარული ქუთაისის „აიას" წამყვანი მორაგბე იყო, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში სამჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ორჯერ დაეუფლა თასს. უფროსი „ანტილოპა" „აიასთან" ერთად პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულია და შვილთან ერთად უთამაშია საქართველოს ნაკრებშიც. მას თითქმის ყველა რგოლში შეეძლო ეთამაშა, სადაც გუნდს დასჭირდებოდა, იქ იყო მისი ადგილი. მისი სასტარტო სისწრაფე ცნობილ სპრინტერებსაც შეშურდებოდათ. ზოგჯერ ჰაერში გააკეთებდა ხოლმე რამდენიმე ნაბიჯს, თითქოს მიფრინავსო, ამის გამო იყო, თანაგუნდელებმა ბართლომე ხამაშურიძეს „ანტილოპა" რომ შეარქვეს. კარიერის განმავლობაში უამრავი სპორტული ჯილდო დაიმსახურა. 55 წლის ვეტერანი მორაგბე დღეს „ლელოს" სტუმარია.**

**- ბატონო ბართლომე, გავიხსენოთ, როგორ იწყებოდა თქვენი სარაგბო კარიერა?**

- თამაში საკმაოდ გვიან, 23-24 წლისამ დავიწყე. იქამდე ხელბურთით, ფეხბურთით და მძლეოსნობით ვიყავი გატაცებული, თუმცა რაგბიმ სხვა ყველაფერი დამავიწყა. ერთხელ „აიას" ლეგენდარულ მოთამაშესა და მწვრთნელთან, დუგლას კავთელაშვილთან ვიყავით სტუმრად. დუგლასმა რაგბიზე მისვლა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. პირველი ვარჯიშის შემდეგ მივხვდი, რომ ზუსტად იმას მივაგენი, რასაც ვეძებდი და მას შემდეგ რაგბით ვარ „მოწამლული".

**- რაგბის თამაში გვიან კი დაიწყეთ, თუმცა მრავალმხრივ სპორტსმენს არ გაგიჭირდებოდათ ოვალურ ბურთთან შეგუება...**

- არა, საკმაოდ მალე ჩავწვდი ნიუანსებს. ამაში ფიზიკური მომზადება დამეხმარა, მიყვარდა ბრძოლა და დაბრკოლებების გადალახვა. რაგბი ჩემს ხასიათში იყო და ამიტომ მალე ჩამოვყალიბდი მორაგბედ. „აიაში" მოკლე ხანში მოვიკიდე ფეხი. ცხონებული შაკო ქურციკიძე და დუგლას კავთელაშვილი იყვნენ მაშინ ქუთაისური გუნდის მწვრთნელები. ორივეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს კარიერაში.

**- იმხანად რაგბი ქუთაისში უცხო ხილი იყო, როგორი დამოკიდებულება იყო ქალაქში თქვენ მიმართ?**

- თავიდან ბევრი ალმაცერად გვიყურებდა და უკვირდათ, რატომ ვიკლავდით თავს, თუმცა ყოველთვის გვყავდა ერთგული გულშემატკივრები, რომლებიც დიდ სტიმულს გვაძლევდნენ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები რომ გავხდით, ქუთაისში რაგბის მიმართ ინტერესი გაათმაგდა და სტადიონი ყოველთვის ივსებოდა. უკვე ყველა გვაფასებდა. პირველი წლები კი ძალიან რთული იყო. სტადიონი არ გვქონდა, სადაც ტრიალ მინდორს ვნახავდით, იქ ვთამაშობდით, სამწუხაროდ, სტადიონის პრობლემა ქუთაისში დღესაც გადაუჭრელია.

**- მალე ქუთაისის „აიამ" საქვეყნოდ გაითქვა სახელი, როგორ გაიხსენებდით დიდი წარმატებების წლებს?**

- „აიას" წარმატებები დიდწილად სახლმშენებელი კომბინატისა და მისი ხელმძღვანელის რომან ბეჟუაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. ამ ადამიანის წყალობით ქუთაისურ გუნდს მცირეოდენი ფული გაუჩნდა და უკეთესმა პირობებმა მანამდე წარმოუდგენელი შედეგები მოიტანა. 1984 წელს სსრკ-ს ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ, ერთი წლის შემდეგ მესამე ადგილზე გავედით, 1987 წლიდან მოყოლებული კი სამჯერ გავხდით ჩემპიონები და ორჯერ თასი დავისაკუთრეთ. რასაც მივაღწიეთ - დიდი შრომითა და რაგბის უზომო სიყვარულით. ამას მორაგბეთა დიდი პროფესიონალიზმიც დაემატა და „აია" საბჭოთა კავშირის უძლიერესი კლუბი გახდა. ორჯერ მოვუგეთ სსრკ-ის ნაკრებს, ეს კი პატარა საქმე არ იყო. ჩვენმა წარმატებებმა ბევრი სპეციალისტი გააკვირვა. მოსკოვში რომ გავხდით ჩემპიონები, „მონინოს" კაპიტანი მირონოვი მარშალმა დაიბარა კაბინეტში, რუკა გაუშალა და უთხრა, მომიძებნე, სად არის აქ ქუთაისიო, მირონოვმა ვერ მიაგნო რუკაზე ქუთაისს, მაშინ მარშალი გაბრაზდა და შეუკურთხა - აბა, ვინ მოგიგოთ, თქვენიო... ეს ამბავი თავად მირონოვმა მიამბო. რუსებს რომ თავი დავანებოთ, ქართველებსაც არ სჯეროდათ, რომ პატიოსან ბრძოლაში მოვიპოვეთ ოქროს მედლები. ერთ-ერთი ქართული გუნდის მწვრთნელმა დუგლას კავთელაშვილს უთხრა - ცეკასთან თუ არ იყავით შეკრული, როგორ შეძლებდა „აია" ჩემპიონობასო. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ჩვენ გვჯეროდა საკუთარი თავის და ეს გამარჯვებებში გვეხმარებოდა. წლეულს 20 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მესამეჯერ გავხდით ჩემპიონები და დიდი სურვილი გვაქვს, ქართული რაგბის ეს ღირსშესანიშნავი თარიღი სათანადოდ ავღნიშნოთ.

**- ყოფილი თანაგუნდელებიდან ყველაზე მეტად ვის გვერდით გიადვილდებოდათ თამაში?**

- ვერავის გამოვარჩევ, ყველა მაქსიმუმს აკეთებდა, რათა ქუთაისის სახელი საქვეყნოდ ყოფილიყო ცნობილი. ყველამ თავისი წვლილი შეიტანა „აიას" წარმატებებში. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ამქვეყნად აღარ არის და ჩვენ მათ ხსოვნას უდიდეს პატივს მივაგებთ.

**- მეტსახელი „ანტილოპა" საიდან?**

- რაგბის თამაში რომ დავიწყე, პირველ შეხვედრაში ვერავინ გამაჩერა, ყველასთვის მოუხელთებელი ვიყავი და თამაშის შემდეგ დუგლას კავთელაშვილმა მითხრა, დღეიდან „ანტილოპას" დაგიძახებთო. მას შემდეგ შემრჩა ეს სახელი და დღეს ჩემს შვილსაც ამ სახელით მიმართავენ.

**- შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატზე გადაერთეთ და „აიასთან" ერთად საქართველოს ჩემპიონიც გახდით. ამ წლებს როგორ გაიხსენებთ?**

- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფორმირებასა და საძირკვლის ჩაყრაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის რაგბის კავშირის ყოფილ პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს და მისი ღვაწლი არ უნდა დაიკარგოს. დღეს რომ ქართული რაგბი გულშემატკივარს ახარებს, ამას სწორედ ბიძინა გეგიძემ ჩაუყარა საფუძველი. პირველი ეროვნული ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონის იყო და ჩემპიონობითაც ძალიან გავიხარეთ. სხვათა შორის, პირველ ჩემპიონატში ჩემს ვაჟთან, ბესოსთან ერთად ვთამაშობდი და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შვილთან ერთად მომიწია გაჩემპიონება. საქართველოს ნაკრების პირველ მატჩშიც, ზიმბაბვეს წინააღმდეგ მე და ბესომ ერთად ვითამაშეთ. ასე რომ, შვილთან ერთად ნაკრებშიც მითამაშია.

> **მოსკოვში რომ გავხდით ჩემპიონები, „მონინოს" კაპიტანი მირონოვი მარშალმა დაიბარა კაბინეტში, რუკა გაუშალა და უთხრა, მომიძებნე, სად არის აქ ქუთაისიო, მირონოვმა ვერ მიაგნო რუკაზე ქუთაისს, მაშინ მარშალი გაბრაზდა და შეუკურთხა — აბა, ვინ მოგიგოთ, თქვენიო...**

**- უფროს და უმცროს „ანტილოპას" ერთმანეთს როგორ შეადარებდით?**

- მე გვიან დავიწყე თამაში, ბესო კი დაბადებიდან თამაშობს. ორჯერ საქართველოს ნაკრებში მსოფლიო თასზე იასპარეზა და პირობა დადო, რომ მესამეჯერაც ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ახლა „აიას" მოთამაშე მწვრთნელია და კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს. თამაშის სტილით ვგავართ ერთმანეთს და ამიტომ მასაც „ანტილოპა" შეარქვეს. ჩემდროინდელი და ახლანდელი რაგბი განსხვავდება, ვფიქრობ, ჩვენ-ჩვენს გუნდებში ორივემ წარმატებით ვითამაშეთ.

**- პირველი ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ აღარ გითამაშიათ. ნაადრევი ხომ არ იყო კარიერის დასრულება?**

- ჩემთვის ოფიციალური გაცილება არ მოუწყვიათ და ვთვლი, რომ კარიერა არ დამისრულებია. ვეტერანებთან ერთად რაგბის დღესაც ვთამაშობ. ურაგბოდ ჩემი თავი ვერ წარმომიდგენია. ჩემი სარაგბო კარიერა მაშინ დამთავრდება, ამქვეყნად რომ აღარ ვიქნები. სუფთა სპორტული ცხოვრებით ვიცხოვრე, რეჟიმი არასოდეს დამირღვევია, ასაკოვანი კი ვიყავი, მაგრამ შემეძლო თამაშის გაგრძელება, თუმცა სამშობლოს რომ დასჭირდა, ბურთი გვერდზე გადავდე და ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთის ომში ვიბრძოდი.

**- მორაგბის კარიერის დასრულების შემდეგ ერთხანს ქუთაისის „აიას" წვრთნიდით. მწვრთნელის ამპლუაში როგორ გრძნობდით თავს?**

- ყველაფერი რომ დაიშალა და განადგურდა, „აიას" მაშინ ჩავუდექი სათავეში. გუნდი გაქრობის პირას იყო და ჩვენი ბრძოლის შედეგად მისი შენარჩუნება მოხერხდა. დღეს რომ „აია" არსებობს, ამაში წვლილი მეც მიმიძღვის. 1998 წელს საქართველოს ვერცხლის პრიზიორები გავხდით. ასევე ვმონაწილეობდი ქუთაისის სარაგბო სკოლის ჩამოყალიბებაში, რომელსაც ახლა ი[illegible] დიაკონიძე წარმატებით უძღვება.

**- ახლა რას საქმიანობთ?**



- საქართველოს რაგბის კავშირის იმერეთის ფილიალის გამგეობის წევრი ვარ. თუმცა არანაირი ოფიციალური თანამდებობა არ მჭირდება, რაგბი ჩემი ოჯახია და სიცოცხლის ბოლომდე ამ ოჯახის წევრი ვიქნები.

**- ქართული რაგბის დღევანდელობაზე რას იტყვით?**

- დღესდღეობით რაგბის განვითარებისთვის ბევრი რამ კეთდება. რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე და ვიცე-პრეზიდენტი გია გორგასლიძე ძალიან ნაყოფიერად მუშაობენ. ქართული რაგბის წარმატებები შემთხვევითი მოვლენა არაა და უფრო მეტი ფინანსები თუ იქნება, ქართული რაგბი კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს იზეიმებს.

**- რა არის თქვენი ოცნება?**

- ახალგაზრდობაშიც ამას ვოცნებობდი და ახლაც ეს არის ჩემი ოცნება, რომ ქუთაისში ერთი კოხტა სარაგბო სტადიონი გვქონდეს და იქ შესასვლელად ვინმეს ხვეწნა-მუდარა არ დაგვჭირდეს. რაგბის კავშირს პირდაპირ აქვს დირექტივა მიღებული ქვეყნის პრეზიდენტისგან ქუთაისში სარაგბო მოედნის გაშენების შესახებ და, იმედია, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ოცნება ახდება.

სტადიონი რომ იქნება, ქუთაისი სანაკრებო მატჩების მასპინძლობასაც შეძლებს. თაობაც უკეთესი წამოვა. ქუთაისში ყოველთვის იყვნენ ნიჭიერი მორაგბეები, მაგრამ პირობების არარსებობის გამო იკარგებოდნენ. დღეს მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა, საუკეთესო რაგბის სკოლა გვაქვს, ოღონდ მხოლოდ ამ სკოლის მოედანი არ კმარა. პატარებიც იქ ვარჯიშობენ და დიდებიც, რაც პრობლემებს ქმნის.

**- მიმდინარე ჩემპიონატში ქუთაისის „აიას" ასპარეზობაზე რას იტყვით?**

- ახალი გუნდია და ჯერაც ჩამოყალიბების გზაზეა. გუნდის პრეზიდენტი გია გორგასლიძე ყველაფერს აკეთებს, რათა „აიამ" ძველი დიდება დაიბრუნოს. ახალგაზრდები არიან და თუ ერთმანეთის გვერდით სიყვარულით დადგებიან, მოედანზეც უთუოდ მეტს მიაღწევენ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ცხენოსნობა

# მაშრიყ-მაღრიბის გზებით

განა ასეთი რა გამოცოცხლება დაეტყო ჩვენს კლასიკურ ცხენოსნობას (კერძოდ, დაბრკოლებათა გადალახვას), რომ მისი ასპარეზობების გეოგრაფია ესოდენ გაფართოებულად — აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადაჭიმულად წარმოვსახეთ?! უადგილო ირონიისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. დღეს საქართველოში სპორტის რომელიმე დარგის წარმომადგენლები თუ არ იმსახურებენ ამგვარ დამოკიდებულებას და პირიქით — ყოველმხრივ მხარდაჭერის ღირსი არიან, ეს, ჩემი აზრით, მხედრებზე ითქმის. როგორც ბევრ, არა მარტო სპორტის, დარგში სამწუხარო გადინებას აქაც ვერ ავცდით. მაგრამ ხომ ვიცით, რომ ეს არ მომხდარა „უკეთესი ანაზღაურების", თანამედროვე პირობების ძიების ნიშნით. უბრალოდ, მაშინ, იმ მძიმე წლებში, გავიდნენ სამშობლოდან, როდესაც აქ უშუალოდ თავიანთი პროფესიით საქმეზე

პირველი ძალისხმევის მაგალითად გასულ შაბათ-კვირას გათამაშებული საქართველოს თასის პირადი ასპარეზობაც გამოდგება. მარტო კარგ სამახსოვრო პრიზებსა და ფულად ჯილდოებში არაა საქმე. სანიმუშოდ იყო მომზადებული საასპარეზო მოედანი, მკაფიო და ზუსტი იყო მსაჯობა. მონაწილენი, ერთის გარდა, ყველა თბილისელი იყო. ძირითადი ცხენებით პირველი დღის კონკურზე („ქულათა მაქსიმუმი", 140 სმ-იანი „ჯოკერით") აღსანიშნავია საპრიზო სამეულის მჭიდრო შედეგები: 1. **შალვა გაჩეჩილაძე** (ცხენი სატურნი, 1190 ქულა), 2. **ივანე ნორაკიძე** (ეროსი, 1120), 3. **ირაკლი გელაშვილი** (ელემაქსი, 1110).

ახალგაზრდა ცხენებით კი „სისწრაფისა და მართვის" კონკური გათამაშდა (მაქსიმალური სიმაღლე — 115 სმ). პირველი სამეული: **გიორგი სამხარაძე** (ელ-

> დელისის იპოდრომზე განაფულ ჩვენს ბედაურებსა და მხედრებს შეიძლება შუა საუკუნეების უბრწყინვალესი ცხენთსარბიელითაც ცნობილი დიდი კონსტანტინოპოლის ნაფუძარზეც მოუწიოთ ქართული ცხენოსნობის სახელის დაცვამ.



შალვა გაჩეჩილაძე

დადგომა თითქმის გამორიცხული იყო. რამდენადაც ვიცი, მათი უმრავლესობა უცხოეთში ღირსეულად აგრძელებს მხედრულ ან ცხენოსნობასთან დაკავშირებულ საქმიანობას და არც დაბრუნებაზე შეუწყვეტიათ ფიქრი. ამჯერად თავს შევიკავებ მაგალითების მოყვანისგან, მით უმეტეს, რომ სრული ინფორმაცია ამ საკითხზე არ მოგვეპოვება. მაგრამ რაც შეეხება მხარდაჭერას, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ საქართველოს კლისიკური ცხენოსნობის ფედერაცია საქმიანად, რეალურად ზრუნავს მხედრების პროფესიული ანაზღაურების გაუმჯობესებასა (რასაც სპონსორების მოზიდვით საპრიზო ფონდის ჩვენთვის ერთობ მოულოდნელი გაზრდა გამოხატავს) და, აგრეთვე, ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მრავალმხრივი პროგრამის შესატყვის ჩარჩოებში საქართველოს სპორტსმენების მაქსიმალურად ჩართვაზე.

პერილი), ფოთელი **გოგიტა კოდუა** (სემირამიდა), **ზაზა ჩიტრეკაშვილი** (ალი).

საქართველოს თასის კონკურზე (ძირითადი ცხენებით, 130 სმ, 11 დაბრკოლება) შ. გაჩეჩილაძემ და ი. ნორაკიძემ (დარი) უჯარიმოდ გაიარეს ძირითადი მარშრუტი. ჭაბუკმა **გაგა თოხაძემ** (ასპარეზი) კი ერთი ბარიერის გადალახვაზე 2 შეცდომა დაუშვა (-8 ქულა) და მესამე დარჩა. დამატებით ხტომებში (140 სმ) გაჩეჩილაძემ 1 დაბრკოლება დააზიანა, ნორაკიძემ — 2 და სპორტის აკადემიის მეოთხეკურსელმა უკვე მეექვსედ მოიგო ეს თასი (ერთხელ ახალგაზრდა ცხენით). ისიც აღსანიშნავია, რომ 7 წლის თრაკენული ულაყი სატურნი სულ 2 თვეა, რაც შალვას გაუპიროვნეს. მწვრთნელი **გელა ტატანაშვილი** კმაყოფილია უდავოდ პერსპექტიული ნყვილის პირველი გამოსვლით. ახალგაზრდა ცხენებით (115 სმ) გ. სამხარაძე ამ კონკურსშიც პირველი იყო. მან უშეცდომოდ იარა და საკონტროლო დროის 1 წამით გადაცილებისათვის მიიღო 1 სჯარიმო ქულა. მეორე იყო **გიორგი ქობლიანიძე** (გევა, - 4), მესამე - გ. კოდუა (-8),

საქართველოს მხედრებსა და, საერთოდ, ფედერაციას ოქტომბრის დამდეგს დიდი გამოცდა ელის - თბილისში (ცხადია, დელისის იპოდრომის საკონკურო მოედანზე!) გაიმართება „კავკასიის თასის" გათამაშება დაბრკოლებათა გადალახვაში, ხოლო შემდეგ ბაქოში მსოფლიო თასის ორვარსკვლავიანი ტურნირის მეორე ეტაპი (პირველი, შეგახსენებთ, მაისის დამდეგს ბაქოშივე ნორაკიძემ მოიგო).

ამ მნიშვნელოვანი ასპარეზობის წინ ფედერაციას დაგეგმილი აქვს საწვრთნელი შეკრების ჩატარება ფოთში. ვინც იცის ამ ქალაქის საცხენოსნო ბაზის კონკურის მოედნის უმაღლესი ხარისხი (რბილი, ბალახოვანი გრუნტი), იქაური გულშემატკივრებისა და მხედრების გულითადი მასპინძლობა, საერთოდ, სპორტული ცხენებისათვის ზღვის პირას ვარჯიშის სიკეთე, დიდი იმედით ელის ამ ნამდვილად საეტაპო გასვლას დასავლეთისკენ. მით უმეტეს, რომ ამ შეკრებას შეიძლება მოჰყვეს თურქეთში, სულაც სტამბოლში, ბოსფორის თასის დიდ საკონკურო ტურნირზე გამგზავრება. დიახ, დელისის იპოდრომზე განაფულ ჩვენს ბედაურებსა და მხედრებს შეიძლება შუა საუკუნეების უბრწყინვალესი ცხენთსარბიელითაც ცნობილი დიდი კონსტანტინოპოლის ნაფუძარზეც მოუწიოთ ქართული ცხენოსნობის სახელის დაცვამ.

**ნოდარ ებრალიძე**

> **საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ 75 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი მხედარი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი დაბრკოლებათა გადალახვაში, საკავშირო პირველობების პრიზიორი, 1958 წლიდან საქართველოს ერთადერთი და უცვლელი რეკორდსმენი ცხენით სიმაღლეზე ხტომაში**
>
> **ვალერიან (ვალიკო) ოძელაშვილი**
>
> **და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

სუმოს სამყარო



ტოჩინოშინი

# ერთი მოგებაც და კაჩი კოშია

ნაგოიას ბაშოს ორი მესამედიც მიილია, სუპერტურნირზე ქართველ სუმოისტთა მდგომარეობას ასე დავახასიათებდით - **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** მორიგ წარმატებასთან ძალზე ახლოსაა, **ლევან ცაგურია (კოკაი)** გასაჭირშია, ხოლო **თეიმურაზ ჯუღელისთვის (გაგამარუ)** ყველაფერი ცუდად დასრულდა.

გუშინ დასავლეთის მე-5 მაეგაშირა ტოჩინოშინი საბრძოლველად დებიუტანტ **მოკონამისთან** გავიდა, იაპონელმა ჯიქურ შეუტია, ქართველმა კი მარცხენა ხელით უვატენაგეს ილეთი ჩაუტარა და თიხნარზე დააგდო. ერთი მოგებაც და ლევანი დადებითი ბალანსს (იაპონურად კაჩი კოში) დაიბევებს. ეს მას დღესვე შეუძლია, თუკი მონღოლ **შოტენროს** (8-2) აჯობებს.

კოკაის კი დარჩენილ ხუთ ორთაბრძოლაში გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდება უარყოფითი ბალანსისგან (მაკე კოში) თავის დასახსნელად - ხუთიდან ოთხი მატჩი უნდა მოიგოს. გუშინ, კოკაიმ დებიუტანტ **ტოსაიუტაკასთან** იორიკირის ილეთით წააგო.

მესამე დივიზიონში თავის ბოლოსწინა ორთაბრძოლას გამართავს გაგამარუ, მისი მეტოქე მე-9 მაკუშიტა **სატოიამაა**. ქართველს 1-4 ბალანსი აქვს და ორივე დარჩენილი შეხვედრაც რომ მოიგოს, ბაშოს მაინც უარყოფითი ბალანსით დაასრულებს.

იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში კი ორი ფავორიტი გამოიკვეთა. იოკოძუნა **ჰაკუჰო** და ოძეკი **კოტოოშუ** 10-0 ბალანსით ლიდერობენ. გუშინ „თეთრმა ფენიქსმა" ცაციათი სუკუინაგეს ილეთი ჩაუტარა ჩემპიონ **ჩიოტაიკაის**, ხოლო ბულგარელი კოტოოშუ დაჯახებისთანავე კორპუსში ეცა **კისენოსატოს** და მანამდე სანამ მეტოქე ბეჭებზე არ გააკრა, გასაქანი არ მისცა. 9-1 ბალანსი აქვს ოძეკი **კოტომიცუკის**.

| IX დღე | |
|---|---|
| ასაშორიუ (ი)-კაკურიუ (ს) | ოკურიტაოში |
| ჰაკუჰო (ი)-ჩიოტაიკაი (ო) | სუკუინაგე |
| ჰარუმაფუჯი (ო)-კაიო (ო) | შიტატენაგე |
| კოტოოშუ (ო)-კისენოსატო (ს) | იორიტაოში |
| კოტომიცუკი (ო)-ბარუტო (მ3) | იორიკირი |
| კოტოშოგიკუ (კ)-არანი (მ1) | უვატენაგე |
| კიოკუტენჰო (კ)-ტოჩიოძანი (მ2) | უვატენაგე |
| გოეიდო (მ1)-მიაბიამა (მ4) | იორიკირი |
| ამინიშიკი (მ5)-ტოიოჰიბიკი (მ2) | ოშიდაში |
| ივაკიამა (მ3)-ტაკამისაკარი (მ4) | იორიკირი |
| ტოჩინოშინი (მ5)-მოკონამი (მ7) | უვატენაგე |
| ტამანოშიმა (მ6)-იამამოტოიამა (მ11) | ჰატაკიკომი |
| ბუშუიამა (მ6)-ფუტენო (მ13) | სუკუინაგე |
| ტოიონოშიმა (მ7)-ტამავაში (მ11) | ჰიკიოტოში |
| კაკიძოე (მ8)-ასასეკირიუ (მ12) | ოშიდაში |
| ტოსაიუტაკა (მ14)-კოკაი (მ8) | იორიკირი |
| ტოჩინონადა (მ9)-იოშიკაძე (მ12) | ოკურიდაში |
| ტაკეკაძე (მ9)-შიმოტორი (მ14) | ჰიკიოტოში |
| ტოკიტენკუ (მ10)-ვაკაკოიუ (მ16) | ჰიკიოტოში |
| შოტენრო (მ10)-ჰომაშო (მ15) | ჰატაკიკომი |
| კასუგაო (მ15)-დეჯიმა (მ13) | იორიკირი |

შენიშვნა: *მარცხნივ გამარჯვებული რიკიში*

| X დღე | |
|---|---|
| ჰაკუჰო (10-0) | კოტომიცუკი (9-1) |
| კოტოოშუ (10-0) | ჩიოტაიკაი (5-5) |
| ასაშორიუ (8-2) | კაიო (5-5) |
| ამინიშიკი (8-2) | ტოკიტენკუ (7-3) |
| შოტენრო (8-2) | ტოჩინოშინი (7-3) |
| ჰარუმაფუჯი (7-3) | ბარუტო (7-3) |
| კისენოსატო (7-3) | კოტოშოგიკუ (4-6) |
| ტამანოშიმა (7-3) | ჰომაშო (6-4) |
| კასუგაო (7-3) | ტაკეკაძე (5-5) |
| მიაბიამა (5-5) | ტოჩინონადა (4-6) |
| ტაკამისაკარი (5-5) | ტოსაიუტაკა (5-5) |
| იოშიკაძე (5-5) | მოკონამი (4-6) |
| შიმოტორი (5-5) | კაკიძოე (4-6) |
| კიოკუტენჰო (4-6) | არანი (1-9) |
| ბუშუიამა (4-6) | ტოიოჰიბიკი (1-9) |
| ტოიონოშიმა (4-6) | დეჯიმა (2-8) |
| კოკაი (4-6) | ფუტენო (4-6) |
| ასასეკირიუ (4-6) | იამამოტოიამა (4-6) |
| კაკურიუ (3-7) | გოეიდო (3-7) |
| ივაკიამა (3-7) | ტოჩიოძანი (0-10) |
| ვაკაკოიუ (3-7) | ტამავაში (2-8) |

## ქართველთა დღევანდელი მეტოქეები

ტოჩინოშინი შოტენროს წინააღმდეგ: 1:1

**შოტენრო**



მე-10 მაეგაშირა (მონღოლეთი). 27 წლის, 189 სმ, 154 კგ.

კოკაი ფუტენოს წინააღმდეგ: 8:9

**ფუტენო**



მე-13 მაეგაშირა. 28 წლის, 181 სმ, 156 კგ, ყოფილი კომუსუბი.

**დღის ილეთი**

**ოკურიტაოში** (ზურგზე მიწოლა და დაგდება)

გუშინ, ოკურიტაოში დიდმა ჩემპიონმა **ასაშორიუმ** გამოიყენა სეკივაკე **კაკურიუს** წინააღმდეგ. ამ ილეთის წყალობით მან ბაშოზე დადებითი ბალანსი დაიბევა.

ოკურიტაოში ოკურიდაშის ილეთის მსგავსია, შემტევი მეტოქეს ზურგს უკან მოექცევა და ზურგზე აწვება ისე რომ დოჰიოზე დააგდოს. ხშირად ეს დოჰიოს კიდესთან ხდება.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხრიდოლი

# ართვინის ფესტივალზე



ხრიდოლის გუნდი ართვინის მერთან ერთად

თურქეთში, ართვინის მხარეში გამართულ ფესტივალზე იმყოფებოდა საქართველოს ხრიდოლის გუნდი ფედერაციის პრეზიდენტ **ნუკრი მჭედლიშვილის** ხელმძღვანელობით. ჩვენს დელეგაციას ყოფილი მოჭიდავე, ამჟამად ართვინში მცხოვრები და მოღვაწე **ზაზა ვარდიძე** მასპინძლობდა. იგი დღესდღეობით, თურქ ჭაბუკებს თავისუფალ ჭიდაობაში ავარჯიშებს.

ფესტივალზე, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციები იყო წარმოდგენილი, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ქართველი სპორტსმენების მიერ შესრულებულმა "საბრძოლო შეტაკებამ". ხრიდოლის ამ საჩვენებელი ორთაბრძოლის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა ქალაქის ქუჩებში მოსეირნე ჩოხოსანი ხრიდოლიონების მიმართ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**კალათბურთი.** ფინიქს სანზი

# ნეში ფინიქსში დაამთავრებს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **სტივ ნეში** „ფინიქს სანზში" 2012 წლამდე დარჩება. უახლოესი სამი წლის განმავლობაში კანადელი 35 მილიონს გამოიმუშავებს.

როგორც კალათბურთელის აგენტი **ბილ დაფი** აცხადებს, მხარეებმა პრინციპულ შეთანხმებას მიაღწიეს და კონტრაქტი მომავალი კვირის ბოლომდე გაფორმდება. ნეშის წინა კონტრაქტს მომავალი წლის ზაფხულში ეწურება ვადა.

შემდეგ სეზონში 2005 და 2006 წლების საუკეთესო კალათბურთელი 13 მილიონ დოლარს მიიღებს, მომდევნო ორ წელს კი მას 22 მილიონი ერგება.

სტივის ასაკს თუ გავითვალისწინებთ, „ფინიქსის" მცველმა სარფიან კონტრაქტს გამოჰკრა ხელი. დიდია ალბათობა იმისა, რომ ახალი კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ, ნეში დაასრულებს კარიერას - 2012 წელს ის 38 წლის იქნება.

„ფინიქსი" და ნეში რამდენიმე თვე რთულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. სამი კვირის წინ, ვანკუვერში საკუთარი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის გახსნის დროს, გამთამაშებელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გუნდში თავისი მდგომარეობის გარკვევა სურს - იქნება ეს კონტრაქტის გაგრძელება, გაცვლის მოთხოვნა თუ გუნდიდან წასვლაზე შეთანხმება. კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, „ფინიქსი" სახელფასო ბიუჯეტში მნიშვნელოვან თანხას გამოათავისუფლებდა. მაშინ მოთამაშის აგენტმა აღნიშნა, რომ კანადელი სიტუაციის შეცვლისკენ და უფრო ამბიციურ კლუბში გადასვლისკენ იხრებოდა.

მაგრამ ნეშმა რაღაც მიზეზის გამო გადაიფიქრა სხვაგან წასვლა. შესაძლოა, ამის მიზეზი ყოფილიყო „სანზის" მიერ შემადგენლობის გაძლიერებისკენ გადადგმული ნაბიჯები - **გრანტ ჰილის** შენარჩუნება და თავისუფალი აგენტის **ჩენინგ ფრაის** გაფორმება.

*„ნამდვილი „სანზი" ბრუნდება. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ შეგვიძლია ელიტაში დაბრუნება. მომწონს ბოლო დროს გუნდის მიერ გადადგმული ნაბიჯები. ყველაფერი კარგად იქნება"*, - განაცხადა „ფინიქსის" კიდევ ერთმა ლიდერმა **ამარე სტაუდმაიერმა.**

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „ფინიქსმა" ვერ შეძლო პლეი ოფში მოხვედრა - მან დასავლეთ კონფერენციაში მეცხრე ადგილი ადგილი დაიკავა.

ნეშის სტატისტიკური მონაცემები აღფრთოვანებას იწვევს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ის საშუალოდ 17.1 ქულას და 10.8 შედეგიან გადაცემას აგროვებს. საშუალო მანძილიდან ტყორცნების რეალიზაციის მაჩვენებელი 50 პროცენტს აჭარბებს, სამქულიანებს კი კანადელი 43 პროცენტის სიზუსტით ისვრის.

ბავშვობაში ნეში საკმაოდ ბევრ სპორტულ სექციაში ცდიდა ძალებს - კალათბურთის გარდა ევროპული ფეხბურთით, ჰოკეით და ლაკროსით იყო გატაცებული. ფეხბურთისადმი ინტერესი სტივს დღემდე შერჩა. ადრეული წლებიდან ის „ტოტენჰემს" გულშემატკივრობს.

ყოველ ზაფხულს, ნეში ამერიკაში ქუჩის ფეხბურთის ტურნირებს აწყობს, რომელშიც მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავები მონაწილეობენ. 2009 წლის მაისში ის ევროპაში იყო ჩასული, სადაც **ჯო კოულთან, ტიერი ანრისთან** და **ალესანდრო დელ პიეროსთან** ერთად ვიდეო ფილმი ჩაწერა.



■ ■ ■

„ორლანდო მეჯიქმა" თითქმის მოაგვარა თავისუფალი აგენტის **მეტ ბარნსის** შეძენის საკითხი. ESPN.com-ის ცნობით, კლუბმა და კალათბურთელმა ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე მიაღწიეს შეთანხმებას. გარიგების ფინანსური დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

გასულ წელს, 29 წლის ფორვარდმა 77 მატჩი ჩაატარა „ფინიქსის" შემადგენლობაში. ბარნსის საშუალო მაჩვენებლები 10.2 ქულას, 5.5 მოხსნასა და 2.8 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

„ორლანდო" წელს ყველაზე აქტიური გუნდია სატრანსფერო ბაზარზე - ბარნსი ამ გუნდის მეოთხე შენაძენია **ვინს კარტერის, ბრენდონ ბასისა** და **რაიან ანდერსონის** შემდეგ. გარდა ამისა, „მეჯიქმა" 34-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა ცენტრ **მარსინ გორტატთან.**

ცურვა

# ახალი დოპინგი

ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ოლიმპიური ჩემპიონი **რებეკა ედლინგტონი** მიიჩნევს, რომ თანამედროვე საცურაო კოსტიუმები დოპინგის ტოლფასია და ამიტომაც სპორტსმენებს უნდა აეკრძალოთ მათი გამოყენება. ასეთი რეაქცია ჰქონდა ბრიტანელ მოცურავეს საწყლოსნო სპორტის სახეობების საერთაშორისო ფედერაციის (FINA) გადაწყვეტილებაზე, რომელმაც სპორტსმენებს ახალი, თანამედროვე მასალით დამზადებული კოსტიუმების გამოყენების ნება დართო. ცნობილია, რომ ასეთი ეკიპირებით მოცურავეები უფრო სწრაფად გადიან დისტანციას და ბოლო დროს მომრავლებული რეკორდებიც აქედან მომდინარეობს.

*„ამ კოსტიუმებს ტექნოლოგიურ დოპინგს დავარქმევდი. და რადგან, სწრაფად ცურვისთვის დოპინგი არასოდეს გამომიყენებია, შესაბამისად, არც ამ კოსტიუმებს ჩავიცვამ მაღალი შედეგების მისაღწევად. მიმაჩნია, რომ ეს არალეგალურია"*, - განაცხადა ედლინგტონმა „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში. ბრიტანელი მოცურავე სხვა ვარსკვლავებთან ერთად, იტალიის დედაქალაქ რომში იმყოფება, სადაც საწყლოსნო სპორტის სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. პირველობის ცურვის პროგრამა 26 ივლისს დაიწყება.

ედლინგტონის გარდა, სხვა წამყვანი სპორტსმენებიც უკმაყოფილონი არიან იმით, რომ FINA-იმ ლეგალურად გამოაცხადა პოლიურეთანის კოსტიუმები და მიაჩნიათ, რომ ჩემპიონატის შემდეგ, ფედერაციას მოუწევს ამასთან დაკავშირებით თავისი პოზიციის გადახედვა.

რებეკა, ისევე როგორც ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი მოცურავე **მაიკლ ფელპსი,** მსოფლიოს ჩემპიონატზე Speedo LZR-ის მოდელით გამოვა, რომელიც პირველია ახალი თაობის კოსტიუმებს შორის. ამჟამად, Speedo LZR-ი ჩამორჩება იმ მოდელებს, რომელიც მთლიანად პოლიურეთანით არის დამზადებული.

*„ექსპერტთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ პოზიცია, რომელიც მე ამ საკითხთან დაკავშირებით დავიკავე, რთულ სიტუაციაში ჩამაყენებს, მაგრამ ვერ დავიჯერებ საკუთარ გამარჯვებას, თუ მეცოდინება, რომ ჩემი შედეგი კოსტიუმის წყალობით გაუმჯობესდა"*, - ამბობს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 400 და 800 მეტრ დისტანციაზე გამარჯვებული.

ამგვარი პოზიციის მიუხედავად, ედინგტონმა ისიც დაამატა, რომ სპორტსმენებს სრული უფლება აქვთ გამოიყენონ ახალი თაობის კოსტიუმები და არ შეშურდება, თუ რომელიმე კონკურენტი რომის აუზში მას უკან ჩამოიტოვებს.

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ცურვა ღია წყალში**

**კაცები. 5 კმ**

1. **ტომას ლურცი** (გერ) - 56:26.9; 2. **სპირიდონ იანიოტისი** (საბ) - 56:27.2; 3. **ჩად ჰო** (ს. აფრ) - 56:41.9.

**ქალები. 5 კმ**

1. **მელისა გორმანი** (ავსტრა) - 56:55.8; 2. **ლარისა ილჩენკო** (რუს) - 56:56.3; 3. **პოლიანა ოკიმოტო** (ბრა) - 56:59.3.

**წყალში ხტომა**

**კაცები. 1 მ**

1. **კაი კინი** (ჩინ) - 449.00; 2. **სინპუა ჟანგი** (ჩინ) - 445.90; 3. **მეტიუ მიტჩემი** (ავსტრა) - 440.20.

**კაცები (სინქრონული). 3 მ**

1. **კაი კინი/ფენ ვანი** (ჩინ) - 467.94; 2. **ტროი დუმე/კრისტიან იპსენი** (აშშ) - 445.59; 3. **ალექსანდრ დესპატი/რუბენ როსი** (კან) - 428.64.

**ქალები. 1 მ**

1. **იულია პახალინა** (რუს) - 325.05; 2. **მინხია ვუ** (ჩინ) - 311.90; 3. **ჰან ვანი** (ჩინ) - 303.95.

**ქალები. 10 მ**

1. **პაოლა ესპინოსა** (მექ) - 428.25; 2. **რუოლინ ჩენი** (ჩინ) - 417.60; 3. **კან ლი** (ჩინ) - 410.35.

**ქალები (სინქრონული). 10 მ**

1. **რუოლინ ჩენი/სინ თანი** (ჩინ) - 369.18; 2. **მერი ბეტ დანიჩეი/ჰეილი იშიმაცუ** (აშშ) - 324.66; 3. **მუნ იი ლეონი/რინონ პანდელელა პამი** (მალაიზ) - 321.66.

**სინქრონული ცურვა**

**გუნდური (ტექნიკური)**

1. **რუსეთი** - 49.333; 2. **ესპანეთი** - 48.833; 3. **ჩინეთი** - 48.167.

**სოლო (ტექნიკური)**

1. **ნატალია ილჩენკო** (რუს) - 98.667; 2. **ხემა მენგუალი** (ესპ) - 97.833; 3. **ემ პი ბუდრო-განონი** (კან) - 96.000.

**დუეტი (ტექნიკური)**

1. **ანასტასია დავიდოვა/სვეტლანა რომაშინა** (რუს) - 98.667; 2. **ანდრეა ფუენტესი/ხემა მენგუალი** (ესპ) - 97.333; 3. **ტინტინ ჟიანგი/ვენვენ ჟიანგი** (ჩინ) - 95.667.



# საბერძნეთი ლიდერებს კარგავს



ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ნაკრები ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე ორი წამყვანი კალათბურთელის გარეშე ითამაშებს. პოლონეთში არ მიემგზავრებიან **ტეოდოროს პაპალუკასი** და **დიმიტრის დიამანტიდისი.**

კონტინენტის პირველობაზე დიამანტიდისის მონაწილეობა თავიდანვე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, რადგან კალათბურთელმა ივნისში ოპერაცია გადაიტანა და ექიმების ვარაუდით, ოპტიმალური კონდიციების აღდგენისთვის, საუკეთესო შემთხვევაში თვე-ნახევარი დასჭირდება.

პაპალუკასმა ოფიციალურად თქვა უარი ევროპის ჩემპიონატში თამაშზე. მან ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ „ოლიმპიაკოსში" მძიმე სეზონის შემდეგ, ხანგრძლივი დასვენება სჭირდება.

„პანათინაიკოსის" მცველი დიამანტიდისი მომავალ წელს აუცილებლად დაბრუნდება ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში. რაც შეეხება პაპალუკასს, მასთან დაკავშირებით ჯერ გაურკვეველია სიტუაცია.

■ ■ ■

კიდევ ერთი წამყვანი კალათბურთელი დაკარგა ლიტვის ნაკრებმა. პოლონეთში არ ითამაშებს მცველი **რიმანტას კაუკენასი,** რომელმაც ოჯახური გარემოებები მოიმიზეზა. კერძოდ, კალათბურთელის უარის მიზეზი მამის ავადმყოფობა გახლავთ. სავარაუდოდ, კაუკენასს ესპანეთის „ბილბაოს" მცველი **რენალდას სეიბუტისი** შეცვლის.

გარდა ამისა, ევრობასკეტზე ლიტვის ნაკრების რიგებში არ ითამაშებენ **რამუნას შიშკაუსკასი, შარუნას იასიკიავიჩუსი, არვიდას მაციაუსკასი** და **დარიუს სონგაილა.**

ევროპის ჩემპიონატი 7-20 სექტემბერს გაიმართება.

# ოლიმპიაკოსი კლეიზას იწვევს

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ „ოლიმპიაკოსი" „დენვერის" ლიტველი ფორვარდის **ლინას კლეიზას** გადაბირებას ცდილობს. ბერძნული კლუბი აქტიურად ეძებს ესპანეთის „უნიკახაში" გადასული **გეორგიოს პრინტეცისის** შემცვლელს. ლიტველ კალათბურთელს გაისად 3.5-მილიონიანი ხელფასის მიღება სურს და საბერძნეთის ვიცე-ჩემპიონი მზად არის ამ თანხის გადასახდელად.

24 წლის კლეიზამ შარშანდელ რეგულარულში 9.9 ქულა და 4.0 მოხსნა მიითვალა. ადრე, ლინასი ოთხი წელი სწავლობდა და თამაშობდა მისურის შტატის უნივერსიტეტში.

# ამერიკა ლიდერებს ათამაშებს

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ნაკრების გენერალური მენეჯერი **ჯერი კოლანჯელო** იმედოვნებს, რომ ახალი ციკლის ორ დიდ ტურნირზე - მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატსა და 2012 წლის ოლიმპიადაზე ამერიკელები უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებენ. კერძოდ, გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარებიან **კობი ბრაიანტი, ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი, დუაიტ ჰოვარდი, კრის პოლი, კარმელო ენტონი, კრის ბოში** და **დერონ უილიამსი.**

*„დიდი ხანია მათთან არ მილაპარაკია, მაგრამ ფინიქსში, „ყველა ვარსკვლავის მატჩის" დროს გვქონდა ურთიერთობა. მე ვუთხარი, რომ ამ ორ ტურნირზე მათი დახმარების იმედი მაქვს, ასე რომ, უძლიერესი შემადგენლობის შეკრების იმედს არ ვკარგავთ"*, - ამბობს კოლანჯელო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# ნადალმა ვარჯიში დაიწყო



მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** მუხლის ტრავმით გამოწვეული თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა. შეგახსენებთ, რომ ესპანელი ჩოგბურთელი ბოლოს კორტზე როლან გაროსის მეოთხე წრეში გავიდა, როცა შვედ **რობინ სიოდერლინგთან** ოთხ სეტში დამარცხდა. როგორც უკვე ვწერდით, ჩოგბურთში დაბრუნებული ნადალი პირველ ტურნირს აგვისტოში, კანადის ქალაქ მონრეალში ითამაშებს.

*„სიტუაციას რეალურად ვაფასებ და ვაცხადებ, რომ ჯერ ასი პროცენტით მზად არ ვარ. სეზონის დარჩენილი ნაწილი, ალბათ, ურთულეს ბრძოლაში ჩაივლის, რადგან ჩემს არყოფნაში კონკურენტები ერთმანეთში თამაშს აგრძელებდნენ და ფორმას ინარჩუნებდნენ“*, - ამბობს ნადალი.

გაზეთ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში რაფამ თავისი მოსაზრება გამოთქვა შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან** პრინციპული დაპირისპირების შესახებ. როჯერმა უიმბლდონის მოგების შემდეგ აართვა რეიტინგის პირველი ადგილი ნადალს.

*„ჩემთვის უფრო დიდი მოტივაცია ტურში წარმატებით დაბრუნება და რომელიმე დიდ ტურნირზე გამარჯვების მოპოვებაა, ვიდრე რეიტინგის პირველი პოზიციის დაბრუნება. სულაც არ ვნერვიულობ იმის გამო, რომ კლასიფიკაციაში ლიდერობა დავკარგე, მთავარია, რომ ტურს ჯანმრთელი ვუბრუნდები.*

*მიმაჩნია, რომ გარკვეული უპირატესობა მაქვს ფედერერთან. მე 23 წლის ვარ, როჯერი - 27-ის. ბევრი დრო მაქვს ძველი პოზიციების დასაბრუნებლად. როცა დიდხანს არ ვარჯიშობ და აუცილებელ რიტმს კარგავ, რთულდება სეზონში ჩართვა. არ ვიცი, მივიღებ თუ არა მონაწილეობას ამერიკის ღია პირველობაზე, მაგრამ უკეთესის იმედად ვარ“*, - აცხადებს „დიდი სლემის“ ტურნირების ექვსგზის ჩემპიონი.

# მარიას ბრილიანტები




კიდევ ერთი ჩოგბურთელი, რომელიც ნადალის მსგავსად ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ცდილობს დაკარგული პოზიციების აღდგენას, რუსი **მარია შარაპოვა** გახლავთ. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი უკვე ორ თვეზე მეტია დაუბრუნდა პროფესიულ ტურს, მაგრამ სერიოზული წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევია. მარიამ ვერც-ერთი ტურნირის ფინალში გასვლა ვერ მოახერხა.

უიმბლდონზე არგენტინელ **ხისელა დულკოსთან** ნაგების შემდეგ, შარაპოვა ერთი პირობა დაიკარგა ჟურნალისტთა თვალთახედვის არედან და ახლა, რუსი ჩოგბურთელი საკუთარ ვებგვერდზე ყვება თუ როგორ გაატარა უიმბლდონის შემდეგ არდადეგები.

*„ბოლო რამდენიმე კვირა ინტენსიურად ვვარჯიშობდი და პარალელურად ძალისა და ამტანობის გაუმჯობესებაზე ვმუშაობდი. სირბილი არასოდეს მომწონდა, მაგრამ ახლა დავაფასე ეს ვარჯიში. გასულ უიქენდზე ორი დღით კალიფორნიაში, ეროუჰედის ტბის სანაპიროზე გავემართე. იქ განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია - ვკითხულობდი არავინდ ადიგის წიგნს - „თეთრი ვეფხვი“. ყველას გირჩევთ მის წაკითხვას. ტბაზე ნავით ვისეირნე, მადონას მუსიკას მოვუსმინე და ვითევზავე კიდეც.*

*მალე გამოვა ფირმა Cole Haan-ის ტანსაცმლის ჩემი კოლექცია. ეს აგვისტოში მოხდება და ვერ ვითმენ, სანამ ის მაღაზიებში არ გამოჩნდება. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში World Team Tennis-ის ლიგაში მელის მატჩები. ეს ძალიან მხიარული და დაძაბული ტურნირია. ორი დღის წინ შევხვდი ცნობილ არქიტექტორ ფრენკ გერის. ახლა ის Tiffany-ის სამკაულებზე მუშაობს. სხვათა შორის, სწორედ მან უნდა შექმნას ჩემთვის საყურე, რომლითაც ამერიკის ღია პირველობაზე გამოვალ“.*

პარალელურად, მარია შარაპოვამ ჟურნალ InStyle Magazine-ში ძვირფასეულობების საკუთარი კოლექცია წარმოადგინა და ინტერვიუ მისცა ამ გამოცემას. მარიას კოლექციაში ერთ-ერთი მთავარი ნივთია ვერცხლის ჯვარი, რომელიც ჩოგბურთელს მშობლებს ახსენებს.

*„ისეთი სამკაულები მომწონს, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იოლი მოსახმარია, თუმცა სპეციალურ მიღებებზე შემიძლია გამოვიყენო მასიური ყელსაბამები ან დიდი საყურეები. ჩემი საყვარელი ქვა ბრილიანტია, მაგრამ მარგალიტიც მომწონს. მაგალითად, 21-ე დაბადების დღეზე ბრილიანტის დიადემა მეკეთა. ვისურვებდი ჩემს ქორწილშიც ასეთი სამკაული მეკეთოს“*, - ამბობს შარაპოვა.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2009

**XVI ეტაპი**

**მარტინი-ბურ სენ მორისი. 159 კმ**

1. **ასტარლოსა** (ესპ, ეუსკატელი) - 4.14,20; 2. **კასარი** (საფ, ფრანსეზ დე ჟო) - +0,06; 3. **ფედრიგო** (საფ, ბუიგ ტელეკომი) - იგივე დრო; 4. **როუჩი** (ირლ, AG2R) - იგივე დრო; 5. **ვან დენ ბროეკი** (ბელგია, საილენს-ლოტო) - იგივე დრო; 6. **მუანარი** (საფ, კოფიდისი) - იგივე დრო... 10. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - +0,59; 11. **ნიბალი** (იტა, ლიკუიგასი) - იგივე დრო; 12. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - იგივე დრო; 13. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - იგივე დრო; 14. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - იგივე დრო... 18. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - იგივე დრო; 19. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო; 20. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - იგივე დრო... 24. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - იგივე დრო... 38. **ნოჩენტინი** (იტა, AG2R) - +03,55... 46. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - იგივე დრო... 85. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - +16,40...

**საერთო ჩათვლა**

1. **კონტადორი** (ესპ, ასტანა) - 67.33,15; 2. **არმსტრონგი** (აშშ, ასტანა) - +1,37; 3. **ვიგინსი** (ბრიტ, გარმინ-სლიპსტრიმი) - +1,46; 4. **კლოდენი** (გერ, ასტანა) - +2,17; 5. **ე. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +2,26; 6. **ნიბალი** (იტა, ლიკუიგასი) - +2,51... 8. **ფ. შლეკი** (ლუქ, საქსო ბანკი) - +3,25; 9. **სასტრე** (ესპ, ჩერველო) - +3,52... 12. **კროიციგერი** (ჩეხ, ლიკუიგასი) - +4,40... 14. **ნოჩენტინი** (იტა, AG2R) - +5,26... 17. **ევანსი** (ავსტრა, საილენს-ლოტო) - +7,23... 42. **მენშოვი** (რუსეთი, რაბობანკი) - +27,04...

ავტოსპორტი

# ბრძოლა დაიწყო

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ოქტომბერში გაიმართება, მაგრამ კანდიდატებმა უკვე დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანია.

ჯერჯერობით, FIA-ის პრეზიდენტობაზე ორი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას - რალიში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **არი ვატანენი** და „ფერარის“ ექსშეფი **ჟან ტოდტი**.

ორი დღის წინ, ფინელმა მკაცრად გააკრიტიკა ფედერაციის ხელმძღვანელობა და ივარაუდა, რომ FIA მისი კონკურენტის ჟან ტოდტის წინასაარჩევნო კამპანიას აფინანსებს. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, ვატანენი ამჟამინდელ პრეზიდენტ მაქს მოსლის ტოდტის კანდიდატურის ღიად მხარდაჭერაში ადანაშაულებდა.

ფინელი იმასაც აღნიშნავს, რომ ტოდტი თავის მეგობარ ქალბატონ **მიშელ იეოსთან** ერთად კერძო თვითმფრინავით მოგზაურობს, გადაფრენებს კი ფედერაცია აფინანსებს.

*„ჟან ტოდტი ჩემი საუკეთესო მეგობარიც რომ იყოს, აღვნიშნავ, რომ ფედერაცია სამეფო არ არის, სადაც ჟანი სავარძლის მემკვიდრედ უნდა ითვლებოდეს“*, - ამ ფრაზით არი ვატანენმა იგულისხმა, რომ მოსლი და ტოდტი ძველი მეგობრები არიან.



ჟან ტოდტმა მეორე დღესვე პრესის საშუალებით უპასუხა თავის კონკურენტს. *„ვატანენი ფედერაციის ფონდის მმართველობის წევრია და გაუგებარია, რატომ წარმოაჩინა მან თავისი ორგანიზაცია ასეთ უარყოფით კონტექსტში. ალბათ, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემთვის იმიჯი შეელახა“*, - განაცხადა ტოდტმა Daily Telegraph-ისთვის მიცემულ კომენტარში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**II საკვალიფიკაციო. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ბაქუ-ეკრანასი | 4:2 (2:2) |
| ბატე-მაკედონია | 2:0 (2:0) |
| სტ. ჟულია-ლევსკი | 0:5 (0:4) |
| აპოელ-სტეიმური | 3:0 (2:0) |
| შერიფი-ინტერი | 1:0 (1:0) |
| სლოვანი-ჟრინსკი | 4:0 (0:1) |
| დინამო (ზ)-პიუნიკი | 3:0 (0:0) |
| პარტიზანი-რილი | 8:0 (4:0) |
| სტაბეკი-ტირანა | 4:0 (1:1) |

**ევრო 2009**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| ინგლისი-შვეიცარია | 1:1 |
| უკრაინა-სლოვენია | 0:0 |
| საფრანგეთი-სერბეთი | 1:1 |
| თურქეთი-ესპანეთი | 1:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| გენკი-ეინდჰოვენი | 0:1 |
| იუვენტუსი-ვიჩენცა | 1:1 |
| კლუჟი-აეკ | 1:1 |
| ჰოფენჰაიმი-ფენერბაჰჩე | 2:1 |
| შტ. კიკერსი-ბაიერნი | 0:10 |
| გაზიანთეფი-რაპიდი (ბ) | 1:3 |
| გეელი-ტინენი | 0:1 |
| იგლზი-ექსელსიორი | 3:1 |
| ვუპერტალი-ობერჰაუზენი | 2:1 |
| ჰერენვეენი-ტრაბზონი | 2:2 |
| ბორდო-მარსელი | 2:1 |
| კაიზერ ჩიფსი-მანჩესტერ იტი | 0:1 |
| ჰარტლპული-უენსდი | 0:2 |
| ბენფიკა-ატლეტიკო | 1:2 |
| ბორნმუთი-ფულჰემი | 0:0 |
| კარლაილი-ჰალი | 1:2 |
| კოლჩესტერი-ასტონ ვილა | 2:2 |
| პიტერბრო-ტოტენჰემი | 0:4 |
| შელბურნი-მილუოლი | 0:1 |
| უნივერსიტი-დანდი იუნ. | 0:2 |
| უოლსოლი-ვულვზი | 0:1 |
| გიმარაეში-სპორტინგი | 2:2 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნორჩოპინგი-მიალბიუ | 0:1 |

**ირლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეთლონი-ლონგფორდი | 2:5 |

**წყალბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-აშშ | 11:10 |
| ავსტრალია-ს. აფრიკა | 23:2 |
| ახ. ზელანდია-კანადა | 6:12 |
| ჰოლანდია-ესპანეთი | 15:15 |
| გერმანია-ბრაზილია | 12:12 |
| უზბეკეთი-ჩინეთი | 6:28 |
| უნგრეთი-იტალია | 8:5 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ჰამბურგი**

| | |
|---|---|
| მელცერი-**კუევასი** | 6:7, 3:6 |
| რობრედო-**ნავარო** | 5:7, 6:7 |
| **ფონინი**-მინარი | 6:4, 6:2 |
| ჩელა-**ბენეტო** | 4:6, 6:1, 1:6 |
| **მაიერი**-შუტლერი | 6:7, 6:3, 6:3 |
| **მონაკო**-იუჟნი | 7:6, 6:3 |
| **მატიო**-რიბა მადრიდი | 6:1, 2:6, 7:6 |
| **ტროიცკი**-გაბაშვილი | 3:6, 6:2, 6:4 |
| ვავრინკა-**გარსია ლოპესი** | 2:6, 4:6 |
| **კოლშრაიბერი**-სტარაჩე | 6:2, 4:6, 6:4 |
| სიმონი-**ბრანსდი** | 6:3, 4:6, 3:6 |

**ATP. ინდიანაპოლისი**

| | |
|---|---|
| **ლუ**-შვანკი | 6:4, 3:6, 2:6 |
| უდომჩოკე-ლევინე | 1:6, 6:7 |

**WTA. ბად გაშტეინი**

| | |
|---|---|
| **ბენეშოვა**-დულჰერუ | 7:6, 6:3 |
| დომინგეს ლინო-**მეირი** | 3:6, 3:6 |
| **კოონე**-დუკე მარინო | 4:6, 7:6, 6:4 |
| **შვედოვა**-იურიკოვა | 6:1, 6:0 |
| ჰრადეცკა-**ლაგოსტერა** | 2:6, 2:6 |
| **გრონეფელდი**-ონდრაშკოვა | 6:4, 6:3 |
| **მოისბურგერი**-ფიშმანი | 6:4, 6:3 |
| **რიბარიკოვა**-კორიტცევა | 6:3, 6:1 |
| **პარმენტიე**-კლაშკა | 6:1, 6:1 |
| **პეერი**-სკიეჩტლი | 6:4, 6:3 |
| კლაფნერი-**პლადიკოვა** | 4:6, 6:2, 4:6 |
| ბამერი-სევასტოვა | შეწყდა |

**WTA. პორტოროჟი**

| | |
|---|---|
| **ფოგელი**-ტატიშვილი | 6:1, 4:6, 6:3 |
| მედინა გარიგესი-**მანასიევა** | 3:6, 6:1, 5:7 |
| **პინი**-დიაჩენკო | 6:3, 6:0 |
| **ვინჩი**-კოლარი | 6:2, 6:0 |
| გორგესი-**პერვაკი** | 4:6, 6:4, 2:6 |
| **დუშევინა**-გარბინი | 6:0, 6:3 |
| კარატანჩევა-**კამერინი** | 1:6, 4:6 |
| **კვიტოვა**-ვოსკობოევა | 4:6, 6:3, 7:6 |
| ჰერცოგი-**ბრიანტი** | 5:7, 4:6 |
| **ერანი**-რუსი | 6:1, 6:0 |

TV პროგრამა

**22 ივლისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბეტისი.
**09:10** ლიბერტადორესის თასი.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბარსელონა.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** ლიბერტადორესის თასი.
**17:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-იუვენტუსი.
**19:10** სასტვენი.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:25** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
**22:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვოლფსბურგი.
**00:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:25** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პანათინაიკოსი-ვილიარეალი.
**02:25** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-მარსელი.
**04:15** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

**10:30** სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სტამბოლი. თურქეთი.
**11:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი. მარტინი-ბურჟ სენ მორისი.
**12:00** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. კაცები. 10 მ. 1/2 ფინალი. რომი. იტალია.
**13:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი. მარტინი-ბურჟ სენ მორისი (LIVE).
**14:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი. ბურჟ სენ მორისი-ლე გრან ბორნანი (LIVE).
**19:45** საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალში ხტომა. კაცები. 3 მ. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**20:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. ახალი ამბები.
**21:00** მულტისპორტი.
**21:10** ცხენოსნობა. ერთა თასი. შვედეთი.
**22:10** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**22:15** გოლფი. PGA-ის ტური.
**23:15** გოლფ-კლუბი.
**23:20** აფროსნობა. Volvo Ocean Race.
**23:50** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**23:55** მულტისპორტი.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი. ბურჟ სენ მორისი-ლე გრან ბორნანი.
**01:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ბელარუსი.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი. ბურჟ სენ მორისი-ლე გრან ბორნანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კიმის მეორე ცხოვრება

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** 28-თვიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება პროფესიულ ტურს. „მეორე ცხოვრებაში" მისი პირველი ტურნირი იქნება - Western & Southern Financial Group Women's Open, რომელიც 8 აგვისტოს ცინცინატიში დაიწყება. თუმცა ბელგიელის თაყვანისმცემლები კიმს დღეს იხილავენ კორტზე World Team Tennis-ის ლიგის ჩემპიონატში.

მაინცდამაინც ცინცინატის ტურნირის უაილდქარდის მოთხოვნა შემთხვევითი არ ყოფილა. თავის დროზე, ამერიკაში სწორედ ბეტონისსაფრიან კორტებზე მიაღწია კლაისტერსმა ყველაზე დიდ წარმატებას. ექვსი წლის წინ, ამ კორტებზე კიმი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა როგორც ერთეულებში, ასევე წყვილებში (!). ბელგიელს კარიერაში 34 ტიტული აქვს მოგებული და აქედან 23-ჯერ პირველობა ჰარდზე მოიპოვა. კიმის მეუღლე, კალათბურთელი **ბრაიან ლინჩი** ამერიკელია. და კიდევ, „დიდი სლემის" ერთადერთი ტიტული კლაისტერსს ნიუ იორკში აქვს მოგებული...

*„ამერიკასთან ბევრი ბრწყინვალე მოგონება მაკავშირებს"*, - ამბობს კლაისტერსი, რომელმაც 2005 წელს არა მარტო აშშ-ის ღია პირველობა, არამედ ამერიკული ტურნირების სერია (US Open Series) მოიგო, რისი წყალობითაც 2.2 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

მაგრამ წელს, ცინცინატის ტურნირის ისტორიაში კონკურენცია ყველაზე მძაფრი იქნება. წინა ორ სეზონში, აქ მეორე ეშელონის ჩოგბურთელები იმარჯვებდნენ (**ანა ჩაკვეტაძე** და **ნადეჟდა პეტროვა**), მაგრამ ამჯერად, ტურნირში მონაწილეობაზე განაცხადი შეტანილი აქვს რეიტინგის TOP16-ის ყველა წევრს, ასე რომ, ბელგიელს რთულ სიტუაციაში უწევს დაბრუნება.

კლაისტერსი ჩოგბურთიდან 2007 წელს მას შემდეგ წავიდა, რაც მის ანგარიშზე იყო „დიდი სლემის" ერთი ტიტული და ოთხი ფინალი. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიმმა WTA-ის 34 ტიტული მოიგო ერთეულებში და 11 - წყვილთა თანრიგში. ბელგიელი 19 კვირა ლიდერობდა WTA-ის რეიტინგს და კორტზე ჯამში 14 მილიონი გამოიმუშავა.

გასულ კვირას, 26 წლის კლაისტერსმა ჟურნალისტებს განუცხადა: *„ბოლო დროს პროფესიონალივით ვვარჯიშობდი. თანდათანობით, ჩემი გონებაც შესაბამისად ამოქმედდა. უბრალოდ მინდა ამერიკის ღია პირველობის შემდეგ გავიგო - რა გამოვა ჩოგბურთში დაბრუნებისგან და რა უნდა შევცვალო იმისთვის, რომ ტურში რეგულარულად გავაგრძელო გამოსვლა. ეს ჩემთვის სრულიად ახალი გამოცდილებაა: ტურში დაბრუნება და ტურნირებზე ოჯახთან ერთად მოგზაურობა. ეს სულ სხვა ცხოვრებაა, ვიდრე ის საგასტროლო მოგზაურობები, რომლითაც 10-12 წელი ვიყავი დაკავებული".*



კიმი, რომელმაც 2008 წლის თებერვალში ქალიშვილი **ჯადი** გააჩინა, ამბობს, რომ პრაქტიკულად თავიდან მოუწევს ყველაფრის დაწყება - მას ხომ ორი წელი არ უთამაშია უმაღლეს დონეზე. ამიტომაც, კლაისტერსის სახით კორტზე ვერ ვიხილავთ გააფთრებულ ლომს, რომელიც ნებისმიერ ფასად იბრძოლებს გამარჯვებისთვის.

კიმმა ჯერ კიდევ „თავის პირველ საჩოგბურთო ცხოვრებაში" მოიპოვა კომუნიკაბელური და რბილი ხასიათის მქონე ადამიანის რეპუტაცია. ამიტომაც ის პოპულარობით სარგებლობდა გულშემატკივრებსა და კოლეგებს შორის. მაგრამ, მეორე მხრივ, ბევრს უსამართლოდ მიაჩნია ის, რომ კიმმა ჩოგბურთში ვერ მიაღწია ყველაფერს, რასაც თავისი თამაშით იმსახურებდა. მაგალითად, როგორც ეს „დიდი სლემის" ტურნირების ფინალებში იყო - ხუთი შესაძლებლიდან ერთი მოგება - რეალიზაციის 20 პროცენტი.

*„ეს დიდად არ მაღელვებდა*, - განაცხადა ამასთან დაკავშირებით კიმმა. - *ვფიქრობ, ეს ერთგვარი კომპლიმენტიცაა. მირჩევნია, ყველამ „სასიამოვნო პიროვნება" მიწოდოს, ვიდრე ყველაფრის მომგებ, მაგრამ უხეშ და უკარება ჩოგბურთელად აღმიქვან".*

და მაინც, კიმის განახლებული კარიერა შეიძლება წარმატებული გამოდგეს, რადგან ბელგიელი ივნისში მხოლოდ 26 წლის გახდა. მის ყოფილ მწვრთნელ **მარკ დეჰაუსს** მიაჩნია, რომ ის კონკურენტუნარიანი იქნება და თავიდანვე წინ წავა. მწვრთნელი აშშ-ის ღიაზე გამარჯვებასა და რეიტინგში პირველი პოზიციის დაბრუნებას გულისხმობს.

*„როგორც კი ის სრული პროგრამით ჩაებმება ქალთა ტურში, მაშინვე სწრაფი ტემპით აიწევს რეიტინგში"*, - თქვა სპეციალისტმა, რომელიც კიმთან 2002-05 წლებში თანამშრომლობდა. სწორედ ამ პერიოდში მოიგო ბელგიელმა აშშ-ის ღია და რეიტინგის უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

*„დღეს მას არ ექნება ისეთი ზეწოლა, რომელიც ტურში ჟუსტინ ანენის ყოფნის დროს იგრძნობოდა. როგორც იქნა, მან შეიგრძნო, რომ არავისთვის არაფრის დამტკიცება არ სჭირდება"*, - დაამატა დეჰაუსმა, რომელმაც დღევანდელ კიმის „უფრო დაბრძენებული და დაბალანსებული მოთამაშე" უწოდა.

მაგრამ **მარია შარაპოვას** ამასწინანდელი მაგალითით ბევრი დარწმუნდა, რომ ქალთა ჩოგბურთში ყველაზე ხმამაღალი სახელებიც კი ვერ იძლევიან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ წარმატებული გამოსვლის გარანტიას.

*„ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი გარკვეულ დროს მოითხოვს და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ხართ თქვენ და როგორ თამაშს აჩვენებთ"*, - განაცხადა ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მარია შარაპოვამ მაისში, დიდ ჩოგბურთში რვათვიანი დაბრუნების შემდეგ.

და მაინც, კიმის ჩოგბურთში დაბრუნებას მხოლოდ უნდა მივესალმოთ. მან განსაკუთრებული ხიბლი უნდა შემატოს ქალთა ტურნირებს, რომელმაც მამაკაცთა ჩოგბურთისგან განსხვავებით, ოდნავ დაკარგა მომხიბვლელობა.

*„ყველას გვიხარია, რომ კიმმა ტურში დაბრუნება გადაწყვიტა*, - თქვა WTA-ის ტურის ახალმა დირექტორმა **სტეისი ელესტერმა**, რომელმაც ამ პოსტზე **ლარი სკოტი** შეცვალა. - *ყველამ ვიცით, რამდენი თაყვანისმცემელი ჰყავს მას და რამდენი ადამიანი გრძნობს მის მიმართ სიმპათიას. ის ჩვენი თამაშის ელჩია მთელ მსოფლიოში".*

ბევრი გაკვირვებული დარჩა იმით, რომ ორწლინახევრის წინ, კიმმა ლურსმანზე ჩამოკიდა ჩოგანი. მაშინ მან ამის მიზეზად მოტივაციის დაკარგვა, ტრავმები და ოჯახის შექმნა დაასახელა. *„სხვა ცხოვრების დაწყების დიდი სურვილი მქონდა*, - ამბობს დღეს კიმი. - *დედობა ყოველთვის მინდოდა. თანაც, ფსიქოლოგიურად ასი პროცენტით ვერ ვიყავი ჩოგბურთზე კონცენტრირებული. და თამაშისგან სიამოვნებასაც ვერ ვიღებდი".*

მაგრამ ახლა, თავის ოჯახთან ერთად ნიუ ჯერსიში ყოფნისას, კიმმა ისევ მოინდომა იმ დაძაბულობის საკუთარ თავზე გამოცდა, რომელიც თან ახლავს ოფიციალურ თამაშებს. სანამ WTA-ის ტურნირში ცდის ბედს, ბელგიელმა გადაწყვიტა ისევ მიიღოს მონაწილეობა ამერიკის ლიგის (World Team Tennis) ჩემპიონატში. კლაისტერსი ვაშინგტონის რიგებში ირიცხება და სენტ ლუისისა და ფილადელფიის წინააღმდეგ უწევს თამაში. *„ეს არ ჰგავს ჩვეულებრივ ტურნირს, მაგრამ იქ არის შესაბამისი ატმოსფერო, დაძაბულობა, ზეწოლა, ნერვიულობა, ანუ ყველაფერი ის, რისგანაც ჩოგბურთი შედგება"*, - ამბობს კლაისტერსი.

*„სპორტისთვის ძალიან კარგია, რომ კიმი დაბრუნდა*, - ამბობს WTT-ის დამაარსებელი **ბილი-ჯინ კინგი**. - *კლაისტერსი დიადი მოთამაშე და სამაგალითო პიროვნებაა, ამიტომაც ჩვენი გულშემატკივრები მოგებულნი დარჩებიან მისი დაბრუნებით".*

**გია თვალაბეიშვილი**





გამოვიდა ივლისის ნომერი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge